



# ნორა ელიშვილი

## დიღსაბრტვის განმეული



ნორა ედიშერაშვილი

# ლილსაჩივანს განძეული



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი—1982



617.3(C41)  
35.41(2Г)  
666 94(47.922)  
ე 209

კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი მოწინავე საწარმოდ ითვლება რესპუბლიკაში.

ნარკვევი მოგვითხრობს ამ გიგანტი კომბინატის წარსულზე, მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივის დღევანდლობასა და პერსპექტივებზე, სადაც აგრეთვე შთამბეჭდავად, პოპულარულ ენაზე აცნობს მკითხველს ჩვენი გრანდიოზული მშენებლობის უმთავრესი საზრდოს — ცემენტის საიდუმლოებას.

წიგნი ეძღვნება კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის დაარსების 50 წლისთავის იუბილეს.

გამოცა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის შეკვეთით.

**Эдишерашвили Нора Иосифовна**

**КЛАД ДИДСАЧИТЕ**

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1982



## ა ვ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

წიგნი „დიდსაჩიტეს განძეული“ ერთგვარი ცდა და სურვილია, ასახოს პირველი ხუთწლედის პირმშოს, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების გზა. ნარკვევში გამოყენებულია როგორც საარქივო, ისე პერიოდული პრესისა და ცალკეულ გამოცემათა მასალები, ვეტერან მეცემენტეთა მოგონებები, სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული არქივები, სტატისტიკური მონაცემები, ანგარიშები, უშუალო დაკვირვებები.

კომბინატის ისტორიისა და დღევანდლობის საინტერესო მასალების შეგროვება-შერჩევაში დიდი დახმარება გამიწიეს საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის პარტიული არქივის მუშაკებმა, ცემენტ-შიფერის კომბინატის ხელმძღვანელობამ, საამქროთა და წარმოებათა უფროსებმა, სპეციალისტებმა, ვეტერანებმა და სხვებმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდით.



საქართველოს სსრ კასპის რაიონი  
კასპის ცემენტის ქარხნის შიფერის წარმოების  
მემანქანის ამხ. შ. ბ. ნატროზვილს

ძვირფასო შალვა გაბრიელის ძეგ!

მადლობას მოგახსენებთ თქვენს დეპეშაში გამოთქმული გულთბილი გრძნობებისათვის, იმისათვის, რომ ესოდენ დიდ შეფასებას აძლევთ ბარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას ლენინური კურსის — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრების კურსის განხორციელებისათვის.

დიდად გამახარა თქვენი კოლექტივის საწარმოო მიღწევების ამბავმა. სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, თქვენს თანამშრომელ ამხანაგებს, ახალი წარმატებები მოგეპოვებინოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში, მეთათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის მიმდინარე ბრძოლაში.

პატივისცემით ლ. ი. ბრძენიძე

1977 წლის 14 მარტი



## სამშენებლო ინდუსტრიის სათავაზოთა

კაცობრიობას დღემდე ხიბლავს და აკვირებს ეგვიპტის პირამიდები. დგანან ეს მართლაც გრანდიოზული ქმნილებანი იდუმალებითა და ლეგენდებით მოსილნი, დგანან და ებრძვიან დროსა და ჟამს. საუკუნეებთან შერკინებულან საქართველოს დიდებული ძეგლები: ჯვარი და სვეტიცხოველი, გელათი და ნიკორწმინდა, ალავერდი და სამთავისი, ატენი და ქვათახევი.

მეცნიერება დღესაც თავს დასტრიალებს კითხვებს: რით ააშენეს, როგორ ააშენეს... საიდუმლოებას შორეულ საუკუნეებში გართხმულ სამშენებლო მასალათა ფესვებში ეძებენ. ცნობილია, რომ სამშენებლო მასალებს ჰიდრავლიკური თვისებები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში შეუძენიათ, ოღონდ, ვერ გამოუყენებიათ ჰიდროტექნიკური ნაგებობების ასაგებად.

მე-18 საუკუნეში მსოფლიომ გაიცნო ინგლისელი ქვის მთლელი ჟოზეფ ასპდინი, რომელმაც კორექტივი შეიტანა სამშენებლო მასალების რეცეპტში: შექმნა ხელოვნური პორტლანდცემენტი. სამშენებლო ინდუსტრია ვითარდება. და ისევ კორექტივი, ამჟამად ცემენტის გამომგონებლებს შორის ტექნიკური საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ახალი სახელი: იგორ ჩელიევი. რუსეთში 1848 წელს დაიწერა წიგნი: „მთლიანი დარიგება, ანუ იაფად და კარგად როგორ დავამზადოთ მერგელი, ანუ ცემენტი ყოვლადმაგარი მიწისქვეშა ნაგებობებისათვის, როგორიც არის ხიდები, არხები, აუზები, საგუბრები, სარდაფები, აგრეთვე ბათქაში ქვისა და ხის ნაგებობებისათვის“. მისი ავტორი იყო იგორ გერასიმეს ძე ჩელიევი.

გაჩნდა ახალი კითხვები: რომელია ცემენტის გამომგონებელი ასპდინი თუ ჩელიევი?

საბჭოთა მეცნიერი ი. ზნაჩკო-იავარსკი დიდხანს სწავლობს ასპდინისა და ჩელიევის მემკვიდრეობას, აზუსტებს, აჯერებს, ანალიზს აკეთებს და დასკვნაც გამოაქვს: ჩელიევის გამოგონება უფრო ძველია, პრაქტიკული და მეცნიერული.

ტექნიკურ საზოგადოებას სხვა არაფერი დარჩენოდა: გაეზიარებინა ზნაჩკო-იავარსკის მოსაზრებები.

ქართველი საზოგადოებრიობისათვის გვარი ჩელიევი ნაცნობი და ახლობელია. და აი დაიწყეს კვლევა, ვინ იყო, საიდან გაჩნდარუსეთში, სხვა რაიმე წიგნიც ზომ არ დატოვა და სხვ. დღემდე ამ კითხვებზე გაცემული პასუხები ძუნწია, ჩელიევის პიროვნება ნაკლებ შესწავლილი. გაირკვა მხოლოდ, რომ იგი ყოფილა ქართველ ჰუსართა პოლკის გადამდგარი მაიორის, ქართველი აზნაურის გერასიმე ჭელიძის შვილი, სპეციალური განათლება არ მიუღია, მაგრამ პრაქტიკული მუშაობით დაუწერია წიგნები: „სატახტო ქალაქ მოსკოვის დაარსების ისტორია, მისი განვითარება და დიდება“, „სატახტო ქალაქ მოსკოვის დაგეგმარება“ და სხვ.

ჩელიევის პიროვნებით დაინტერესებულა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი თინათინ მაისურაძე, რომელიც გვაწვდის რამდენიმე ცნობას მის შესახებ. იგი წერს: „ამ დიდი პიროვნების ღვაწლი სათანადოდ არ არის დაფასებული. უცნობია საფლავი იმ ადამიანისა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო სამშენებლო ინდუსტრიას. იგი საყოველთაო პატივისცემის ღირსია“<sup>1</sup>.

მაინც, რა არის ცემენტი? რისგან შედგება იგი? ერთი შეხედვით უბრალო და მეტად საჭირო კომპონენტებისაგან შემდგარი რუხი მასა, რომელსაც მშენებლობის პურს ეძახიან.

რეცეპტი? კირქვას ერევა 20 პროცენტი თიხა-მიწა (აყალო), გამოწვის შემდეგ, დაფქვისას ემატება 5—6 პროცენტი თაბაშირი და გარკვეული რაოდენობის პემზა (პუცოლანურ პორტლანდცემენტს ემატება 25—40 პროცენტი, პორტლანდცემენტს მინერალური დანამატით — 15 პროცენტამდე).

საქართველოში რუხი პურის სამშობლოა კასპი: აქ დაედო დასაბამი ქართული სამშენებლო ინდუსტრიის სათავეს.

### მთეზი „ალაპარაკდნე“

არავინ ვიცით, როგორ გაჩნდა მეწყერი ქართლში, თრიალეთის მთის სამხრეთით, ან რა ძალამ გააჩერა ეს ნაგლეჯი მტკვრის ხეობაში. იწვა მთა კავთურასა და თეძამს შორის და ყურადღებას იქცევ-

<sup>1</sup> გაზ. „განთიადი“, 1980 წ., № 151.



და თეთრად შეფეთქილი კალთებით, ალაგ-ალაგ თიხის წითელი ლაქებით რომ იყო დაწინწკლული.

თვლემდნენ რუხი ზოდები მთის ქვეშ და საუკუნეობით ელოდნენ ადამიანებს. ფრინველები თუ მოფრინდებოდნენ, ჭიკჭიკით გამოაღვიძებდნენ, გაახალისებდნენ იქაურობას და ისევ მიიძინებდნენ.

ამიტომ თუ უწოდეს „დიდსაჩინო“.

ოქტომბრის რევოლუციამდე შეუმჩნევიათ, დაინტერესებულან, მკვლევარები მოსულან, შეუსწავლიათ და ცემენტის წარმოების უბადლო კერად მიუჩნევიათ.

კავთისხევის მერველური ქანების სიკეთეს ცნობილი კაპიტალისტის, მანთაშევის ყურამდეც მიულწევია. დაინტერესებულა. სურვილი დაბადებია: აეგო ცემენტის ქარხანა, ნედლეულად „დიდსაჩინოს“ განძეული გამოეყენებინა, მაგრამ ეს სურვილი ოქტომბრის რევოლუციამ კაპიტალისტებთან ერთად წააღწია. ახალი ცხოვრება დადგა, ქვეყნის შენებამ დიდძალი სამშენებლო მასალა მოითხოვა, ინდუსტრიალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა ცემენტის ქარხნის აგება. კასპში ცემენტის ქარხნის აშენების საკითხი 1924—1925 წლებში წამოიჭრა. შენდებოდა საქართველოს სიამაყე — ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, ფაბრიკები, ქარხნები. 1926 წლიდან კასპის ცემენტის ქარხნის აშენების განხორციელებას შეუდგნენ. თავდაპირველად მტკვარგალმა, „დიდსაჩინოსთან“ ახლოს ვარაუდობდნენ. კავთისხეველებიც ამას ითხოვდნენ. სპეციალისტთა აზრმა კასპის მხარეს გადმოინაცვლა.

შეიქმნა კომპეტენტური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, გორის სამაზრო აღმასკომისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები.

კომისიამ გულდასმით შეისწავლა მომავალი ქარხნის პროექტი, ადგილმდებარეობა, სასმელი და ტექნიკური წყალი, სარკინიგზო ხაზი, ქარხნის მუშახელით დაკმაყოფილებისა და სხვა საკითხები და დაიწერა დასკვნა:

„პროექტი შედგენილია თავისი საქმის დიდი ოსტატების მიერ, — წერენ კომისიის წევრები, — გულმოდგინედ მოფიქრებული, ყოველმხრივ აწონილია და ახდენს დიდ შთაბეჭდილებას...“ „ეკონომიური ჩანაწერები, პროექტს რომ ახლავს, მიგვანიშნებს, რომ ომამ-



დე ამიერკავკასიის მოთხოვნილება ცემენტზე აღწევდა ქვეყნის საერთო პროდუქციის 25 პროცენტს და ცემენტის მაღალი ფასების გამო ადგილობრივი ქარხნების საჭიროება უკვე იგრძნობოდა — ახლა, როცა ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველო თვით წარმოადგენს სახელმწიფო აღჭურვის დამოუკიდებელ კერას, ადგილობრივ ქარხნებში მოთხოვნილება უფრო სასწრაფო ხდება. ასეთი ქარხნები უკვეა აზერბაიჯანში ბაქოს ახლოს, პროექტირდება სომხეთში და ცხადია, უნდა გაჩნდეს საქართველოში“. ჩანაწერებში მოტანილია სპეციალური გაანგარიშებები, რომლებიც უჩვენებენ, რომ ნოვოროსიისკის ქარხნების სიახლოვე ვერ გაუწევს კონკურენციას ახალ ქარხანას.

უეჭველია, რომ შესაფერისი ნედლეულის პოვნა შესაძლებელია საქართველოს რამდენიმე პუნქტში, მაგრამ აუცილებელია ქარხნის ადგილმდებარეობის შეთავსება ნედლეულის რაოდენობასთან, სათბობის სიახლოვესთან, რკინიგზის მოხერხებულ ურთიერთობასა და ახლობელ მომხმარებელ პუნქტთან.

„შერჩეული ადგილმდებარეობა ყველა ამ პირობას აკმაყოფილებს. ნედლეული წარმოადგენს კირქვის წმინდა და მძაფრ ფენებს, რომლებიც დაფარულია მერგელითა და მერგელის თიხით; ღუმელების სათბობად, ცხადია, ტყიბულის ქვანახშირი ივარგებს, ხოლო ძრავების ენერჯის წყაროდ გამოიყენება ზაპესი, რომელიც ქარხანას მისცემს ენერჯიას... სარკინიგზო ურთიერთობა უზრუნველყოფილია ქარხნის გზათა სიახლოვეთ კასპის სატარიფო სადგურთან, რაც რასაკვირველია, უკეთესია სხვა მეზობელ საურთიერთო ვარიანტებთან. და ბოლოს, უდიდესი, მომთხოვნი და გამანაწილებელი პუნქტი მთელი საქართველოსი — თბილისი — მდებარეობს ახლოს. მიღებული გადაწყვეტილება ამ პუნქტის შედეგადაც სწორედ მისაჩნევია“<sup>1</sup>.

კავთისხევის თემის მცხოვრებთა თხოვნა ვერ დაკმაყოფილდა და ქარხნის აგება გადაწყდა სადგურ კასპთან.

„კარიერიდან ქარხანამდე ნედლი მასალის გადაზიდვა იწარმოებს საჰაერო-საბაგირო გზის საშუალებით“... რაც შეეხება „ქარხნის მუშათა ძალის მოთხოვნილებას ცემენტის ქარხნის საჭიროებისათვის, ამაზე უნდა ეცნობოს კავთისხევის რაიონის მოსახლეობას, რომ იმ ადგილას, სადაც მდებარეობს დასამუშავებელი „კარიერები“, ე. ი.

1 საქ. სსრ ორსმცსა, ფ. 600 ან I, ს 2250, გვ. 4—5.



„დიდსაჩინოებს“ ღრეს ახლო იქნება გამართული ცემენტის ქარხნის სამტვრევი განყოფილება და ამიტომ ამ რაიონში იქნება დიდი მოთხოვნილება მომუშავეთა ხელისა, როგორც ქარხნის ამშენებლობის დროს, აგრეთვე, მისი ექსპლოატაციის ხანაში“<sup>1</sup>.

საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ადგილმდებარეობის შერჩევას. ქარხნის მშენებლობა ნავარაუდევი იყო კასპელი მოსახლეობის ბავშვანების ადგილზე. სამანი დაედო 12 ჰექტარ ტერიტორიას. ქარხნის მშენებლობამ დიდძალი მუშახელი მიიზიდა. მოვიდნენ კასპიდან და მის ახლო-მახლო სოფლებიდან.

წერაქვითა და ნიჩბით ჭირდა მუშაობა, პრიმიტიულობა მშენებლობას ვერაფერს აკლებდა.

პირველ მშენებლებს ენთუზიაზმი დიდი ჰქონდათ. ურმებში და ხშირად ვაგონებშიც კამეჩებს აბამდნენ და ისე ეზიდებოდნენ სამშენებლო მასალას.

პირველ ორთქლმავალზე მაშინ ოცნებაც არ შეიძლებოდა (იგი 1938 წელს მიიღეს). სამშენებლო მასალის მომარაგება 1926 წელს დამთავრდა. 1927 წლის გაზაფხულზე საძირკველი გაიჭრა. საძირკველის ჩაყრის ცერემონიას ხელმძღვანელობდნენ ფილიპე მახარაძე და შალვა ელიავა.

„სახეიმო მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს ქარხნის მნიშვნელობაზე სოციალისტური სამშობლოს წინსვლისა და ძლიერების საქმეში. ამის შემდეგ ამოთხარეს 6 მეტრი სიღრმისა და 1,5 მეტრი სიგანის ორმო, მოიტანეს დაბეჭდილი ქალაღი, წერილი, გადაიღეს სურათი, კარგად შეახვიეს ზეთის ქალაღში, მოათავსეს სპილენძის მასრაში და მაგრად დარჩილული ჩადეს ორმოში, რომლის ძირში ბეტონი იყო ჩასხმული. ამასთან ერთად, ჩადეს ბოთლში მოთავსებული მუშების წერილი, სადაც ჩამოთვლილი იყო მათი გვარები და სახელები, რომლებიც მუშაობდნენ მშენებლობაზე. პირველად რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ჩაუშვეს ორმოში ერთი ურიკა ბეტონი. ყველას უნდოდა მონაწილეობა მიეღო, ერთი მუჭა ბეტონი მაინც ჩაეყარა საძირკველში“<sup>2</sup>.

ქარხნის მშენებლობა დაიწყო. შეიქმნა მიწისმთხრელთა, მებე-

<sup>1</sup> საქ. სსრ ორსმცსა ფ. 284 ან I, ს 593.

<sup>2</sup> თ. მაისურაძე, „ამბავი კასპური ცემენტისა“, კასპის რაიონული გაზეთი „განთიადი“, 1980 წ., № 151.



ტონეთა ბრიგადები, პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა გორის სამაზრო კომიტეტიდან გამოგზავნილი გიორგი კაკალაშვილი. მებეტონეთა ბრიგადებს ხელმძღვანელობდნენ კასპელები მიხა შალუტაშვილი, ბახჩო დალაქიშვილი, კარგი შრომით გამოირჩეოდნენ მებეტონეები კოტე და ალექსი ზარიძეები, მეტეხელი ალექსი დათაშვილი, ა. ქარელიძე, ახალქალაქელი ფირუზ აღიშბარაშვილი, კასპელები მიხეილ დალაქიშვილი, ნიკოლოზ და ადამ პავლიაშვილები, ესტატე ყაზარაშვილი, გიორგი ტერტერაშვილი, დოესელი ალექსანდრე ხეჩიკაშვილი, ქვემოგომელი მამულაშვილები, ბიძინაშვილები, თელადგორელი დაბრუნდაშვილი და სხვები.

მშენებლობას ტექნიკურ ხელმძღვანელობას უწყევდა მამუნოვი, მთავარი ინჟინერი იყო ვარლამ ჩოფიკაშვილი, მშენებელი ინჟინერი გრიგოლ ენუქიძე. ქარხნის დირექტორად დაინიშნა ალექსანდრე ქეზაძე.

ქარხნის სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებდნენ დანიის ფირმის წარმომადგენლები, რომელსაც ხელმძღვანელობდა პეტერსონი.

ქარხნის პირველი მშენებლის, ამჟამად პერსონალური პენსიონერის არტემ ბასიაშვილის მოწოდებული ცნობებით მშენებლობაზე თავი გამოუჩინიათ ხელოსნებს: დავით კარიჭაშვილს, დავით ასათიანს, გიორგი გოდერძოვს, ახალგაზრდებს, რომლებიც შემდეგ ქარხნის დიდი ძალა ყოფილა — გიორგი ჩაფიძეს, ვლადიმერ მარჯანიშვილს, იპოლიტე ქარქაშაძეს, ვასილ მამულაშვილს, ალექსანდრე არაქელოვს, მთავარ მექანიკოსს აბდუშელიშვილს, მის მოადგილეს ბუაძეს, ხარატ ვასილ ნასაჩოვს, სულიკო ცინცაძეს და სხვებს.

მუშახელი მატულობდა, ბინა კი არ ჰქონდათ. მაშინ სახელმწიფომ ადგილობრივი მოსახლეობისაგან უჭირავა მუშებს ბინები და ქირას უხდიდა მათ.

იყო შეფერხებებიც. მშენებლობაზე წარმოიშვა არაჩანსალი ატმოსფერო, რამაც ფილიპე მახარაძემდეც მიაღწია.

და აი, ცემენტის ქარხნის მშენებლობით დაინტერესებული ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე 1929 წლის 9 ივლისს გ. ყურულიშვილს (გ. კურულიშვილს) წერს:

„ჩემამდე მოსული ცნობებით, ცემენტის ქარხნის მშენებლობას (სადგ. კასპის აჭლოს) ემუქრება ან ჩაშლა, ან მისი დეფექტიანობა და დადგენილი ვადისათვის ჩაუბარებლობა...

ატმოსფერო მშენებლობაზე არასაქმიანია...

აქამდე ჯერ კიდევ არაა გაშლილი სამუშაოები „პარკგაუზნი“, რომელიც „სტროიმ“ გადასცა „სამშენს“, უნდა დამთავრებულიყო ა. წ. 11 ივნისს, ამჟამად კი მხოლოდ 90 პროცენტია შესრულებული. მექანიკური სახელოსნოს მშენებლობა, რასაც საზოგადოება „სამშენნი“ აწარმოებდა, შეჩერებულა ნახაზების უზუსტობათა გამო და სამუშაო შესრულებულია მხოლოდ 30 პროცენტით. 2<sup>1</sup>/<sub>4</sub> ვერსტის სიგრძის რკინიგზის ჩიხი, რომლის გაყვანა „ნოვოსტროიკამ“ ჯერ კიდევ 1927 წელს დაიწყო, აქამდე დაუმთავრებელია, რის გამოც მშენებლები იძულებული არიან სადგურ კასპიდან მშენებლობამდე ტვირთი გადაიტანონ ურმებით. მშენებლობაზე სუფევს ქაოსი და უყიარათობა. ტყის მასალა ცის ქვეშ ყრია, ლებება და ფუჭდება. თბილისიდან მშენებლობაზე გაგზავნილია დიდი რაოდენობით უხარისხო აგური, რომელიც გაფანტულია უსარგებლოდ, ელექტროსადგური, რომელიც 15.000 მანეთი დაჯდა, დღემდე არ მუშაობს, საზღვარგარეთიდან მიღებული მოწყობილობა აწყვია უმეთვალყურეოდ და სხვა... არის შრომის დისციპლინის დარღვევისა და ლოთობის ფაქტები...

მივაქცევთ რა თქვენს ყურადღებას ზემოთ აღნიშნულ ნაკლოვანებებზე ქარხნის მშენებლობაში, სმკ წინადადებას გაძლევეთ, რომ სასწრაფოდ მიიღოთ ყველა ზომა აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად<sup>1</sup>.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. ყურულიშვილი სასწრაფო ზომებს ღებულობს, მშენებლობაზე ხდება მთელი რიგი ცვლილებები, დამნაშავე ხელმძღვანელები განთავისუფლდნენ, მოვიდა ახალი კადრი, ქარხნის დირექტორად დაამტკიცეს ა. ქებაძე; შეიქმნა მუშაობის ნორმალური ატმოსფერო, გაძლიერდა მშენებლობის ტემპი. მრავალი ღონისძიება განხორციელდა. მიღებულმა ზომებმა შედეგი გამოიღო. დაიწყო ქეჩარუხის მუშათა დასახლების მშენებლობა. 1928 წელს ცემენტის ქარხნის ადმინისტრაცია ახალ ბინაში გადავიდა (დღეს მის ადგილზე მუშათა სასადილოა). ამ წელსვე დაამთავრეს ქარხანაში რკინა-ბეტონის სამუშაოები. ქარხნისათვის მოწყობილობა დაუკვეთეს გერმანიასა და დანიაში. მისი მთავარი ნაწილები შეიძინეს ცნობილ ფირმა „სმიტი-საგან“ (კოპენჰაგენი), აგრეთვე „ამელიუტერისაგან“ (გერმანია),

<sup>1</sup> საქ. სსრ ორსცმსა ფ. 600 ან I ს. 1150, გვ. 2.



საჰაერო-საბაგირო გზის მოწყობილობანი შეისყიდეს „ბლეისერის“ ფირმაში. დანადგარებს კი თან მოჰყვნენ ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებმაც დამონტაჟება დაიწყეს. მომავალ ქარხანას კადრიც სჭირდებოდა. და აი, გადაწყდა: რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში არსებულ ცემენტის ქარხნებში გაგზავნონ ახალგაზრდები, რომლებიც ათვი-სებენ პროფესიას.

1929 წლის დასაწყისში ამ ქარხნებში პროფესიების დასაუფლებლად გააგზავნეს დაახლოებით 40 კაცი. 1930 წლის ბოლოს კასპის ცემენტის ქარხანა უკვე მზად არის. მისი ექსპლოატაციაში გაშვება ნავარაუდები იყო 22 ოქტომბრისათვის, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო.

1930 წლის 11 სექტემბერს შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის კასპის რაიონული კომიტეტის ბიურო, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს ცემენტის ქარხნის ამუშავებასთან დაკავშირებული საკითხებიც. შეიქმნა კომისია ელისაბედაშვილის, ჩერნიშევის, ქებაძის, კონტრიძის, კანდელაკის, მაჭავარიანის და ერთი დაზვგის მუშის შემადგენლობით. ქარხნის გაშვების დღისათვის უნდა მოწყობილიყო სარაიონო რადიოგადაცემის სადგური. წინადადება მიეცა ამხ. ნ. ე. კანდელაკს, რომ დაედგა ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები წითელქალაქში, ქვემო ჭალაში, მეტეხში.

ამავე ბიუროზე დადგინდა, რომ ქარხანა უნდა ყოფილიყო ი. ბ. სტალინის სახელობისა.

22 ოქტომბერს ქარხანა ვერ ამუშავდა ისევ ტექნიკური მიზეზების გამო. სამუშაოები გაგრძელდა.

კასპის ცემენტის ქარხნის გახსნა, რომელიც დანიშნული იყო 7 ნოემბრისათვის, გადადებულია.

და ეს ნანატრი დღეც: 1930 წლის 1 დეკემბერი, ცივი და ქარიანი. „დიდსაჩინო“ ალაპარაკდა. კასპის ცემენტის ქარხნის ღუმელიდან ცაში ავარდა რუხი კვამლი.

დაიბადა 400-მარკიანი პორტლანდ ცემენტი.

1931 წლის 1 იანვრიდან ქარხანა შევიდა ექსპლოატაციაში და დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი 518 ახალ გიგანტს შორის.



## გიგანტების გვირგვინი

საბჭოთა ქვეყანა ინდუსტრიალიზაციის რელსებზე გადადის. მწყობრში დგება ახალი ფაბრიკები და ქარხნები, ცემენტს ითხოვენ დიდი გიგანტები: „ზაპსი და რიონჰესი, ფერომანგანუმის ქარხანა, ნატახტარის წყალსადენი, ალაზან-აბჰესის აუზები, ვვირაბები და ჯებირები, ხიდები და რკინა-ბეტონის კარკასები, ქვის ჩასაცმელები და ფილაქნები“. ცემენტი კი კასპიდან მოდის.

იგი პირველი და ერთადერთი ცემენტის ქარხანაა საქართველოში, ამიერკავკასიაში — მესამე. კასპის გიგანტს „დაკვეთას აძლევენ“ აზნავთი, საქნავთი, ჩვენი ქვეყნის მშენებლობანი.

საწარმოო გეგმა ქარხანას 1931 წლის 1 იანვრიდან მიეცა, მაგრამ მისი ოფიციალური საზეიმო გახსნა მაინც ამავე წლის 25 თებერვალს მოხდა.

აი, რას წერს გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი:

25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 10 წლის შესრულების დღეს, კასპში მოხდა ცემენტის ქარხნის საზეიმო გახსნა. ცემენტის ქარხნის 300 მუშა დილით ადრე გაეშურა სოფელ კასპში კოლმეურნეებთან შესახვედრად. საუბრის შემდეგ მუშები და კოლმეურნეები მწყობრი რიგებით გაემართნენ ქარხნისაკენ.

ქარხნის ალყაფის კარები მორთული იყო წითელი მატერიით, მიტინგის გახსნის წინ პარტრაიკომის მდივანმა ამხ. ელისაბედაშვილმა (რეპორტაჟში შეცდომით წერია ელიაშვილი ნ. ე.) გადაჭრა ლენტისი და გაისმა ქარხნის საყვირთა გუგუნე; კარიერებში დაიწყო აფეთქება, რომელიც გაგრძელდა 5 წუთს. პირველად მიტინგზე გამოვიდა ამხ. ელისაბედაშვილი. შემდეგ ილაპარაკეს საქართველოს სსრ-ის წარმომადგენელმა ამხ. კალანდაძემ და ცემენტის ქარხნის დირექტორმა. მათ აღნიშნეს კასპის ცემენტის ქარხნის როლი და მნიშვნელობა ამიერკავკასიის მშენებლობისათვის. მიტინგზე გამოითქვა საყურადღებო შენიშვნები, რომ „მუშაობას აფერხებს რკინიგზის ტრანსპორტი, რომელიც დროზე არ იძლევა ვაგონებს ცემენტის გასაგზავნად“.

მიტინგს ესწრებოდა და მიესალმა სომხეთის ცემენტის ქარხნის მუშების დელეგაცია.



„ჩვენ ვამაყობთ, — განაცხადეს მათ, — ჩვენი მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა გამარჯვებებით. თქვენ და ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს — სოციალიზმის მშენებლობა<sup>1</sup>.

შემდეგ კოლმეურნეებს დაეთმო ტრიბუნა.

იქვე, მიტინგზე 60 გლეხმა შეიტანა განცხადება კოლმეურნეობაში შესვლის, ხოლო ქარხნის 38 საუკეთესო დამკვერღმა — პარტიაში შესვლის შესახებ.

მიტინგზე მოხდა დაჯილდოება. გარდამავალი წითელი დროშა გადასცეს საამშენებლო სამქროს, რომელიც ჩქარი ტემპით აწარმოებდა ქარხნის მშენებლობას: დღე-ღამის განმავლობაში ქარხანა მუშაობს. შეიქმნა 4 ცვლა (სამი მუშაობს, ერთი ისვენებს). არ ჩერდება „სმიდტის“ ფირმის ორი მბრუნავი ღუმელი, რომელთა საათური წარმადობა თითოეულში შეადგენდა 9 ტონას, ამავე ფირმის ორი ნედლეულისა და ორიც ცემენტის წისკვილი. ნედლეულის წისკვილები იძლეოდნენ 20—20 ტონა შლამს საათში, ხოლო ცემენტის წისკვილების წარმადობა — 11—11 ტონას.

კასპის ცემენტის ქარხნის მუშაობა ყურადღების ცენტრშია. ბრძოლა ცემენტისათვის მძაფრდება. შეფერხებებია ვაგონებით მიწოდების საქმეში.

„სექტემბრის პირველ დეკადაში კასპის ცემენტის ქარხანა საგრძნობლად ჩამორჩა. დეკადური გეგმით ქარხანას უნდა გამოეწვა 22.086 კასრი ცემენტი (კასრში ჩადიოდა 100 კილოგრამი), მაგრამ უმთავრესად ნახშირისა და „გიპსის“ თავის დროზე მიუწოდებლობის გამო გეგმა შესრულდა მხოლოდ 88 პროცენტით.

დაფქვის გეგმა შესრულდა 6 პროცენტი დანაკლისით. 11 სექტემბრის 1-ლ დეკადაში ქარხანამ დაფქვა 24.538 კასრი ცემენტი, ანუ გეგმა შეასრულა 94 პროცენტით; განსაკუთრებით ჩამორჩა მზა ცემენტის გაგზავნის საქმე.

ცემენტის გაგზავნის გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია ვაგონების საკმაო რაოდენობით მიუწოდებლობამ<sup>2</sup>.

გაზეთის კრიტიკა მეცემენტეებს დაეხმარა. მეორე დეკადის უკანასკნელ დღეებში კასპის ცემენტის ქარხნის მუშებმა დააჩქარეს ტემპები. 20 სექტემბერს ქარხანაში გამოიწვა 3.194 კასრი ცემენტი, ანუ დღიური დავალება შესრულდა 128 პროცენტით. დაიფქვა 3.360

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“ 1931 წ., № 48.



კასრი. გეგმა შესრულდა 106 პროცენტით. მეორე დეკადის ბოლო-რიცხვებში გაუმჯობესდა ვაგონების მიწოდების საქმე.

ქარხნის ცხოვრების პირველი წლები სიძნელეებით იყო აღსავსე: „ქარხანა მჭიდრო ნიადაგზე დგას, მომავალი დიდი აქვს, მაგრამ ძალიან ცოტა ყურადღება აქვს მიქცეული. ქარხანაში მომუშავენი აუტანელ მდგომარეობაში არიან... ასეთი მდგომარეობა კი ქმნის კვალიფიციური მუშახელის წასვლას წარმოებიდან, რაც უქადის გეგმების შესრულებას საფრთხეს. ამასთანავე არა აქვთ კლუბი, მხოლოდ პატარა სარაია-კლუბია, რომელიც იტევს 50 კაცს“<sup>1</sup>.

ქარხნის მუშაობას უკან ეწევა ვაგონების მიუწოდებლობა, შრომის დაბალი დისციპლინა, საწვავის ნაკლებობა.

ნოემბრის თვეში რკინიგზას უნდა მიეწოდებინა 441 ვაგონი, ფაქტიურად კი 116 ვაგონი მიაწოდა.

იმ წელს ყველაფერი გაკეთდა, რომ გეგმა შესრულებულიყო, მშენებლობებს გაუგზავნეს 120.924 ტონა ცემენტი.

ეს იყო სავაშოცლო გეგმა. შემდგომ წელს იგი გაიზარდა.

„კასპის ცემენტის ქარხანა საწ. საფ. გეგმის შესრულების საქმეში ბოლშევიკურად იბრძვის. ქარხანამ 1931 წლის გეგმა ყველა მაჩვენებელში გადაჭარბებით შეასრულა, 1932 წელს გეგმით ქარხანას მისცეს 900 ათასი კასრი (1931 წელს უნდა გამოეშვათ მხოლოდ 80 ათასი კასრი ნ. ე.) უმაღლესი ხარისხის ცემენტის დამზადება. გეგმის შესრულებისათვის საჭიროა საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი. მაგრამ ტყიბულის მალაროებში აფერხებენ ქვანახშირის დროულად მიწოდებას ქარხნისათვის, რამაც გამოიწვია ღუმელების გაჩერება და პირველ დეკადაში ნაწილობრივ ჩამორჩენა“<sup>2</sup>.

1932 წლის გეგმა — 139.500 ტონა ცემენტის გამოშვება — ქარხანამ ვერ შეასრულა. 4 საწარმოო ბრიგადიდან გეგმა მხოლოდ ერთმა დასძლია.

დაიწყო ქარხნისათვის მძიმე ცხოვრება, ნაკლოვანებებთან შეურიგებელი ბრძოლა, ხან რკინიგზა არ აწვდიდა დროზე ვაგონებს, ხან ნედლეული შემოდითა უხარისხო — ძირულის ცეცხლგამძლე აგურის ქარხნის მიერ გამოგზავნილი პროდუქცია უვარგისი იყო, არც ტყიბულიდან შემოდითა ხარისხიანი ქვანახშირი, მოისუსტებდა

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისმისაქენ“, 1931 წ., № 2.

<sup>2</sup> გაზ. „კომუნისმისაქენ“, 1932 წ., № 4.





პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაც, უჭირდათ კადრი, ბევრი იყო წერა-კითხვის უცოდინარი. საჭირო გახდა ბრძოლა, თავაუღებელი ბრძოლა, ნაკლოვანებების აღმოფხვრა. შექმნეს ტექნიკის შემსწავლელი წრეები. მუშები ჩააბეს წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლებსა და პოლიტწრეებში. ბრძოლა გამოუცხადეს შრომის დისციპლინის დამრღვევებს.

ბრძოლაში გამოჩნდნენ შრომის დამკვერელები. დაიწერა ნარკვევები, წერილები არტემ ბასიაშვილზე, ივანე გეჯაძეზე, ალექსანდრე ხაჩიძეზე, დავით მამულაშვილზე, დავით ასანიძეზე, ადამ პავლიაშვილზე, ლექსო ნონიაშვილზე, დავით როსებაშვილზე და სხვებზე.

შრომაში მიღებული წარმატებებისათვის 1931 წელს კასპელი კარიერის მტვირთავი მუშა დავით იოსების ძე მამულაშვილი „შრომის წითელი დროშის ორდენით“ დააჯილდოვეს.

1933 წელს გეგმით კასპის ქარხანას 425 ათასი კასრი ცემენტი უნდა გამოეშვა. საკონტროლო ციფრად 800.000 კასრი მიეცა. ქარხნის კოლექტივმა შემხვედრ გეგმად 25.000 კასრი წამოაყენა. ვერ შესრულდა.

„მიზეზი პირველ რიგში ქვანახშირის ნაკლებობაა. ტყიბული, რომლის ქვანახშირზედაც ქარხნის ღუმელები მუშაობდნენ, ვერ ასრულებდა დადებულ ხელშეკრულებას. ქარხანა ყოველდღიურად უნდა ღებულობდეს 10 ვაგონ ქვანახშირს, ფაქტიურად კი საშუალოდ დღეში 4—5 ვაგონს ძლივს ღებულობს“<sup>1</sup>.

ქარხნის მუშები და სპეციალისტები შეშფოთებული იყვნენ. ისინი პრესის ფურცლებიდან აცხადებდნენ: „საქართველოს მშენებლობის გიგანტები მოითხოვენ ცემენტს, — საჭიროა ვაგონები!“.

ცემენტს ელოდებიან: რიონჰესი, აზნავთი, ერევანი, ზაჰესი, თბილისი, ბაქო და სხვ.

ასეთ დაძაბულ ატმოსფეროში ქარხნის ხელმძღვანელობა მაინც ზრუნავს მუშათა საყოფაცხოვრებო, კულტურული მომსახურებისათვის, საკითხს აყენებს ზემდგომი ორგანოების წინაშე, რომ კასპში აშენდეს საზაფხულო კლუბი, მოწესრიგდეს ბინათმშენებლობის საქმე და სხვ.

ამბულატორიის უხეირო მუშაობის შედეგად მოუწესრიგებელია

<sup>1</sup> „წითელი წიგნი“, გვ. 52.



საექიმო დახმარება. კრიტიკის შემდეგ კასპში ახალი საავადმყოფო ააშენეს, ცემენტის ქარხანაში კი დატოვეს სამედიცინო პუნქტი, რომელიც დღესაც ემსახურება მათ.

1945 წლამდე ქარხანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ამ წელს ქარხნის გვერდით შიფერის ქარხანა ააშენეს (რომელსაც ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობდა, მთავარი ინჟინერი იყო რიკმანი). 1945 წელს ქარხანამ ცემენტის გამოშვების გეგმა 125,3 პროცენტით შეასრულა.

1947 წელს ინსტიტუტ „გიპროცემენტის“ მიერ შემუშავდა ქარხნის გაფართოების პროექტი. იგი ითვალისწინებდა ერთი ტექნოლოგიური ხაზის დამატებას ყველა ძირითად საამქროში. პროექტი დაამტკიცა სსრ კავშირის საშენ მასალათა სამინისტრომ 1947 წლის 14 აგვისტოს და დაიწყო მშენებლობა. 1949 წელს ქარხნის სიმძლავრე უკვე საკმაოდ გაიზარდა, რადგან ექსპლოატაციაში გადაეცა ნედლეულის ერთი წისქვილი, ერთი მბრუნავი ღუმელი პოლიზიუსის ფირმისა, და იგივე ფირმის ცემენტის წისქვილი, მოხდა კირქვის კარიერის რეკონსტრუქცია, კლინკერის საწყობის გაფართოება, დაიდგა ახალი შლამსადენები და ცემენტის სილოსები.

№ 1 და № 2 ღუმელებს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1951—1952 წლებში, რითაც მათი საათობრივი წარმადობა კიდევ უფრო გაიზარდა.

1953 წელს დაფქვის საამქროში ექსპლოატაციაში გაუშვეს ცემენტის წისქვილი, რამაც უფრო გაზარდა სიმძლავრე.

ნედლეულის საამქროს 1957 წლის აგვისტოში შეემატა წისქვილი, რამაც მთლიანად უზრუნველყო რეკონსტრუირებული ღუმელების რიტმული მუშაობა.

კვლავ გაფართოების სამუშაოები. შედგა პროექტი № 4 ღუმლის დადგმაზე და № 3 ღუმლის რეკონსტრუქციაზე. საკმაოდ დაგრძელდა № 3 ღუმელი. ამიტომ მისმა საათურმა წარმადობამ 20 ტონას მიაღწია. 1959 წელს ექსპლოატაციაში გაუშვეს № 4 მბრუნავი ღუმელი. კვლავ ემატებათ წისქვილები ნედლეულისა და დაფქვის საამქროებს, იზრდება წარმადობა.

1966 წელს ქარხანამ აითვისა ახალი სახეობის ე. წ. სულფატომდეგი ცემენტისა და სწრაფად მაგრებადი ცემენტის გამოშვება. იმ წელს გამოუშვეს 215 ათას ტონამდე სულფატომდეგი და 66 ათასი



ტონა სწრაფად მაგრებადი ცემენტი. სულფატომდეგი პუცოლანური პორტლანდ ცემენტმა ფართო გაქანება ჰპოვა ჩვენს რესპუბლიკაში წყალქვეშა და მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის დროს, სადაც აგრესიული წყლებისა და სხვა სულფატური მინერალების ზემოქმედებას აქვს ადგილი.

სწრაფად მაგრებადი ცემენტის მარკიანობა გაცილებით დიდი ჩვეულებრივ ცემენტზე და ამიტომ მას იყენებენ რესპუბლიკის მშენებლობებზე, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამზადებაზე და სხვ.

1945 წელს შიფერის ქარხანაში დამონტაჟდა ორი დამფორმებელი მანქანა. გამოშვებულ იქნა 912 ათასი პირობითი ფილა. შემდგომ წლებში მოხდა შიფერის საამქროს რეკონსტრუქცია და 1954 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა მესამე დამფორმებელი მანქანა, ინჟინერ ერშოვის ავტომატური დამფორმებელი კონვეიერი, რომელმაც მნიშვნელთვნად გააუმჯობესა შრომის პირობები.

უკანასკნელ წლებში მრავალი სახის პროდუქცია აითვისა ქარხანამ. აქ მზადდებოდა თბილისის მეტროპოლიტენისათვის საჭირო სხვადასხვა მასალა, კონსტრუქციული შიფერი და სხვ.

1980 წელს ქარხანამ აითვისა ახალი სახეობის პროდუქცია. დაიდგა ორი დანადგარი წვრილი საკედლე ბლოკების გამოსაშვებად. პირველ წელსვე გადაჭარბებით — 105,2 პროცენტით შესრულდა წვრილი საკედლე ბლოკების გამოშვების გეგმა.

ქარხნისათვის ყველაზე მომგებიანი იყო მე-4, 5, 6, 7, 9 ხუთწლედები. განვილილ 50 წელიწადში კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატმა ქვეყანას მისცა 20 მილიონ 540.032 ტონა ცემენტი, მილიარდ 676 მილიონი პირობითი ფილა შიფერი, მილიონ 501.495 კუბური მეტრი წვრილი საკედლე ბლოკი.

კომბინატმა ბუნებრივი გაზი 1967 წელს მიიღო და გაუმჯობესდა საწვავით მისი მომარაგების საქმე.

შიფერხეხები კი გრძელდება. ხან გაზის მიწოდებაში ვერ არის ყველაფერი რიგზე, ხან ნედლეულითა და ვაგონებით მომარაგებაში. კომბინატში ოპტიმისტური განწყობილება საამქროებიდან საამქროებში გადადის.

ტრიალებენ მბრუნავი ღუმელები.  
გიგანტი სუნთქავს.



\* \* \*

ფართო კეთილმოწყობილ სამუშაო ოთახში მუდამ ხალხმრავლობაა. მოდიან საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ჯგუფორგები, პროპაგანდისტები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, ლექტორ-მომხსენებლები, კედლის გაზეთების რედაქტორები, კომუნისტები.

ვის რა საქმე აქვს, უჭირთ, ულხინთ. ყველას პასუხი უნდა გაცეს პარტიული კომიტეტის მდივანმა, მათი საწუხარი გულთან მიიტანოს, მოინიშნოს, მოაგვაროს...

ასე იყო.

ასე გრძელდება.

იმ პირველ მშენებელთა შორის, ცემენტის ქარხანას, რომ აშენებდნენ კასპში, თითებზე დასათვლელ კომუნისტებს თუ შეხვდებოდით. მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა, თუმცა იყო წლები, როცა მცირდებოდა კიდევ, და ეს როდი ხდებოდა უმტკივნეულოდ.

1932 წელს ქარხნის პარტიული ორგანიზაცია 120 წევრსა და სკკპ წევრობის კანდიდატს აერთიანებდა. ჩამოყალიბებული იყო სამი პოლიტსკოლა და ერთი თემატური წრე. პოლიტსკოლაში გაერთიანდა 228 კაცი, აქედან 100 პარტიის წევრი.

მათი უპირველესი საზრუნავი იყო: სოციალისტური ქვეყნისთვის მიეცათ გეგმაზე მეტი ცემენტი.

„კასპი. 22 სექტემბერი. მეორე დეკადის უკანასკნელ დღეებში ქარხნის მუშებმა გააძლიერეს ტემპები. 20 სექტემბერს ქარხანაში გამოიწვა 3.194 კასრი ცემენტი, ანუ დღიური დავალება შესრულებულია 128 პროცენტით. დაიფქვა 3.360 კასრი. გეგმა შესრულდა 106 პროცენტით“<sup>1</sup>.

და როცა იყო შეფერხებები, როცა ვერ სრულდებოდა გეგმები, კომუნისტები ხმას იმაღლებდნენ: „საგრძნობლად გაუარესდა დამზადებული პროდუქციის ხარისხი, საკმარისად არ არის გაშლილი როგორც პარტმასიური, ისე პროფკავშირული მუშაობა“<sup>2</sup>.

„მოგვეცით ვაგონები, ვიძლევიო ცემენტს“<sup>3</sup>. და კეთდებოდა ზოგჯერ დაუჯერებელიც კი გეგმების შესასრულებლად.

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1931 წ., № 219.

<sup>2</sup> გაზ. „მბრუნავი ღუმელი“ (ცემენტის ქარხნის ორგანო), 1932 წ., № 1.

<sup>3</sup> იქვე.

შრომაში იჭედებოდა გამარჯვება. იბადებოდნენ წარმოების გმირები, დამკვრელები. „კასპის ცემენტის ქარხანამ, სადაც ამჟამად მუშაობს 1.400 მუშა-მოსამსახურე, აღზარდა წარმოების მრავალი გმირი, რომლებისთვისაც ბრძოლა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის გახდა „ღირსების, პატიოსნების, მამაცობისა და გმირობის საქმედ“. სამაგალითო დამკვრელებად, რომლებიც ამართლებენ ამ მეტად საპატიო სახელწოდებას, ითვლებიან შემდეგი დამკვრელები, მუშები და სპეციალისტები: ს. დარჯანია, არტ. ბასიაშვილი, დ. ასათიანი, ვ. მჭედლიშვილი, ეს. გოგროჭიანი, ბ. შრაკოვი, მ. ომანიძე, ს. მამაჯანოვი, შ. ტაბატაძე, ამ. სირბილაძე, ვარლამ ჩოფიკაშვილი (ქარხნის მთ. ინჟინერი), ქ. რამიშვილი, დ. როსებაშვილი, ალექსანდრე ნონიაშვილი, ალექსანდრე აღნიაშვილი და ილია ხოსრუაშვილი“<sup>1</sup>.

მათი დიდი უმრავლესობა კომუნისტები იყვნენ.

ქარხანამ 1931 წლის გეგმა წარმატებით შეასრულა.

მომდევნო წელი შეფერხებებით დაიწყეს, 900 ათასი კასრი უმაღლესი ხარისხის ცემენტი უნდა დაემზადებინათ, მაგრამ „ტყიბულის მაღაროებში აფერხებენ ქვანახშირის დროულად მოწოდებას“<sup>2</sup> და პარტიულ ორგანიზაციასაც საზრუნავი გაუჩნდა. ჩამოყალიბდა ტექნიკის შემსწავლელი წრეები, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეთა სალიკვიდაციო სკოლები, შეიმუშავეს გეგმები, განსაზღვრეს მეცადინეობის დღეები, საათები.

კადრების მომზადების საკითხი მეტად მტკივნეული იყო. საჭირო გახდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში არსებულ ცემენტის ქარხნებში გაეგზავნათ მუშები, საიდანაც დაბრუნდებოდნენ კვალიფიცირებული გამომწვევლები, მეწისქვილეები და სხვა სპეციალისტები. პარტიულმა ორგანიზაციამ შეარჩია ახალგაზრდები. „პოდოლსკის ქარხანაში გაგზავნილ მეწისქვილე მუშათა ჯგუფში მოხვდნენ არტ. ბასიაშვილი, შაქრო ქართველიშვილი, არშაკ ღვინიაშვილი, ვანო გეჯაძე და სხვები“<sup>3</sup>.

ყველა წელს თავისი სიახლე მოჰქონდა ქარხანაში. იცვლებოდა

1 გაზ. „მბრუნავი ღუმელი“, 1932 წ., № 1.

2 გაზ. „კომუნისმისაკენ“, 1932 წ., 25 თებერვალი.

3 კასპის რაიონული გაზ. „კომუნისმისაკენ“, ამჟამად „განთიადი“, 1933 წ.



ბევრი რამ, იყო შეცდომები, კრიტიკა და თვითკრიტიკა. კომუნისტები ამხელენ ნაკლოვანებებს, იბრძვიან უკეთესი მერმისისათვის, პარტიული კრებები მძაფრი და პრინციპულია. „წისქვილი იყო გაჩერებული ერთი დღით, წუხს ერთ-ერთ კრებაზე კომუნისტი ბ. ვასილევნი, — საჭიროა მუშების მომზადება“... „მექანიკურ ცეხშივერ მუშაობენ“, — გული სტკივა ა. ბასიაშვილს, „პარტიის წევრებივერ იჩენენ ავანგარდულ როლს“, — ამბობს ზ. ვალოვაია (1937 წელი, ოქმი № 18)<sup>1</sup>.

მეტი ყურადღება მიექცა სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას. აგიტატორებად გამოჰყვეს: ქარხნის დირექტორი ვასილ გოგუა, ქარხკომის თავმჯდომარე ვანო დალაქიშვილი, საამქროს გამგე გრიგოლ მხეიძე, კლუბის გამგე შაქრო ქართველიშვილი, წარმოების მორიგე ალექსი გოლოშვილი, სტატისტიკოსი ზოია ვალოვაია, საბინაო განყოფილების გამგე გიორგი მჭედლიშვილი, ტექნიკი მერაბ მერაბაშვილი, ელექტრომონტიორი ალექსანდრე დარახველიძე, სახანძრო რაზმის უფროსი დავით გოგილაშვილი, დურგალი სანდრო ხეჩიკაშვილი.

კომუნისტები პირუთვნელად, მკაცრად მსჯელობენ ქარხანაში მომხდარი ავარიების მიზეზებზე, გეგმებზე.

1938 წლის 11 მარტს შედგა პარტიული კრება. მოისმინეს ცემენტის ქარხნის მუშაობის საკითხი. აღნიშნეს: „1937 წელს ცემენტის ქარხანამ საწ. საფ. გეგმა შეასრულა 80 პროცენტით“. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეული იყო შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობით, სტახანოვური მოძრაობისა და სოციალისტური შეჯიბრების გაუშლელობით, შრომის ნაყოფიერების დაცემით.

1937 წელს ქარხანამ განიცადა ერთი მილიონ 700 ათასი მანეთი ზარალი.

არც კარიერის მუშა-მოსამსახურეების შრომის პირობებს ივიწყებენ: „კარიერში ძალზე მოისუსტებს კულტმასიური მუშაობა. კარიერის მუშა-მოსამსახურეები სრულიად მოწყვეტილი არიან კულტმასიურ მომსახურებას. სუსტად მუშაობს საბინაო განყოფილება“<sup>2</sup>.

ბაქოს ცემენტის ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრების გასა-

<sup>1</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 2061, აღწ. I, ს I, ფურც. 12.

<sup>2</sup> მლითფა. ფ. 2061 აღწ. I, ს 2, ფურც. 29.



ფორმებლად იგზავნება დელეგაცია, რომელსაც კომუნისტი შაქრო ქართველიშვილი ხელმძღვანელობს.

ცემენტის ქარხანაში 1932—1933 წლებში გამოდიოდა გაზეთი „მბრუნავი ღუმელი“ (პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანო, იბეჭდებოდა თბილისში, გაზეთ „კომუნისტის“ სტამბაში. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულია სამი ეგზემპლარი № 1, 2, 3. ნ. ე.) და შეძლებისდაგვარად ასახავდა ქარხნის ცხოვრებას.

შემდგომ წლებში ქარხნის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ძირეულ პრესას იყენებენ მშრომელთა დასარაზმავად. კედლის გაზეთის რედაქტორებად ირჩევენ უნარიან, გამოცდილ კომუნისტებს და როცა ვერ ამართლებდნენ (ასეთი შემთხვევებიც იყო), პარტიულ კრებაზე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ.

ქარხანას ქალებიც აშენებდნენ, პროდუქციას ქმნიდნენ. ბევრი რამ კეთდებოდა ქალთა შორის მასობრივი მუშაობის გასაშლელად, მაგრამ როცა ერთხანს ეს საქმე უკან მოიტოვეს, კომუნისტმა ქალებმა ხმა აღიმადღეს, მუშაობის გარდაქმნა მოითხოვეს.

„არც ინტერნაციონალური აღზრდის საკითხი დგას კარგად“, თქვეს ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე, — სტახანოვურ მოძრაობაზე ვერ არის სათანადო დახმარება“... „საკლებო მუშაობა ძალიან დაბალ დონეზეა, საჭიროა ყურადღების გამახვილება“.

პარტიულ კრებებზე იხილავდნენ ცხოვრებისეულ, აქტუალურ საკითხებს, მსჯელობდნენ წარმატებებზე, ნაკლოვანებებზე, მოითხოვდნენ საამქროების მუშაობის გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

1938 წელს მათ თბილისის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება დანერგეს ცხოვრებაში. ამ მიზნით მოაწყეს ექსკურსიები თბილისის მოწინავე საწარმოების პარტიულ ორგანიზაციებში.

1939 წელს საკ. კპ(ბ) მე-18 ყრილობა გაიმართა.

წინა საყრილობო შრომით ვახტზე დადგა კასპის ცემენტის ქარხანა.

ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით კომუნისტებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

კომუნისტმა ალექსი გოლოშვილმა ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე (11 თებერვალს) თქვა: „მე-18 ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით № 1 ბრიგადას ვაცხადებ მე-18 ყრილობის სახელობის ბრი-



გადად და პირობას ვიძლევი კლინიკურის დაწვის გეგმა შევასრულოთ გადაჭარბებით და როგორც ჩემი საამქროს აგიტატორი შევასწავლო ჩემს საამქროში თეზისები ყველა მუშა-მოსამსახურეს“ (სტილი დაცულია. ნ. ე.)<sup>1</sup>.

არც პარტკგუფორგი ალექსანდრე დარახველიძე რჩება ვალში: „მე-18 საკ. კპ(ბ) ისტორიულ დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით ვიღებ ვალდებულებას, როგორც პარტორგი, ვამუშაო ჩემი საამქროს ელექტროდანადგარები და ცემენტის წისქვილები შეუფერხებლივ და უავარიოდ, მისი რემონტი დავიყვანო მინიმუმამდე“.

ალექსანდრე დარახველიძეს, როგორც მოწინავეთა შორის მოწინავეს, მე-8 სარაიონო პარტიულ კონფერენციაზე გზავნიან დელეგატად.

მეცემენტე კომუნისტებმა საკ. კპ(ბ) მე-18 ყრილობის გახსნის თვე, თებერვალი დამკვრელურად გამოაცხადეს და ივალდებულეს, რომ ამ თვეში 11.500 ტონის ნაცვლად გამოუშვებდნენ 12.270 ტონა ცემენტს, გეგმის ზევით 1.200 ტონას.

პარტიული ორგანიზაცია დღენიდაც სრულყოფდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. საამქროებში გაშლილი იყო სააგიტაციო მუშაობა, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ საკ. კპ(ბ) ისტორიის შესწავლას. პროპაგანდისტულ მუშაობას აწარმოებდნენ და ქებას იმსახურებდნენ შალვა ტაბატაძე; სევერიან დარჯანია, ილია ხოსრუაშვილი, ბაგრატ ალავერდაშვილი, არჩილ ჯოჯიშვილი, ნადია ჰელიაშვილი და სხვები.

1941 წელს ქარხანაში 55 კომუნისტი ითვლებოდა და 19 წევრობის კანდიდატი. 30 ივნისს კრება გაიმართა. მოისმინეს საკითხი: „ომიანობასთან დაკავშირებით ქარხანაში თავდაცვითი ღონისძიებების გატარების შესახებ“.

მიღებულ დადგენილებებს შესრულება მოჰყვა. ჩამოყალიბდა თავდაცვითი ჯგუფები და წრეები, შემოიღეს სადღეღამისო მორიგეობა. ომში წასული ბიჭების უმრავლესობა ქალებმა შეცვალეს.

სააგიტაციო-მასობრივი მუშაობაც ლუბა ბოხუამ, ტაისა ბასანსკაიამ (იგი შემდეგში ომის გრძელ გზაზე წავიდა), რუსუდან ქისტიშვილმა და სხვებმა გაშალეს. კედლის გაზეთების (ქარხნის კედლის

1 მლითფბა. ფ. 2061, აღწ. 1, ს. 5. ფურც. 26.

2 იქვე, ფურც. 27.





გაზეთს რედაქტორობდა ინჟინერი ვლადიმერ კატარმასოვსკი) გამოშვებაში აქტიურობდნენ ტასო ზამბახიძე, მარია ოტსტანოვა, მარია ტოკაევა, ნინა ტარანოვა, თამარ ხიზანიშვილი.

შეიქმნა წითელი არმიისათვის თბილი ტანსაცმლის შემგროვებელი კომისია. ქარხანა, ცემენტის გარდა, ფრონტისათვის საჭირო სხვა პროდუქციასაც უშვებდა.

ცეცხლის წვიმა მოდიოდა საბჭოეთში და ცხოვრება უჭირდათ კასპელ მეცემენტეებსაც.

1945 წლის მაისი იდგა. გამარჯვებისა და ვარდობის თვე. იმ წელს მაისის თვის გეგმა კასპის ცემენტის ქარხანამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა. 5.500 ტონის ნაცვლად 5.687 ტონა კლინკერი გამოუშვეს, ხოლო 5.500 ტონის ნაცვლად 6.036 ტონა ცემენტი მისცეს გამარჯვებულ ქვეყანას.

1945 წელს შიფერის ქარხანამ პირველი პროდუქცია მისცა სამშობლოს.

იწყება ახალი კარიერის მშენებლობა.

საქმე მოემატა მშენებლობის განყოფილების უფროსს, კომუნისტს ვლადიმერ კატარმასოვსკს.

საზრუნავი მეტი აქვს პარტიულ ორგანიზაციას. და კეთდება ყველაფერი სახელმწიფო, შრომის დისციპლინის განმტკიცების, წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, არსებული რეზერვების ამოქმედების, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

იყო წარუმატებლობის წლებიც. ადგილი ჰქონდა შეფერხებებს.

მოუწესრიგებელი ცემენტისა და აზბესტის ელევატორები... კვალიფიციური მუშახელი არა ჰყავთ... არა აქვთ მექანიკური სახელოსნო, ლაბორატორია, სასადილო, კანტორა, საერთო საცხოვრებლები.

1949 წელს მწყობრიდან გამოდის კირქვის კარიერი. კარიერის ავარიასთან დაკავშირებით სოფელ ქებაანში გამოიყო 6 ოთახი საცხოვრებელი ბინა. ზომებს იღებს პარტიული ორგანიზაცია.

ელსდგა საჰაერო-საბაგირო გზა, აშენდა სამტვრევი განყოფილება. ქარხანაში გაუშვეს მე-3 ღუმელი. № 1 ღუმელს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. დიდი იყო კომუნისტების წვლილი ამ საერთო-სახალხო საქმიანობაში. მეტი ყურადღება მიექცა მშრომელთა



მატერიალურ წახალისებას, ქეჩარუხის დასახლების (აქ ძირითადად მეცემენტეები ცხოვრობენ ნ. ე.) კეთილმოწყობასა და გამწვანებას.

ყველაფერმა ამან წახალისა მუშები და დადებითი როლი შეასრულა საწარმოო გეგმების შესრულებაში. 1949 წელს ქარხანას გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 1948 წლის IV კვარტლის 131 პროცენტით შესრულებისათვის.

ქარხანამ მთელი სამი კვარტლის განმავლობაში ზედიზედ შეინარჩუნა დროშა და ითვლება სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

1950 წელს ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ითვლიდა 118 წევრსა და 11 კანდიდატს.

ქარხანა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა შორის დგას. საქართველოს კპ (ბ) XIV ყრილობაზე ითქვა: „პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კასპის ცემენტის ქარხნის კარგი მუშაობა, რომელიც 1945 წლიდან გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. განსაკუთრებით კარგ წარმატებებს მიაღწია ქარხანამ 1948 წელს, როცა გეგმის გადამეტებით გამოუშვა რამდენიმე ათასი ტონა ცემენტი“<sup>1</sup>.

ერთობ ძნელია ამ პატარა ნარკვევების წიგნში სრულყოფილად ასახო ქარხნის კომუნისტების ცხოვრების თითოეული წელი. მათი წარმატებები, ნაკლოვანებები, ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის.

კომუნისტების შრომითი საქმიანობა უფრო გამოჩნდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში. სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა პირველი და მეოთხე მბრუნავი ღუმლების რეკონსტრუქცია, რამაც ქარხანას დამატებით ყოველწლიურად მისცა 30 ათასი ტონა ცემენტი.

იმ წლებში თავი გამოიჩინეს კომუნისტებმა, შიფერის საამქრდს უფროსმა ვ. კოტლიარმა (ახლა იგი დირექტორის მოადგილეა), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, შიფერის დამფორმებელი მანქანის უფროსმა მემანქანემ ვ. მანძულაშვილმა (სოციალისტური შრომის გმირი), მექანიკოსმა ა. არაქელოვმა და სხვებმა,

<sup>1</sup> მლითფა. ფ. 2061 აღწ. 1, ს. 26, ფურც. 39.



რომელთა ინიციატივით უზრუნველყვეს შიფერის დამფორმებელი მანქანების კასკადური მეთოდით კვებაზე გადაყვანა.

1974 და 1975 წლებში რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის კასპის ცემენტის ქარხანა დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშითა და დიპლომებით.

მეცემენტე კომუნისტების სამოქმედო დოკუმენტად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ამ დადგენილების ცხოვრებაში განხორციელებისათვის დღესაც ბევრი რამ კეთდება კომბინატში. გააქტიურდა პარტიული, ეკონომიკური სწავლება, დიდ მუშაობას ეწევიან ავიატორები და პოლიტინფორმატორები. ისინი განუმარტავენ მშრომელებს პარტიისა და მთავრობის იმ დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისა და საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

ქარხნის იდეოლოგიურმა მუშაკებმა ცოტა როდი გააკეთეს, რომ მშრომელები უკეთ გასცნობოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებებს — „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“.

დიდი ყურადღება ექცევა ლექციურ პროპაგანდას (ტარდება ლექცია-მოხსენებები, საუბრები), ზეპირ პოლიტიკურ ავიაციას, თვალსაჩინოებას. პარტიული კომიტეტის ზრუნვის საგანია ისიც, თუ როგორ ატარებს თავისუფალ დროს კომბინატის მუშა, სპეციალისტი. ამიტომ მსჯელობენ ფიზკულტურულ-სპორტულ, კულტურულ ღონისძიებებზე, იხილავენ გეგმებს, აწყობენ საღამოებს, ექსკურსიებს. 1979 წელს მათ შეხვედრა მოუწყვეს რაიონის სკოლების კურსდამთავრებულებს, გაცილება — საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს.

კომბინატის კოლექტივის და მათ შორის კომუნისტების დიდი გამარჯვება იყო, როდესაც „პორტლანდ—400“ მარკის ცემენტს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა.

არ მომხდარა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რომ კასპელი მეცემენტეები არ გამოხმაურებოდნენ.

მეცემენტეებმა სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად მზადება ად-



რევე დაიწყეს. შრომითი ერთუზიანში შემატა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის მსმენელთა ინიციატივამ, სადაც მეცადინეობას ატარებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე. სპეციალური მეცადინეობა მიუძღვნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების განხილვას და გამოვიდნენ ახალი პარტიოტული მოძრაობის ინიციატორები, რომლის დევიზი იყო: „ლენინური პარტიის ყრილობას — დამკვრელური შრომა, სანიმუშო ყოფა“.

ეს დევიზი აიტაცეს ცემენტ-შიფერის კომბინატის პარტიული, ეკონომიკური, კომკავშირული განათლების სისტემის მსმენელებმა და არ დაზოგეს ძალა და ენერჯია პროპაგანდისტებმა არსენ პეპანაშვილმა, ჯემალ გოცირიძემ, ლილი მარჯანიშვილმა, მაყვალა გოზალოვმა, ვლადიმერ მგელაძემ, გიორგი მერებაშვილმა, რობიზონ ხიზანიშვილმა, ჯემალ ვაბოძემ, ვიტალი შარიქაძემ და სხვებმა, რომ გეგმის ზევით გამოეშვათ 2 ათასი ტონა ცემენტი, 200 ათასი პირობითი ფილა შიფერი, 200 კუბური მეტრი წვრილი საკედლე ბლოკი.

კომბინატში ხშირად შეფერხებებია გაზის მიწოდებასა და ნედლეულით მომარაგებაში (ასეთი მიზეზების გამო ხშირად ვარდებოდა გეგმები), რის გამოც 1978 და 1979 წლის პირველ კვარტლებში ვერ შესრულდა გეგმები. დღის წესრიგში დადგა საკითხი: საკუთარი ძალებით დაემონტაჟებინათ ღუმელებში მახუთის მიმწოდებელი მოწყობილობა. პოლიტინფორმატორთა ჯგუფის ხელმძღვანელის, კომბინატის დირექტორის თენგიზ ალიბეგაშვილის, აგიტატორების სერგეი გალუშენკოს, ნიკოლოზ ზავადნოვის, გიორგი მარქარაშვილის აქტიური მონაწილეობით მოხერხდა რკინიგზის რონოდებიდან მიეწოდებინათ მახუთი № 1 და № 2 ღუმელებისთვის. ამან კი შესაძლებლობა მისცა იანვრის თვეში (1980 წელს) ცემენტის გამოშვების გეგმა შეესრულებინათ 67 პროცენტით (გაჩერებული იყო მანამდე), შეუფერხებლივ გამოეშვათ შიფერი, ბლოკი.

კომუნისტებმა მიხეილ კობამ, გიორგი მარქარაშვილმა, ბორის ხრილოკიშვილმა, სერგეი გალუშენკომ პარტიულ კომიტეტს მიმართეს თხოვნით: სამუშაო საათების შემდეგ პრაქტიკულ დახმა-



რებას გაუწევდნენ მშენებლებს, რადგანაც ჭიანჭურდებოდა სამაზუთე მეურნეობის მშენებლობა. პარტიულმა კომიტეტმა და დირექციამ ნება დართეს მათ და შეიქმნა ზეინკალ-შემდუღებელთა ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ კომუნისტები ილია ჩოჩელი, ნოდარ შუბითიძე და სხვები. მათი თავდადებული შრომის შედეგად სამაზუთე მეურნეობა ორი თვით ადრე შევიდა ექსპლოატაციაში. კომუნისტების: ნოდარ დარახველიძის, შალვა მესროფაშვილის, ვალერიან ნიპარიშვილის, ირაკლი ქებაძის, შალვა ბაინდურაშვილის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით დამონტაჟდა შიფერის წარმოებაში კონვეიერი, რამაც საშუალება მისცა მათ, დაეწყოთ ახალი გაძლიერებული „უვ—1750“ მარკის შიფერის გამოშვება.

კომბინატში ფართო გასაქანი აქვს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას, რომელშიც ჩაბმულია 1214 კაცი; ოთხ საამქროს, 6 ცვლას, 10 ბრიგადას, 198 მშრომელს მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელი, ხდება სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მატერიალური და მორალური წახალისება.

ახლოვდებოდა საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავის იუბილე. კასპელმა მეცემენტეებმა გადაწყვიტეს საჩუქრით შეხვედროდნენ ამ ლამაზ დღესასწაულს: სამშობლოსათვის გეგმის ზევით გაეგზავნათ კვირაში 60 ტონა ცემენტი.

მეცემენტე კომუნისტებს უსმენენ უფრო მაღალ ტრიბუნებზეც, მონაწილეობენ რაიონულ, რესპუბლიკურ და საკავშირო კონფერენციების, პლენუმების, ყრილობების მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი ვარდენ მანძულაშვილი.

საქართველოს კომპარტიის 24-ე, 25-ე და 26-ე ყრილობებზე თავის მოსაზრებებს უზიარებდა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის დირექტორი თენგიზ ალიბეგაშვილი.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარი სოციალისტური ძვრები კასპელმა მეცემენტეებმა კანონზომიერად მიიჩნიეს და თავადაც გააჩაღეს ბრძოლა ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.



პარტიული კომიტეტი ხელმძღვანელობს და ეხმარება პროფკავშირულ, კომკავშირულ, ნებაყოფლობით ორგანიზაციებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებს, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიას და მათ შორის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლ კომისიასაც.

კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ყოველთვის იყო ზემდგომი ორგანოების ყურადღებისა და მზრუნველობის საგანი.

საქართველოს კპ კასპის რაიკომის პლენუმმა 1980 წლის 31 მარტს მოისმინა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის პარტიული კომიტეტის ანგარიში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ზემდგომი გაუმჯობესების თაობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად X ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ“, ხოლო 1981 წელს რაიკომის ბიურომ — კავთისხევის კირქვის კარიერის პარტიული ბიუროს ანგარიში „სკკპ 26-ე ყრილობის ღირსეულად შესახვედრად მზადების შესახებ“.

წარმატებებთან ერთად ნაკლებიც მიუთითეს. ნაკლი აქვთ და მის გამოსასწორებლად ძალ-ღონეს არ ზოგავენ კომბინატის 372 კომუნისტი (14 სკკპ წევრობის კანდიდატია), რომლებიც 14 პირველადი უფლების მქონე პარტიული ორგანიზაციის და 28 პარტიულ ჯგუფშია გაერთიანებული, აგიტკოლექტივი (20 პროპაგანდისტი, 65 აგიტატორი, 12 პოლიტინფორმატორი), კედლის გაზეთების რედაქტორები. ნათქვამია: „მაღალი ავტორიტეტი, რომელიც საწარმოს კომუნისტებმა მოიპოვეს, ხელს უწყობს ქარხნის პარტორგანიზაციის ზრდას. უკანასკნელ წლებში სკკპ რიგებში შევიდნენ ისეთი მოწინავე მშრომელები, როგორებიც არიან: ნედლეულის საამქროს ცვლის ოსტატი მ. ი. თხინვალი, ელექტროსაამქროს მექანიკოსი ვ. ი. გუბაშოვი. ახალგაზრდა ინჟინრები ცხაკაია, მაჭავარიანი, კოვზირიძე. ისინი კომკავშირელები მოვიდნენ და ქარხანაში გახდნენ კანდიდატები, შემდეგ სკკპ წევრები. ახლა პარტორგანიზაცია დიდი ძალაა“.

კომბინატის ცხოვრების რიტმს მხარი აუბეს ახალგაზრდებმა, სკკპ წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა: ექსკავატორის მემანქა-



ნემ ტ. ქებაძემ, დაფქვის საამქროს მექანიკოსმა ვ. მალაციძემ, საამქროს უფროსის მოადგილემ ო. ახალკაცმა, კავთისხევის კირქვის კარიერის ცვლის უფროსებმა გ. მონასელიძემ, ვ. თავგიაშვილმა, გამოწვის საამქროს მექანიკოსმა ნ. ნაგლიაშვილმა, ცემენტის მეწისქვილემ გ. ბიჭიაშვილმა, ზეინკალმა ბ. წიკლაურმა, ნედლეულის საამქროს მეწისქვილემ ტ. შარიფაშვილმა, თვითმცლელი მანქანის მძღოლმა ლ. შეშაბერიძემ და სხვებმა.

პარტიულ ორგანიზაციას, მის პარტიულ კომიტეტს უკანასკნელ წლებში ხელმძღვანელობდა გამოცდილი პარტიული მუშაკი ოთარ მაღალაშვილი. მისი სამეურნეო სამუშაოზე გადაყვანის შემდეგ პარტიული კომიტეტის მდივნად დაინიშნა ვახტანგ ჩხეიძე, რომელიც მანამდე განაგებდა კომბინატის საწარმო-ტექნიკურ განყოფილებას.

განათლებული, თავის საქმეზე შეყვარებული ინჟინერი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კომბინატში. იგი 1964 წელს მოვიდა ქარხანაში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა ცვლის უფროსად, საამქროს უფროსად, კადრების მომზადების უფროს ინჟინრად, უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის განყოფილების უფროსად, ამ კომბინატში გახდა კომუნისტური პარტიის წევრი, საზოგადოებრივი დავალებების ჩინებული შემსრულებელი.

პარტიულ კომიტეტში მოდიან საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მდივნები და ჯგუფორგები, იდეოლოგიური მუშაკები, კომუნისტები. აქვეა პოლიტგანათლების კაბინეტი. ნათელ, კეთილმოწყობილ ოთახში ყველაფერია პარტიული მუშაკის დასახმარებლად. ყველაფერი გემოვნებითა და მონდომებით არის შერჩეული: სტენდები, პარტიული დოკუმენტები, ლიტერატურული გამოფენები, პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და იდეოლოგიური მუშაკების დასახმარებელი კუთხეები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, პლაკატები, ლოზუნგები.

თვალს იზიდავს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, სკკპ პოლიტბიუროს შემადგენლობის, კომბინატის ვეტერანების ფოტოსურათები, ჯილდოები, გარდამავალი წითელი დროშები, ვიმპლები, საპატიო სიგელები. აქ ტარდება პარტიული ორგანიზაციების მდივნების იდეოლოგიური მუშაკების თათბირ-სემინარები, ლექცია-მოხსენებები, ტელევიზიით ნახულობენ კინოფილმებს, საინტერესო გადაცემებს, უსმენენ რადიომიმღებს.



კომუნისტები სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის იბრძვიან.

მე-11 ხუთწლედის პირველი წელი წარმატებით დაიწყო. პირველივე კვარტალში რაიონის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურეს.

\* \* \*

დაეშვებიან მზის ფარდები დედამიწაზე და ქართლში გაწოლილ მთვლემარე მთებზე უხვად მიმოიბნევა ყვითელი არილი. გაელვძება „დიდსაჩიტეს“ და მზის თოკებზე გაჰკიდებს თეთრ ზეწრებს.

მალე აფეთქება შესძრავს მიდამოს.

„დიდსაჩიტე“ გულმკერდს გაიღელს და ვეება ლოდები მოსწყდებიან ფერდობს. აგუგუნდებიან ექსკავატორები, გაივსებიან „კრაზები“ და სამსხვრეველები შთანთქავენ მერგელებს...

კავთისხევის კარიერში კირქვა მზადდება.

აგერ, 50 წელია კვებავს იგი კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატს, ცოტა მოგვიანებით — რუსთავის ცემენტის ქარხანას.

წიაღისეული სამ უზნად იყო დაყოფილი. პირველი ნაწილი დეტალურად 1936 წელს შეისწავლეს და 16 მილიონი ტონით განსაზღვრეს. მეორე უზანი 1947 წელს გამოიკვლიეს, რომელიც წლების მანძილზე აწვდიდა ნედლეულს ქარხანას.

1949 წელს კასპის წიაღისეულის რაიონში დაიწყო კატასტროფული მეწყერი კარბონატული ფენების გადაადგილებით. მეწყერმა მოწყვიტა მნიშვნელოვანი ფართობი და მათ შორის ის ორი უბანიც. რაკი მეწყერული უბნების ექსპლოატაცია სახიფათო იყო, საჭირო გახდა ახალი უბნების მოძებნა და მისი შესწავლა. ასეთი უბანიც მოინახა 1949 წელს, დამუშავებული უბნის აღმოსავლეთით და დეტალურად შეისწავლეს 1950 წელს.

კატასტროფის შემდეგ აშენებული ახალი კარიერი 1958 წლამდე ემსახურა ქარხანას. ამ წელს სხვაგან კვლავ მოიძებნა ახალი ადგილი და პირველი პროდუქცია მისცა ამჯერად ორ საწარმოს: კას-



პის ცემენტ-შიფერის კომბინატს და რუსთავის ცემენტის ქარხანას.

1958 წლიდან კარიერი წარმოადგენდა დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საწარმოს, 1978 წელს კი ისევ შეუერთდა ცემენტ-შიფერის კომბინატს.

კარბონატული წიაღისეული, 1956 წლის მონაცემებით, 26.141.000 ტონას უდრიდა. დღეს ეს მარაგი იღვევა, სამიოდე წელს თუ ეყოფა კომბინატს.

მაღე სასხორთან მწყობრში ჩადგება ახალი კარიერი.

დგას ნახევარი საუკუნის ზღურბლთან კარიერი და წლებს კრიალოსანივით მარცვლავს.

გადავავლოთ თვალი მის წარსულს, ვნახოთ დღევანდელიც.

უწინ ყველაფერი პრიმიტიული იყო და ერთობ მძიმე, შრომატევადი. ვიწროლიანდაგიან ხაზზე, 5 ტონა ტვირთამწეობის ვაგონებით გადაჰქონდათ და მიეწოდებოდა სამსხვრეველას, საიდანაც დამსხვრეული კირქვა იგზავნებოდა კასპის ცემენტის ქარხანაში.

„კასპის ცემენტის ქარხნის თიხის კარიერიდან დატვირთული ვაგონების გამოზიდვა ცხენების საშუალებით წარმოებს“<sup>1</sup>.

მერე ხის საყრდენებიანი საბაგირო გზით შემოდიოდა ნედლეული ქარხანაში. დღეს რკინის კონსტრუქციებიანი სამი საპაერო-საბაგირო გზა მოემართება. ერთი კავთისხევის სადგურში მიდის, საიდანაც რუსთავის ცემენტის ქარხანას მიეწოდება კირქვა. მეორე და მესამე კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში. არ იკარგება წუთი. მოსრიალებენ ვაგონები ძვირფასი ნედლეულით. ყველაფერი გაანგარიშებულა. ზუსტია მანძილი მათ შორის: ერთ მხარეს დატვირთული რომ მიდის, მეორე ცარიელი ბრუნდება.

კირქვის მოპოვება აფეთქებით ხდება. მერე ექსკავატორები აგუგუნდებიან, დატვირთავენ „კრაზებს“, „ბელაზებს“ და ჩამოზიდავენ ლოდებს სამსხვრეველამდე. აქედან 25 მილიმეტრამდე დამსხვრეული კირქვა ხვამირებში ტრანსპორტიორით ჩაიყრება, ბოლოს ვაგონებში, რომელიც საბაგირო გზით მოედინება კომბინატში.

იყო სიძნელები, წარმატებები, ნაკლოვანებები. გამარჯვების

<sup>1</sup> გაზ. „მბრუნავი ღუმელი“, 1932 წ., № 1.



სიხარულიც განუცდიათ, დამარცხების სინანულიც. საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ერთნაირი მონდომებით იბრძვიან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციები, კომუნისტები, ახალგაზრდები... შრომითი ტრადიციები დიდი აქვთ. ღირსეული შემცვლელები დატოვეს დავით მორჩილაძემ, მათე ქებაძემ, გიორგი მანძულაშვილმა, ივანე ქოსაშვილმა, გიორგი კოშაძემ, ალექსი ქებაძემ, მელანო გორდიენკომ, მარიამ ელისაბედიაშვილმა, ფენია ტელიჩკომ და სხვებმა.

დიდ საერთო-სახალხო საქმეს აკეთებდნენ კარიერის ხელმძღვანელებიც. ამ საწარმოს ვეტერანებს დღესაც ახსოვთ გიორგი მაჩაბელი, რომელიც ჯერ სამთო საამქროს უფროსად მუშაობდა, მერე დირექტორად. იგონებენ იური ვოლობუევის, იოსებ ჭიქიას, გურამ გუმბერიძეს, ინდიკო რომელაშვილს, ლეონიდე წულეისკირს, ანზორ შაყულაშვილს. მათში ყველაზე სტაჟიანი უფროსი რობიზონ ხიზანიშვილია. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ რობიზონმა დონბასის შახტებში მიიღო შრომითი ნათლობა 1954 წელს. 1956 წელს კავთისხევის კირქვის კარიერში მოვიდა და საჰაერო-საბაგირო გზის უფროსად დანიშნეს. ოთხი წლის შემდეგ მთავარ მექანიკოსად გადაიყვანეს, მერე მთავარ ინჟინრად, 1975 წელს დატოვა რობიზონმა კავთისხევის კირქვის კარიერი, რადგან მეტეხის საშენ მასალათა კომბინატში გადაიყვანეს დირექტორად, 1979 წლიდან დღემდე ისევ კირქვის კარიერს ხელმძღვანელობს.

ბევრი მუშაკაცის მარჯვენა დაფასდა. ირაკლი ქებაძე 1940 წელს მოვიდა კავთისხევის კირქვის კარიერში. ზეინკალი კაცი წლების განმავლობაში ჯერ საბაგირო გზის მექანიკოსად მუშაობდა, მერე მთავარ მექანიკოსად. ახლა პენსიაზეა, მაგრამ სამსხვრევ საამქროში მის გარეშე საქმეს თითქოს არავინ აკეთებს. მორიგე ზეინკალია, ახალგაზრდობის კარგი აღმზრდელიც. პარტიამ და მთავრობამ შეაფასა მისი ღვაწლი: შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა. შვილი ტარიელი კარიერში მუშაობს, ახალგაზრდა კომუნისტი ექსკავატორის კარგი მემანქანეა და მამის ამაგის დამფასებელი.

ომის შემდგომ წლებში მოვიდა გიორგი ბახტაძე კირქვის კარიერში. 1948 წელი იყო. ზეინკლის პროფესია აქ შეისწავლა, ექსკავატორის მემანქანედაც მუშაობდა. თავი გამოიჩინა შრომაში და კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირად დააწინაურეს. წლების გან-



მავლობაში იხვეჭდა სახელსა და ავტორიტეტს გიორგი. გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა, საპატიო სიგელებსა და ჯილდოებს იღებდა. „შრომის წითელი დროშის ორდენით“ დააჯილდოვეს.

ვეტერანთა შორის გამოირჩევა ვლადიმერ მორჩილაძე. 1940 წელს დაიწყო ზეინკლად მუშაობა და დღესაც, პენსიონერი კაცი, ისევ სამსხვრევ საამქროშია, კომპლექსური ბრიგადის ზეინკალს საქმე არასოდეს ელევა.

შრომითი ესტაფეტა მამისაგან, დავით მორჩილაძესაგან მიიღო ვალოდია მორჩილაძემ. მისი შვილიც, შოთა მორჩილაძე, როგორც კი დაბრუნდა სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან, მამას ამოუდგა გვერდში, მძღოლის პროფესია აირჩია, ვეება „ქრაზით“ ყოველდღე კეცავდა გზას და სამსხვრეველამდე გამოჰქონდა მთას მოტეხილი ლოდები. საწარმოო გეგმებს 110—115 პროცენტით ასრულებდა. მოწინავე კომკავშირელზე იმედებს ამყარებდნენ ხელმძღვანელები.

არ დასცალდა. უცაბედად ჩაქრა ახალგაზრდა სიცოცხლე.

თეიმურაზ თხინვალელიც პენსიონერია, მაგრამ ვერ ელევა ზეინკალი კარიერს, ისევ მხნედ მოდის ყოველ დილით, სამსხვრევ საამქროში საქმე ბევრი აქვს, ახალგაზრდებთანაც უყვარს საუბარი, თავის გამოცდილებას გადასცემს, ასწავლის მათ შრომისა და ადამიანების სიყვარულს.

კარიერში პატივს სცემენ გაბრიელ აბუაშვილს, „შრომის წითელი დროშის ორდენის“ კავალერს, შრომითი საქმიანობა ზეინკლობით რომ დაიწყო, ბულდოზერსაც მართავდა და ექსკავატორსაც, ახლა ორივეს თავს დასტრიალებს პარკის ბრიგადირი.

ნოდარ აბუაშვილმა ავტომანქანის მძღოლობით გაითქვა სახელი, კუკური აბუაშვილმა — ხარატობით, გივი ბიტარიშვილი ბულდოზერის მემანქანეა, გიორგი კასრაძე წლების განმავლობაში ვაგონების გამგორებლად მუშაობდა, ახლა სამსხვრეველაზე მემანქანედ მუშაობს, შალვა კაციაშვილი ხარატია, გიორგი თხინვალელი ელექტრომონტიორი, ვალერიან თხინვალელი ექსკავატორის მემანქანე, შოთა ქარსელაძე — საბაგირო გზის ზეინკალი, ილია წივილაძე — ხვიმირის მუშა (პენსიონერი), გიორგი მორჩილაძე ხვიმირის მუშა. ამირან თხინვალელი საბაგირო გზის მორიგე ზეინკალი, ოთარ რევაზიშვილი — თბომავლის მემანქანე, ადიკო ზანგური — მძღოლი. მათთან ერთად იყოფენ ჭირსა და ლხინს საამქროთა უფროსები.



ჯეჟა ხოკერაშვილი, ანზორ ხიზანიშვილი, ავთანდილ კერესელიძე, თეიმურაზ მექანარიშვილი.

სანგრევში ბურღვა-აფეთქების სამუშაოებს აწარმოებს სამთო და გეოლოგიური საძიებო-საწარმოო სამმართველოს (უფროსი ჯ. ონოფრიშვილი) კავთისხევის ბურღვა-აფეთქების უბანი (უფროსი ი. კაციაშვილი, სამთო ოსტატი ჯ. ენუქიძე).

აფეთქების ტალღამ შეატორტმანა მთა და შვებით ამოისუნთქა ჯაბა ენუქიძემ. ამუშავდა ვალერიან თხინვალების ექსკავატორი და სამსხვრეველასაკენ დაიძრნენ მძლავრი „კრაზები“, რომლებსაც ადიკო ზანგური, ისმაილ ხალიფოვი, ბეჟან ბახტაძე და სხვები მართავენ. სამსხვრევი საამქრო წარმოების გულია, ფუსფუსებენ რემონტიორები, რომ არ შეფერხდნენ მანქანები. შრომაში ილევა დაძაბული დღე და სტატისტიკოსები აჯამებენ შედეგებს.

ისევ მოწინავეობენ სამსხვრეველას მემანქანე გიორგი ხიზანიშვილი, მცლევი გიორგი ირემაშვილი, ვაგონების გამგორებლები ალექსანდრე ნოქარაშვილი, ტარიელ ქსოვრელი, ანზორ მაზმიშვილი, იასონ წიკლაური.

მისრიალებენ საჰაერო-საბაგირო გზებზე ვაგონები და მიაქვთ კავთისხეველ სამთოელთა გარჯისა და შრომის შედეგი: კირქვა-მეცემენტეთა ძვირფასი განძი.

\* \* \*

საჰაერო-საბაგირო გზა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში ნედლეულის საამქროსთან მთავრდება. აქ იცლება კირქვა. ნედლეულს 10 ხახდაფჩენილი ხვიმირა ელოდება. დატრიალდებიან ნუგზარ ქოსაშვილის „ბიჭები“ — მეწისქვილეები, მოტორისტები, ყველა, ვისაც მიღებული კირქვის მოვლა და პატრონობა ევალება. ხვიმირებიდან ნედლეული წისქვილებში გადადის. კვების რეგულირებას სპეციალური დანები ახდენენ. წისქვილები მოძრაობაში მოდიან მძლავრი ელექტროსინქრონული ძრავით.

წისქვილებში კირქვა იფქვება წყალთან ერთად. დაფქვილი შლამის წყლიანობა არ უნდა აღემატებოდეს 39 პროცენტს (რასაც ზუსტად ადგენენ ლაბორატორიის მუშაკები), შლამტუმბოების საშუალებით გადაიქაჩება ვერტიკალურ შლამაუზებში, სადაც ხდება მისი კორექტირება, ხოლო ნორმალური ქიმიური შემადგენლობის



შლამი — ვერტიკალური აუზებიდან ტუმბოების საშუალებით ჰორი-  
ზონტალურ შლამაუზებში, აქედან კი მიეწოდება რუმელებს.

ნედლეულის საამქროში პირველადი გადამუშავება ხდება, ამი-  
ტომაც არ არის გასაკვირი ამ საამქროს მშრომელთა მონდომება და  
ერთსულოვნება: წარმატებით შეასრულონ გეგმები. ზოგჯერ მათი  
მონდომება ზღვაში წვეთია: კომბინატში შეფერხებებია სხვადასხვა  
მიზეზით: ხან პემზა არ შემოდის რითმულად, ხან საწვავი არა აქვთ.  
მეწისქვილეებს, რაც ევალებათ, ცდას არ აკლებენ.

საამქროში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სოციალის-  
ტურ შეჯიბრებას, შრომის დისციპლინას, შეჯიბრის საჯაროობას.  
იდეოლოგიური მუშაკები მშრომელებთან ატარებენ საუბრებს, გა-  
მოდის კედლის გაზეთი „მეწისქვილე“, ელვა-ფურცლები, ზრუნა-  
ვენ წარმოების კულტურის, მშრომელთა სამუშაო პირობების გასა-  
უმჯობესებლად. ბევრი ღონისძიება ტარდება.

შრომის კარგ მაგალითებს იძლევიან ცვლები, რომლებსაც  
ხელმძღვანელობენ აბრამ ქუფარაშვილი, ვახტანგ პავლიაშვილი,  
კონსტანტინე ნონიაშვილი, პეტრე მჭედლიშვილი, მიხეილ ალაპი-  
შვილი, ზეინკლების კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც თავკაცობს  
იური შარიქაძე.

საამქროს სული და გულია ზეინკალი სედრაქ ნორსოიანი, კო-  
მუნისტი, პრინციპული და მომთხოვნი. იგი ახალგაზრდა მოვიდა  
ცემენტის ქარხანაში 1944 წელს, დაეუფლა ზენკლის პროფესიას.  
მუშაობდა შიფერის წარმოებაში. აგრეგატმა, რომელსაც იგი ამუ-  
შავებდა, შეფერხება არ იცოდა. იყო ასეც: სიძნელე შეიქმნა შიფე-  
რის დამფორმებელი მანქანის მუშაობაში. სედრაქს მიანდეს კომპ-  
ლექსური ბრიგადის ბრიგადირობა № 1 ტექნოლოგიურ ხაზზე. მისი  
ხელი საჭირო გახდა № 3 ტექნოლოგიურ ხაზზეც და სათავეში ჩა-  
უყენეს ჩამორჩენილ ბრიგადას. შლამტუმბოების მომსახურებაზე  
1972 წელს გადაპყავთ, რადგან ნედლეულის საამქროში შეიქმნა  
მეტად მძიმე მდგომარეობა. სედრაქმა ყველაფერი მოაგვარა, ხოლო  
როცა სამაზუთე მეურნეობაში ტუმბოები კარგად არ მუშაობდა,  
კომბინატის ხელმძღვანელობამ ამ უბანზეც სედრაქ ნორსოიანი გა-  
აგზავნა. მუშა კაცი ყველგან ამართლებს ნდობას.

ჯუმბერ შესაბერიძე მეტად საჭირო კაცია საამქროში. ორ პრო-  
ფესიას ფლობს. აირმჭრელიც არის და ზეინკალიც. საზოგადოებრივ  
დავალებებსაც პასუხისმგებლობით ეკიდება: კომბინატის პარტიული

კომიტეტის წევრია და იცის, სად და რომელ უბანს სჭირდება მისი ცოდნა და უნარი.

ალექსანდრე გაბოძეც ზეინკალია, დავალებების კარგი შემსრულებელი, უყვარს საქმე, იცის მუშა კაცის მარჯვენის ფასი. ალექსანდრე აფციური სედრაქ ნორსოიანის აღზრდილია, მის გვერდით შრომობს, ასახელებს მასწავლებელსაც და კოლექტივსაც.

საამქროში ყველაზე ახალგაზრდა მექანიკოსია ვაჟა მალაციძე, უმაღლესი განათლებითაა. იყო ცვლის უფროსი, ახლა მექანიკოსია, მუდამ ძიებაშია, ახალი რეზერვების ამოქმედებისათვის იბრძვის და იღვწის.

წისქვილების „ექიმს“ ეძახიან მიხეილ კორკოტაშვილს, საქმე იმიტომაც გამოსდის, რომ გვერდით უდგანან თავდადებული ახალგაზრდები: ტრისტან შარიფაშვილი, გიორგი კაჭიური, სარდიონ მაჭარაშვილი.

ექსკავატორის მემანქანის პროფესიას ტარიელ ქებაძე კომბინატში დაეუფლა, კარგად შეისწავლა და შეიყვარა თავისი საქმე. მისმა მონდომებამ, საქმისადმი სიყვარულმა განაპირობა ის, რომ ახლახანს სკკპ წევრად მიიღეს. საამქროში აქტიურობენ მოტორისტი ვენერა გელიტაშვილი, შლამაუზებზე მომუშავე ელიზავეტა მოსიაშვილი, ყუყუნა ჯაბაური, მეხვიმირე ვალერიან ყურაშვილი, შლამტუმბოების მემანქანე ტრისტან ბახტაძე, სათქვეფელას მოტორისტი აკაკი წამალაშვილი, ჩამტვირთავი ივანე ორბელაშვილი და სხვები.

\* \* \*

აქ მუდამ სიცხეა, წელიწადის რომელ დროსაც არ უნდა გაიართოთ. ნელა, მაგრამ რიტმულად ტრიალებენ მბრუნავი ღუმლები და გავარვარებული ჰაერის ჰავლი ჰაერში იბნევა. იწვის შლამი 1.470 გრადუსზე და ადამიანების თვალწინ ხდება რთული ფიზიკურ-ქიმიური პროცესები. ღუმელში მოხვედრილი შლამი განიცდის გაშრობა-აორთქლებას და რთულ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს. ეგზოთერმული რეაქციის ზონაში წარმოიქმნება ქიმიური მინერალები, რომელთა საბოლოო ჩამოყალიბება მთავრდება შეცხოების ზონაში.

ღუმლებს გაზი ავარვარებს.

ამ საამქროს „გამოწვის საამქრო“ ჰქვია და მასზე ბევრადაა



დამოკიდებული პროდუქციის არა მარტო რაოდენობა, არამედ ხარისხიც.

რა დროსაც არ უნდა დაგჭირდეთ საამქროს უფროსი, ვერასოდეს ნახავთ სამუშაო ოთახში. მაგრამ მიხვალთ მბრუნავ ღუმლებთან და გაოცებას ვერ დაფარავთ. მაინც რა ძალა ამოძრავებთ ასე თანაბრად ამ ვეება ღუმლებს, ან რატომ დგანან ასე მშვიდად ამ გავარვარებული ჭავლის ქვეშ ადამიანები? ერთხანს იფიქრებთ კიდეც, სადა ხართ, რომ საამქროს უფროსს ან პარტიული ორგანიზაციის მდივანს უნდა შეხვდეთ, გაიგოთ მათი საწუხარი, სიხარული, გეგმების შესრულების მაჩვენებლები, მერე შეხვდეთ მემანქანეებს, გაესაუბროთ, ჩაიწეროთ...

დაებედათ ალბათ: საამქროს ყოველთვის უნარიანი ბიჭები თავკაცობდნენ. არაერთგზის შევხვედრივარ ამური შარანგიას (ახლანდელი რუსთავის ცემენტის ქარხნის მთავარი ინჟინერია), იოსებ ალდგომელაშვილს, გვისაუბრია, საწუხარ-გასახარი გაგვიზიარებია.

დღეს ამ საამქროს გამოცდილი ინჟინერი, კომუნისტი ვიტალი შარიქაძე თავკაცობს.

იწვის ღუმელში კლინკერი და იზრდება საწარმოო მაჩვენებლები. საამქროს უფროსი ღუმლებთან მდგარ ადამიანებს მეტად უფრთხილდება. ცხელ შუბლზე ოფლს იწურავენ ზეინკლები, ელექტროშემდუღებლები, მემანქანეები, მემონაგეები.

ასლაც ვგრძნობ: როგორ დგებოდნენ შრომითს ვახტზე ცვლები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ო. ხარატიშვილი, ნ. კოტიაშვილი, ნ. სარდიკი, თ. ჯარმელაშვილი. მიხაროდა, როცა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ვ. ბიჭიკაშვილი ხელმძღვანელობდა, წარმატებით ამთავრებდა სამუშაოს. ბევრი რამე იყო დამოკიდებული ელექტროშემკეთებელთა ბრიგადაზე, რომელსაც ს. დალაქიშვილი თავკაცობდა, ხოლო ღუმლებს თავს დასტრიალებდა ვ. მამონოვის მემონაგეთა ბრიგადა. ვინიშნავდი უბის წიგნაკში გვარებს და რაიონული გაზეთი ამცნობდა მკითხველებს მბრუნავი ღუმლის მემანქანეების: მ. გივილაშვილის, ვ. კიტრიაშვილის, გ. დალაქიშვილის, რ. თათარაშვილის, ვ. კობაიძის, მათი თანაშემწეების: გ. ქუტაშვილის, ჯ. გუბელაძის, ელექტროშემდუღებელ ა. ჩერნოვის, ზეინკალ ო. კოტიაშვილის, ტ. რადჩენკოს და სხვათა შრომით საქმიანობას.

გამოწვის საამქროს ყველაზე ძნელი პერიოდი დადგა 1974



წელს, როცა დაიწყო ქარხნის რეკონსტრუქცია, რასაც დასაბამი მი-  
იცა № 3 ღუმლიდან.

„წამოიწყო ქარხანამ, საკითხი დაისვა, სადაც ჯერ არს, მოწო-  
ნებულ იქნა, მხარი დაუჭირეს. დაფინანსდა, შემუშავდა ცალკეული  
საკითხები და ყველაფერი დაიწყო მარტის 6 რიცხვში“<sup>1</sup>.

მესამე რეკონსტრუირებულ ღუმელზე მუშაობდა მთელი საამ-  
ქრო და მინც თავი გამოიჩინა ო. ხარატიშვილის ცვლამ: მბრუნავი  
ღუმლის მემანქანემ მ. გიგილაშვილმა, მოტორისტმა ე. ლომსაძემ,  
მემანქანის თანაშემწემ ე. ტატუნაშვილმა. რეკონსტრუქციის პერი-  
ოდში მათ გამოცვალეს 75 მეტრამდე ცეცხლგამძლე აგურის ამო-  
ნავი: ამოიღეს და გამოიტანეს 400 ტონამდე აგური.

მის ნაცვლად ჩაიწყო ახალი ამონავი, შერემონტდა ცხელი  
კლინკერის მაცივრები. ღუმელში დაიკიდა 2.000 ცალამდე ჯაჭვი,  
რომელთა წონა რამდენიმე ათეული ტონა იყო.

„რეკონსტრუქციის სამუშაოებში მონაწილეობდა სარემონტო  
ბრიგადა (ბრიგადირი ო. ღვინიაშვილი), ელექტროშემკეთებელთა  
ბრიგადა (ბრიგადირი ს. დალაქიშვილი). დიდი სამუშაოები შეასრუ-  
ლა აგრეთვე ქარხნის მექანიკური საამქროს მთელმა კოლექტივმა  
გ. ნიავაძის ხელმძღვანელობით“<sup>2</sup>.

მბრუნავი ღუმლის მემანქანეობა საამქროში ყველაზე წამყვანი  
და საპატიო პროფესიაა.

იმ ბედნიერ 1930 წლის პირველ დეკემბერს პირველნი დადგნენ  
მბრუნავ ღუმლებთან ივანე გეჯაძე, ვასილ კოტიაშვილი, ლევან მე-  
რებაშვილი, მიხეილ ქსოვრელი და სხვები. დადგნენ და ზიდეს  
ცხოვრების ჭაპანი.

ვასილ კოტიაშვილს კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად რე-  
კომენდაცია კოლეგებმა მისცეს. მიხეილ ქსოვრელს, მიხეილ ბაინ-  
დურაშვილს, ალექსანდრე გოლოშვილს ექვციც არ შეჰპარვიათ, რომ  
მოწინავე გამომწველი, სტახანოველი თანამოსაქმე, აუცილებლად  
ასახელებდათ.

სახელოვანი გამომწველი საპატიო სიგელებითა და მედლებით  
დაჯილდოვდა. 1951 წელს ერთი გამორჩეული სიგელი მიიღო. ხელს  
აწერდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მაშინ-

1 გაზ. „განთიადი“, 1974 წ., № 83.

2 იქვე.



დელი თავმჯდომარე ვასილ გოგუა, რომელმაც წლების წინ კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორად იმუშავა და ბევრი რამ დარჩა ვასილ კოტიაშვილს მასზე ტკბილმოსაგონარი.

მუშა კაცის შრომა დაფასდა.

1958 წელს, ცემენტის ქარხნის გამომწველს, ერთ-ერთ პირველს საწარმოში ვასილ კოტიაშვილს ლენინის ორდენი გადასცეს.

მბრუნავ ღუმელებთან თვალსა და ხელს შუა შემოადნა ახალგაზრდობაც და სიჭარბაგეც. პენსიაში გავიდა ლენინის ორდენოსანი. კომბინატში კი მისი გზა შეილებმა გააგრძელეს. მამის გულის სიხარულია ოთხი ვაჟკაცი, ყოველდღე ოფლს რომ ღვრიან ცემენტ-შიფერის კომბინატში: ნოდარიმ მამის პროფესია შეისწავლა, გამომწველი გახდა, დღეს იგი ცვლის უფროსია, ოთარი და ომარი ზენიკლები არიან, გურამი ავტომანქანის საჭეს უზის.

ივანე გეჯაძემ მბრუნავი ღუმელის მემანქანეობა ქალაქ ბრიანსკში შეისწავლა მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლის დიდი ნაწილი ქართული ცემენტის წარმოებაში გაეხარჯა. დიდ სამამულო ომშიც იყო, თურქეთის საზღვართან სდარაჯობდა სამშობლოს მიწას და როცა გაიფანტა ომის ღრუბელი, მშობლიურ კასპში ბრუნდება და გავარვარებულ ღუმელთან ჩვეული სიდინჯით დგება. ქვეყანას უფრო მეტად სჭირდებოდა ცემენტი, ვიდრე ოდესმე. დანგრეული ქალაქები და სოფლები ათასობით ტონა ცემენტს ითხოვდა მკვდრეთით აღსადგენად. ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა ღუმელების გაჩერება. ივანე გეჯაძე ორ ღუმელს უვლის, ღრმად არის დაუფლებული ღუმელების ამონაგებს, იცის მისი შეკეთება, შეცვლა...

შეუფერხებლად იწვის კლინკერი.

1950 წელს, როგორც „ი. ბ. სტალინის სახელობის საქართველოს ცემენტის ქარხნის წარჩინებული მუშაკი“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. ასეთ სიგელს იღებს 1961 წელსაც.

არ გვანან წლები ერთმანეთს. 1963 წელმა თავისი ელფერი მოიტანა ივანე გეჯაძის ცხოვრებაში — 3 ივლისს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ცხოვრების მეგობარსაც აქ შეხვდა ივანე; ოჯახი შექმნა ქარხნის ინჟინერ ქალთან, ქეთევან დეისაძესთან ერთად. ახლა პენსიაზეა, მაგრამ ყოველდღე მოდის ახალგაზრდებთან



კომბინატში, გამოცდილებას უზიარებს, ასწავლის, რჩევა-დარიგებას აძლევს.

და კიდევ ერთი ამაგდარი, მბრუნავ ღუმელებთან მდგარე ეტერანთა რიგებიდან. არტემ ბასიაშვილი. იგი 1927 წლის გაზაფხულზე მოდის კასპის ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე, მიწის მთხრელად. ერთხანს მეტაბელედ მუშაობს, 1928 წლიდან არმატურას აკეთებს, მერე მექანიკურ სამქროში დასჭირდათ ზეინკლები და აქ გამოადგა მას ნონიკოვის სახელოსნოში შესწავლილი პროფესია. იგი სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებს დანიის ფირმის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით.

სხვა ახალგაზრდებთან ერთად არტემ ბასიაშვილი 1929 წელს ქალაქ პოდოლსკში სწავლობს მეწისქვილეობას, გამომწვევლობას, გადის წარმოების მორიგის კურსებს და როცა კავთისხევის კირქვის კარიერში პირველი ლოდები მოსტყდა „დიდსაჩიტეს, კასპში 86 მეტრი სიგრძისა და ორნახევარი დიამეტრის მქონე მბრუნავ ღუმელთან არტემ ბასიაშვილიც მივიდა, აუჩქარებლად მოირგო ლურჯი სათვალე, ხელი შეახო რეგულატორს და დაჟინებით დააცქერდა გავარვარებულ ნედლ კლინკერს.

იმ სიხარულის ექო ღღემდე მოსდევს ცხოვრების გზებზე ნავალ, ნაჯაფარ კაცს. რამდენი გატეხილი ღამე, განცდა, დაძაბულობა იმ გარდასულ წლებში. ახლაც გუშინდელივით ახსოვს არტემს 1932 წლის ერთი შფოთიანი ღამე. წარმოების პასუხისმგებელ მორიგედ (ცვლის ოსტატად) მუშაობდა. ღამის ცვლაში გასულ ოსტატს განკარგულება დახვდა: გაეჩერებინათ ღუმელები, რადგან ლაბორატორიას, რომელიც ყოველ საათში ამოწმებდა როგორც ნედლი მასალის შეზავების, ისე კლინკერის წვის ხარისხს, მოეშალა სიმყავეების აპარატი. იოლი არ იყო ღუმელის გაჩერება. ქარხანა ისედაც ვერ ასრულებდა გეგმას. მარტო არტემ ბასიაშვილის ცვლა იყო მოწინავე და თუ ისიც გაჩერდებოდა, გეგმის მაჩვენებელი დაბლა დიწყოდა. ბასიაშვილი თავის თავს ენდო: თვალით შეამოწმა თიხისა და ქვის ნაზავი და ღუმელებმა მთელი ღამე იმუშავეს; დილით ლაბორატორიამ შეამოწმა კლინკერი. იგი უმაღლესი ხარისხისა აღმოჩნდა. არტემ ბასიაშვილის ცვლამ გეგმა შეასრულა, თავად მას კი „ცოცხალი ლაბორატორია“, „კასპელი იზოტოვი“ უწოდეს<sup>1</sup>. მერე

<sup>1</sup> „წითელი წიგნი“, თბილისი. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1934 წ., გვ. 55.



ცხოვრებამ სხვა გზებზე ატარა არტემ ბასიაშვილი, იყო საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის მეორე მდივანი, კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, იყო სხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზეც, მაგრამ კასპის ცემენტის ქარხნის მბრუნავ ღუმელებთან გატარებული წლები ნათელ სხივად შემორჩა მის მეხსიერებას. აქ გაუწია მან ძმობა და მეგობრობა ვლადიმერ პოხროს ძე პოპოვს, რომელიც კასპის ცემენტის ქარხნიდან წავიდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რიგითი ჯარისკაცი მაიორის ჩინით ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში და შეეწირა კიდევ მამულს. კასპის ცემენტის ქარხანაში აღზრდილი რუსი ვაჟკაცი.

დღეს მბრუნავი ღუმელის მემანქანეობას 16 კაცი ფლობს.

საუკეთესოთა შორის არიან გურამ დალაქიშვილი და მოსე გიგლაშვილი. ისინი 1958 წელს მოვიდნენ კომბინატში, რომ შეესწავლათ მემანქანის რთული პროფესია. გავიდა მოწაფეობის თვეები, მერე მემანქანის თანაშემწის მოვალეობა, ჩამოყალიბდნენ მაღალკვალიფიციურ მემანქანეებად.

გურამ დალაქიშვილის შრომა მაღალი ჯილდოებით შეფასდა. 1972 წელს დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით. მრავალი საპატიო სიგელი და მადლობა აქვს მიღებული, არის კომბინატის პარტიული კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის წევრი.

მოსე გიგლაშვილი 1977 წელს დაჯილდოვდა შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენით, არჩეული იყო რაიონული საბჭოს დეპუტატად, არის საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის წევრი. შრომითს ვახტზე არიან მოსე და სერგო გიგლაშვილები, რომლებიც მამამ მოიყვანა კომბინატში და მისი შრომითი გზა გააგრძელეს. ასევე მოიქცა გამოწვის საამქროს ცვლის უფროსი ვასილ ჯარმელაშვილიც, რომელმაც ვაჟიშვილებს შრომა აქ, კომბინატში შეაყვარა.

ამჟამად ისევ ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს ზეინკალი ბაგრატ მანუკოვი. კომბინატში 1932 წელს მოვიდა და არ ჩაუხრია შრომაში მუხლი. შრომის ვეტერანია ნიკოლოზ მესხი, რომელიც 1942 წელს მოვიდა კომბინატში. დღეს იგი საამქროს უფროსის მოადგილეა გაზის მეურნეობის დარგში. მემამონაგე ბრიგადას თავკაცობს ფირუზ გაგაძე, იგი შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენის კავალერია, საამქროს ამავდარია კომუნისტი სერგო დალაქიშვი-

ლი, რომელიც ელექტრიკოსების ბრიგადას ხელმძღვანელობს, იგი მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოვდა 1981 წელს.

საკუთარი შრომითი ბიოგრაფიები აქვთ ზენკლებს: ტ. რად-ჩენკოს, ო. შავაშვილს, გ. ჩერქეზიშვილს, ვ. სმალიანინს, მ. გურგენაშვილს, ო. კოტიაშვილს, შ. ქოქაშვილს, გ. მჭედლიშვილს, ა. ტერტერაშვილს, ელექტროშემკეთებლებს: ე. ბაინდურაშვილს, გ. სტოლბოვს, ამწის მემანქანეს ვ. წიკლაურს, მექანიკური განყოფილების მუშაკს ს. გალუშენკოს და სხვებს, რომელთა ერთი ნაწილის შრომა № 3 ღუმლის რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა.

საამქროს უფროსს ვიტალი შარიჩაძეს მხარში უდგანან მოადგილეები იოსებ ალავიძე და ანზორ შარიჩაძე, მექანიკურ დარგს თავკაცობს ინჟინერ-მექანიკოსი ნოდარ ნაგლიაშვილი, პარტიულ ორგანიზაციას — ცვლის უფროსი ვალოდია შეშაბერიძე.

საამქროს კოლექტივმა ახალი მეთერთმეტე ხუთწლელი წარმატებით დაიწყო. I კვარტალში გამარჯვებული გამოვიდა საამქროთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მდორედ ტრიალებენ მბრუნავი ღუმლები და ჰაერში იბნევა გავარვარებული ჰაერის ჭავლი. მბრუნავ ღუმლებთან გულმაგარი ადამიანები დგანან.

\* \* \*

ღუმლებში გამომწვარი ნახევარფაბრიკატი ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება საწყობს, გარკვეული დაყოვნების შემდეგ კი დაფქვის საამქროს. აქ კი წისქვილები განუწყვეტლივ ფქვავენ კლინკერთან შერეულ პემზასა და თაბაშირს. პემზას სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გვიგზავნის, თაბაშირს — ქალაქი შედოკი. მათი დამუშავება ხდება საამქროში და გარკვეული რაოდენობით ემატება ცემენტს. მერე მოვლენ ლაბორატორიის მუშაკები, წაიღებენ სინჯს და მათი უფროსის, მაყვალა გოზალოვის დასტურით ან შეჩერდება წისქვილი, ან განაგრძობს მუშაობას. იყო წლები, როცა გარკვეული სიძნელეების გამო საამქრო ვერ ასრულებდა გეგმებს. ზომები მიიღეს. მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება ჩაუტარეს წისქვილებს, გამოცვალეს ცემენტის მილები, რომელთა სიძველის გამო დიდი იყო ცემენტის დანაკარგები. კაპიტა-



ლურად შეაკეთეს პემზის სამსხვრეველა, რომლის მიზნითაც ხშირად ფერხდებოდა საამქროს მუშაობა, შეკეთდა ხიდური ამწე.

დაფქვის საამქროს ხელმძღვანელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ დღევანდელმა მისმა თავკაცმა, მიხეილ კორბამ შესანიშნავი შრომითი ტრადიცია იოსებ აღდგომელაშვილისაგან მიიღო, საამქროს უფროსის მოადგილეა პარტიული ორგანიზაციის მდივანი ოთარ ახალკაცი, მექანიკოსი — ვაჟა მალაციძე.

საამქროში პატივს სცემენ და აფასებენ ენერგიულ მეწისქვილეებს. ისინი ბევრნი არიან. და მაინც ქალიდან ვიწყებ. იყო წლები, როცა მეწისქვილეობა „რა ქალის საქმე“ იყო. ვაჟკაცებს ჰქონდათ მხოლოდ ამის უფლება. დღეს ერთ-ერთი მოწინავე მეწისქვილეა ერმონა კუტუხოვა, მერე ორი მიმდევარიც გაუჩნდა: ლალი აღაპიშვილი და ნორა ლომიძე.

მეწისქვილე, რომელსაც მკერდზე „ლენინის ორდენი“ უბრწყინავს, ვახტანგ ჭეჭელაშვილია. მინახავს სამუშაო უბანზე, მისაუბრია, ჩამიწერია მისი კაიკაცობის ამბავი. ომგადახდილია ვახტანგი, სამი ძმა ჭეჭელაშვილები იბრძოდნენ სამშობლოსათვის. სამივე დაბრუნდა. ორმა ცემენტის ქარხანას მიაშურა, მესამემ ახალქალაქის საშუალო სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

ომიდან დაბრუნებულმა ვახტანგმა სწავლა ველარ გააგრძელა, კასპში შიფერის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. აზბესტის დამამუშავებელ დანადგართან 13 წელი იმუშავა. სპეციალობა სხვებსაც შეასწავლა. შრომით დაფასდა მეწისქვილე. 1971 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

სამამულო ომის ვეტერანია მიხეილ თხინვალელი, კომუნისტი, შრომაში სახელი გაითქვა. 1952 წლიდან დღემდე ცვლის უფროსია, წლების განმავლობაში საამქროს პარტორგანიზაციასაც ხელმძღვანელობდა. დაჯილდოებულია მედლებით.

არსენ ირემაშვილი მოწინავე ზეინკალია, ქარხანაში 1942 წელს მოვიდა. შრომაში თავი ისახელა. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ვასილ ბერიანიძეს რაიონში იცნობენ, როგორც სოც. შეჯიბრში გამარჯვებულს, კომუნისტმა კაცმა მეათე ხუთწლედის დავალებანი გადაჭარბებით შეასრულა და მიენიჭა შრომის დამკვრელის წოდება. დაჯილდოებულია ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედლით.

ალექსანდრე მამულაშვილმა შრომითი საქმიანობა 1947 წელს



შიფერის ქარხანაში დაიწყო, მერე ტრანსპორტის საამქროში იყო მტვირთავად, ახლა დაფქვის საამქროშია მუშაობის მიზნით. დაჯილდოებულია ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედლით, მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვერელის წოდება.

გიორგი თედიაშვილი ელექტრომექათებელია, მოწინავეთა შორის გამარჯვებული. დაჯილდოებულია მედლით.

ხმაურობენ წისქვილები და მოდის კასპური ცემენტი — მშენებლობის პური.

\* \* \*

ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში საკედლე ბლოკს დიდი გამოყენება აქვს და ამ მეტად საჭირო მასალაზე მოთხოვნილება ყოველწლიურად მატულობს.

ამიტომ მოიტანა სიახლე 60-იანმა წლებმა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში: დაიწვეს წვრილი საკედლე ბლოკის წარმოება.

იმ წელს 21.678 კუბური მეტრი ბლოკი მიიღეს მშენებლებმა. წარმოების სიმძლავრე ყოველწლიურად იზრდება. წნეხებთან დგანან ადამიანები. გამარჯვების სიხარულიც გაუნაწილებიათ, დამარცხების სინანულიც. მეგზურად რწმენა და შრომის სიყვარული გაუძღვარებიათ. ყველაზე შედეგიანი მეცხრე ხუთწლიანი ყოფილა. ამ გამარჯვებას შრომის დამკვერელის წოდება მოუტანია ვლადიმერ ქესაურის ბრიგადისათვის. შრომა დაფასებიათ ვეტერან მუშებს, სველი ბლოკების მომხსნელებს ნიკოლოზ მჭედლიშვილსა და ალექსანდრე შუბითიძეს. მათთვის ტოლი არ დაუდვიათ მშრალი ბლოკების მომხსნელებსაც იაკობ თაბუაშვილსა და ვალიკო ბუნტურს, ხიდური ამწის მემანქანეს ბიძინა კოშაძეს, ცეცხლფარეშ გაბრიელ ცოცხალაშვილსა და სხვებს.

იმ წელს მოვიდა ქარხანაში სამუშაოდ გიორგი მერაბიშვილი. როცა წვრილი საკედლე ბლოკების წარმოებამ პირველი პროდუქცია გამოუშვა, მასინ 16 წლის ჭაბუკი იყო გიორგი. აქ დაეუკაცდა, ნახშირის წისქვილის მეწისქვილეობიდან წარმოების უფროსობამდე ამაღლდა.

წარმოების უფროსის საქმიანობაზე, ორგანიზატორულ ნიჭზე, უნარსა და გამოცდილებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული, არა ნაკლები მექანიკოსებზე, ბრიგადირებზე, ზეინკლებზე, მწნეხავებზე.



15 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია ზაქარია მერებაშვილი. ომგადახდილი კაცია, დიდხანს მსახურობდა სასაზღვრო ნაწილებში, დაჯილდოებულია მედლებით, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

წარმოების სული და გულია ელექტრიკოსების ბრიგადირი გურამ ივანეს ძე დალაქიშვილი. 1958 წელს მოვიდა იგი კომბინატში კასპის №1 საშუალო სკოლის მიერ გაცემული სიმწიფის ატესტატით. მოვიდა და თავიდანვე მიიქცია ყურადღება შრომისმოყვარეობით, საქმისადმი დიდი სიყვარულით, მონდომებით, დისციპლინით. აქვე გახდა იგი 1971 წელს კომუნისტური პარტიის წევრი.

ჩვენ არ ვიცით, რა ძალამ მოიზიდა თელადგორელი არსენ ლავრელაშვილი კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში, არც ის ვიცით, როდის გაუჩნდა ეს სურვილი, მაგრამ სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ მოდის და მუშად იწყებს მუშაობას, მერე ზეინკლის პროფესიას დაეუფლა. რაიონში გაიცინეს, როგორც ერთ-ერთი მოწინავე, ახლა იგი კომპლექსურ ბრიგადას თავკაცობს და პატივს სცემენ კომბინატში, როგორც საუკეთესო სპეციალისტს.

ნუკრი ჯავახიშვილი წვრილი საკედლე ბლოკების ცვლის ბრიგადირია, შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობით თავიდანვე მიიქცია ყურადღება. ჯერ იყო და საქართველოს ალკკ კასპის რაიკომმა ორჯერ დააჯილდოვა საპატიო სიგელით, მერე კომბინატის ადმინისტრაციის მადლობები, სიგელები, პრემიები მიიღო, რეკომენდაციებიც მისცეს და სკკპ რიგებში 1976 წელს მიიღეს. ახალგაზრდა კომუნისტი დავალებებს სისტემატურად ასრულებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში იმარჯვებს და კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებასაც ღირსეულად ატარებს.

არჩილ თამარაშვილს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატზე ბევრი რამ გაეგონა. ჯერ კიდევ ბავშვი ოცნებობდა თვალი შეეგლო მისთვის. ცემენტ-შიფერის კომბინატში მისულს უარი არავის უთქვამს და ბლოკების წარმოებაში დღესაც ზეინკლის რთული და დაძაბული საქმიანობით ცხოვრობს კომუნისტი კაცი.

ბლოკების წარმოებაში თავიანთი წილი ოფლი დაუღვრიათ მ. შეშაბერიძეს, გ. მჭედლიშვილს, ლ. წინამძღვრიშვილს, ი. პეტრიაშვილს, მ. კონიაშვილს, რ. ბერბიჭაშვილს, ა. ბაინდურაშვილს,



გ. ქარქუსაშვილს, ა. ნავროზაშვილს, ი. გაგაძეს, ნ. ირემაშვილს და სხვებს.

წარმატების საწინდარია სოციალისტური შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია, შრომის დისციპლინის დაცვა, რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის ცხოვრებაში განხორციელება, წარმოების კულტურის ამაღლება, კოლექტიურობა, შრომითი ერთუზიაზმი. სიძნელეებიც ბევრი აქვთ, ნაკლოვანებანიც, მაგრამ რწმენა და პასუხისმგებლობა, ცოდნა იმისა, რომ კასპურ ბლოკზე დიდი მოთხოვნილებაა რესპუბლიკაში, ბიძგს აძლევს, შრომითი გამარჯვების წყურვილით ანთებს წნეხებთან დამდგარ ადამიანებს და დღევანდელი მათი ერთუზიაზმი, აღებული ვალდებულებებისათვის ბრძოლა იმედს გვიორკევებს, რომ ისინი გასული წლის ჩამორჩენას დასძლევენ, წლევანდელი პირველი კვარტლის მიღწევებს შეინარჩუნებენ და მაღალი საწარმოო გამარჯვებით აღნიშნავენ ცემენტ-შიფერის კომბინატის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

\* \* \*

ათობით ამწე მექანიზმი, თვითმცლელი თუ ბულდოზერი, მძლავრი „კრაზები“, „ბელაზები“ და „ზილები“ ასრულებენ დიდ სამუშაოს ცემენტ-შიფერის კომბინატში. სამრეწველო საწარმო წარმოუდგენელია მძლავრი ტექნიკის გარეშე. სწორედ ეს ტექნიკა ეკუთვნის ამწე მექანიზმების საამქროს, რომელსაც კომუნისტი კუკური შაველაშვილი ხელმძღვანელობს. 1947 წელს მოვიდა კომბინატში კუკური, ერთხანს შიფერის საამქროში იმუშავა, მერე საბჭოთა არმიის რიგებში იყო, დაბრუნებისთანავე მშობლიურ საწარმოს მიაშურა და კომპლექსურ ბრიგადას ჩაუყენეს სათავეში, 1970 წლიდან ამწე მექანიზმების საამქროს უფროსია და უნარიანდაც ხელმძღვანელობს. არაერთხელ დაწინაურებულა საამქრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, არაერთხელ დაუმსახურებია გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჰრემიები. იცის კუკური შაველაშვილმა, რომ შრომით კოლექტივში ადამიანებთან ერთად დიდ როლს ტექნიკაც ასრულებს და იქ, სადაც სრულყოფილად, ეფექტიანად იყენებენ მას, გამარჯვებაც გარანტირებული აქვთ. ამიტომ ევლებიან თავს ტექნიკას საამქროს მძღოლები და მეამწეები, მემანქანეები: შრომის ვეტერანი ვლადიმერ გულაროვი, გურამ კოტიაშვილი, დიმიტრი მიქელაძე, დავით





შეშაბერიძე, ვახტანგ წიკლაური, ლევან ბაინდურაშვილი, ალექსანდრე ნიპარიშვილი, შალვა ბელაშვილი, რეზო თათარაშვილი, შალვა კუნდუხაშვილი, ამირან გელიტაშვილი, გურამ ბარნოვი, მექანიკოსი მიხეილ ირემაშვილი და სხვები.

კოლექტივში 60 კაცია. ისინი უშუალოდ არ დგანან მბრუნავ ღუმლებთან, წისქვილებთან, დამფორმებელ მანქანებთან, წნეხებთან, მაგრამ საჭირო და აუცილებელ საქმეს აკეთებენ.

ტექნიკას აღამიანები მართავენ.

\* \* \*

მოვალეობა, რომელიც კომბინატში სატრანსპორტო საამქროს აკისრია, ერთობ რთული და საპატიოა. აქ ხდება ყველა სახის ტვირთის — ნედლეულის, საწვავის, მარაგნაწილების, მოწყობილობებისა და სხვათა გადმოტვირთვა-გაგზავნა. მის განკარგულებაშია 4 მძლავრი თანამედროვე თბომავალი, მაშინ, როცა წინათ ორი მცირე სიმძლავრის ორთქლმავალი ემსახურებოდა. მარტო 1980 წელს კოზბინატში რკინიგზის ვაგონებით მოვიდა და დაიცალა 470.500-მდე ტონა სხვადასხვა სახის ტვირთი, რომელიც შემოიტანა 10 ათასზე მეტმა ვაგონმა, დაიტვირთა და გაიგზავნა 744 ათასი ტონა პროდუქცია (12.300 ვაგონი), სულ დაიტვირთა და დაიცალა 22.300 ვაგონი, 1.214.500 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

სატრანსპორტო საამქროს რიტმული მუშაობა დიდად განაპირობებს კომბინატის შეუფერხებელ და რიტმულ მუშაობას. საამქროში ბევრი მოწინავე და საქმისადმი თავდადებული აღამიანი მუშაობს. მოვუსმინოთ საამქროს ყოფილ უფროსს, კომუნისტ ვლადიმერ მგელაძეს:

— ქებას იმსახურებს შეფუთული ცემენტის მტვირთავთა ბრიგადის ბრიგადირი, კომუნისტი თევდორე გაგლოშვილი. იგი კარგი ბრიგადის კარგი ხელმძღვანელია. ბრიგადა, თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად, დაუზარებლად ასრულებს სხვა სამუშაოებსაც, როგორცაა სხვადასხვა ტვირთის დაცლა-დატვირთვა, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება ვაგონების მოცდენის დრო. ამ ბრიგადას ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება, ბრიგადირს — კომუნისტური შრომის დამკვირვლის წოდება.



ბრიგადირი სიტყვის კაცია, რამეთუ, აღებული ვალდებულებების შესრულებაში მხარს აძლევენ შრომის ვეტერანები გიორგი შეშაბერიძე, კიმი ბუთხუზი, ვალიკო ხიზანიშვილი, ახალგაზრდები ალექსანდრე და ომარ ჭლანტიაშვილები, თემურ ვალუსტაშვილი და სხვები.

ანდრო ზერეკიძე თბომავლის მემანქანეა, კომბინატში 1946 წლიდან მოვიდა საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ. იგი დიდი სამამულო ომის მონაწილეა, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი, ახალგაზრდობის დამრიგებელი და კარგი აღმზრდელი.

22 წელია კომბინატში მუშაობს ვახტანგ მარიდაშვილი. იგი თბომავლის მემანქანის თანაშემწეა. უყვარს სპეციალობა. თბომავალს თავს დასტრიალებს, აკეთებს, ამოწმებს. აქტიური კომუნისტია. მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება.

ვასილ ბარნოვი გადამბმელ-შემდგენელია, კომბინატში მუშაობს 1955 წლიდან, უყვარს თავისი საქმე, დაუზარელი და სიტყვის კაცია, დავალებების შესრულებას პასუხისმგებლობით ეკიდება, ამიტომ აფასებენ კოლექტივში.

მამის, ესტატე ბახტაძის კვალს გაჰყვა ახალგაზრდა ილია. კომბინატში 1977 წელს მოვიდა და მტვირთავ მუშად დაიწყო მუშაობა, მოკლე ხანში მოწინავეთა რიგებში ჩადგა. უყვართ ილია ბახტაძე კოლექტივში, უყვართ, ახალგაზრდობას ბიძგს აძლევს: ყველა სამუშაო საპატიო და საერთო-სახალხოა, ყველგან შეიძლება თავის გამოჩენა, ავტორიტეტის მოხვეჭა.

ჩვეულებრივი ბიოგრაფია აქვს თამაზ შალუტაშვილს. საშუალო სკოლა კასპში დაამთავრა, მერე ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმში ტექნიკოს-მექანიკოსის სპეციალობას დაეუფლა, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიც მოიხადა და 1978 წელს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში მოვიდა. იგი სატრანსპორტო სააპქროში გაგზავნეს საკედლე ბლოკების მტვირთავად.

კომკავშირელი მუშა დავალებების ჩინებული შემსრულებელია, დისციპლინიანი, მომთხოვნი, მეგობრული და დაუზარელი.

კომბინატის ისტორიასთან არის დაკავშირებული ბევრი ვეტერანის ცხოვრება. თავისი საქმის დიდი ოსტატი, ჩინებული დამრიგებელი და აღმზრდელი იყო თბომავლის მემანქანე იოსებ მჭედლიშვილი, კაცი უღალატო და თავისი საქმის ტრფიალი, შრომაში ფა-

სობდნენ შალვა ქართველიშვილი, ცვლის ოსტატები: ვახტანგ შაქარაშვილი, ნიკოლოზ კუზნეცოვი, გიორგი ხეჩუაშვილი, ცემენტის მტვირთავები: ვალერიან ჭალისური, ყარამან აფციური, დავით შქაშაბერიძე და სხვები.

იოსებ აღდგომელაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა დაფქვის საამქროს უფროსად. საწარმოში იცნობენ, როგორც საქმიან, ნიჭიერ ორგანიზატორს, გამოცდილ პროპაგანდისტს, უმწიკვლო კომუნისტს, დაუზარელ, შრომისმოყვარე კაცს, დღეს იგი სატრანსპორტო საამქროს თავკაცობს.

\* \* \*

კომბინატს მარაგი ნაწილებიც სჭირდება. ამ საქმეს ემსახურება სწორედ მექანიკური საამქრო, სადაც მუშაობენ ხარატები, ზენკლები, ელექტროშემდუღებლები, მჭედლები, ლითონჩამომსხმელები, ასრულებენ სარემონტო სამუშაოებს, მიმდინარე და კაპიტალურ რემონტებს, ეხმარებიან ძირითად და დამხმარე საამქროებს.

საამქროს უფროსი გოდერძი მარქარაშვილი 1947 წელს მოვიდა შიფერის ქარხანაში და ხარატის პროფესია აითვისა. 1975 წლიდან დღემდე საამქროს ხელმძღვანელობს. დაჯილდოებულია შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენით, ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედლით, სოც. შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით.

ახლახანს „საპატიო ნიშნის“ ორდენი მიიღო ზეინკალმა საგენტო ყავრელაშვილმა. იმ წელიწადს მოვიდა კომბინატში შიფერის საამქრო (მაშინ ქარხანა) რომ შენდებოდა. მოვიდა და თავიდანვე მიიქცია ყურადღება პროფესიისადმი სიყვარულით, ერთგულებით, მომთხოვნელობით, დისციპლინით. დღეს მას იცნობენ, როგორც დაუზარელ და ხელმადლიან ზეინკალს, მის გარეშე თითქმის არაფერი კეთდება საკომპრესორო განყოფილებაში, თავს დასტრიალებს წისქვილებს, აწყობს და ამონტაჟებს დანადგარებს.

სახარატო პარკის ოსტატს დიმიტრი გორგაძეს მარჯვენას უქებენ. 1941 წელს მოვიდა იგი კომბინატში, აქ შეისწავლა ხარატის პროფესია, დააწინაურეს ოსტატად. შრომაში თავი გამოიჩინა და დააფასეს კიდევ: „შრომის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს სამკერდე ნიშ-



ნებიც მრავალი აქვს და სიგელებიც, უყვართ და აფასებენ, საამქრო-ში მის გარეშე არაფერი კეთდება, ავტორიტეტიც დიდი აქვს კარგ დამრიგებელსა და აღმზრდელს.

სოლომონ ზაქარიაშვილიც მაშინ მოვიდა კომბინატში, როცა ექსპლოატაციაში გაუშვეს შიფერის ქარხანა — 1945 წელს. შრომაში თავი ისახელა, სოციალისტურ შეჯიბრებაში თითქმის ხშირად გამარჯვებული გამოდის. დაჯილდოებულია ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედლით.

გიორგი ნიპარიშვილი სამი წლის მოსული იყო კომბინატში დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო. სამშობლოს უჭირდა და გიორგიც წავიდა, მტერთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და ინვალიდი დაბრუნდა. კომბინატში სიხარულით მიიღეს თავიანთი წევრი, ოსტატად დააწინაურეს; ახლა მეიარაღეა, აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი.

ელექტროშემდუღებელია ვლადიმერ ხრილოკიშვილი. კომბინატის დიდი კოლექტივის წევრი 1950 წელს გახდა. მალე დაეუფლა ზეინკლის რთულ პროფესიას, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ კი ელექტროშემდუღებლად მუშაობს. დაჯილდოებულია ვ. ი. ლენინის საიუბილეო მედლით, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სიგელებით, სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნებით.

ალექსანდრე პანჩენკოც ელექტროშემდუღებელი იყო წლების მანძილზე, კომბინატში 1940 წელს მოვიდა. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საპატიო სიგელებით.

ხარატია აბრამ შალუტაშვილი, კომბინატში 1934 წელს მოვიდა. დიდი სამამულო ომის მონაწილეა. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

ტექნიკური წყალსადენი მექანიკურ საამქროს დაქვემდებარებული განყოფილებაა. აქედან ეძლევა კომბინატს წყალი მძლავრი ტუმბოებით. იგი, შეიძლება ვთქვათ, სიცოცხლეს აძლევს კომბინატს: ერთი წამიერი შეფერხება, რომელიმე ტუმბოს დაზიანება, ბადურების ჩახერგვა და მთელი საწარმო ჩერდება. ასე რომ არ მოხდეს, წყალსადენის ტუმბოებს, დამლექ აუზებს, ბადურებს თვალს



ადევნებენ მემანქანეები: ლევან ნონიაშვილი, ივანე ბუთხუზი, გიორგი დვალაძე, გიორგი პაიაშვილი.

შრომობენ მემანქანეები, არეგულირებენ ტექნიკური წყალსადენის მაჯისცემას.

\* \* \*

გამარჯვების წელმა მარტო ნაომარი ვაჟკაცების დაბრუნებით გამოწვეული სიხარული როდი მოუტანა კასპელ მეცემენტეებს: იქვე, მათ გვერდით სიცოცხლე დაიწყო შიფერის ქარხანამ. 1945 წელი იდგა. ქარხანა პრიმიტიული იყო და ყველა სამუშაო ხელით სრულდებოდა. ორი პატარა მანქანა იდგა. აქ გამოშვებული შიფერი მბრუნავი ღუმლების ქვეშ შრებოდა. პირველ წელს 5 მილიონი პირობითი ფილა შიფერი გამოუშვა ქარხანამ. გეგმა ვერ შესრულდა, მაგრამ დიდი იყო მეშიფერეთა ნახელავით გამოწვეული განცდა. მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. დაბრუნდნენ ომგადახდილი ბიჭები, მომძლავრდა მუშახელი, ამოქმედდნენ პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები და შიფერის წარმოების გეგმა 153,9 პროცენტით შესრულდა. 1954 წელს შიფერის ქარხანა ცემენტისას შეუერთდა და საამქრო ეწოდა. დღეს შიფერის საწარმო ჰქვია და წელიწადში ქვეყანას აძლევს 70 მილიონ პირობით ფილა შიფერს. სიხარული, რომელიც 1977 წელმა მოიყოლა ამ საწარმოში, მრავლისმთქმელი გამხდარა მათს ცხოვრებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კასპში, ცემენტ-შიფერის კომბინატში მისასალმებელი დეპეშა გამოგზავნა. აღრესატი იყო ამ წარმოების მოწინავე მუშა შალვა ნატროშვილი.

ამბავი ასე დაიწყო: შალვა ნატროშვილმა გაზეთში წაიკითხა ქალაქ ტულისათვის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლის გადაცემისას ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

კასპელმა მეცემენტემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს წერილი მისწერა, რომელშიც მაღალი შეფასება მისცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას, მათს ზრუნვას ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის. შალვა ნატროშვილმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად



ლ. ი. ბრეჟნევის, რომ არ დაზოგავს ძალასა და ენერგიას, რათა წარმატებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

და აი, საბჭოთა ქვეყნის მეთაურმა პასუხად დეპეშა გამოუგზავნა.

ხელიდან ხელში გადადიოდა დეპეშა კომბინატში და ყველაზე მეტად შიფერის წარმოების მშრომელები ხარობდნენ. მერე ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. მოვიდნენ კასპის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული, პროფკავშირული ხელმძღვანელებიც, მშრომელთა წარმომადგენლები, ყურნალისტები.

იღვა შალვა ნატროშვილი ტრიბუნაზე და სიხარულით უბრწყინავდა სახე, მუშაკაცი სიტყვებს ველარ პოულობდა მადლობის გამოსახატავად.

მეცემენტებმა ლ. ი. ბრეჟნევის გაუგზავნეს წერილი და აცნობეს, რომ გადასინჯეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ ნაკისრი 4 ათასის ნაცვლად სახელმწიფოს მისცენ 5 ათასი ტონა ზეგეგმიური ცემენტი, მილიონის ნაცვლად დაამზადებენ მილიონ 100 ათას პირობით ფილა შიფერს, ვადამდე დაამთავრებენ მთელ მოსამზადებელ სამუშაოებს, რათა 1978 წელს შეუდგნენ სწრაფად გამყარებადი ცემენტისა და 400 მარკის პორტლანდცემენტის მასობრივ წარმოებას.

დიდი სიხარული განიცადეს მეშიფერებმა მაშინაც, როცა მათი რჩეული, შიფერის დამფორმებელი მანქანის უფროსი მემანქანე, ვარდენ მანძულაშვილი 1971 წელს სოციალისტური შრომის გმირი გახდა, ხოლო შემდეგ მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მუშაობაში.

შიფერის საწარმოსათვის ორმაგად საპასუხისმგებლო და საპატიოა, რომ რესპუბლიკაში მხოლოდ კასპის ცემენტის ქარხანა უშვებს შიფერს და სწორედ ამის გამო გადაკეთდა იგი ცემენტ-შიფერის კომბინატად. ბევრი ცვლილებები მოხდა შიფერის საწარმოში. დამონტაჟდა ახალი კასკადური ხაზები, მუშაობს ერშოვის უნივერსალური დამფორმებელი მანქანა, რომელსაც დიდხანს მართავდა ვარდენ მანძულაშვილი. იგი 1947 წელს პარტიულ ბილეთს იღებს. მალე უფროს მემანქანედ აწინაურდნენ. არ ყოფილა შემთხვევა გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. მისგან სწავლობდნენ. ქარხანაში „პრიმა მემანქანე“ შეარქვეს. 1963 წელს ვარდენ მანძულაშვილი ჩამორჩენილ ბრიგადას უდგება სათავეში და მალე მოწინავეთა



რიგებში აყენებს. მის ანგარიშზეა 110—115 პროცენტით გეგმების შესრულება. სოც. შეჯიბრებაში გამარჯვებულს აჯილდოებენ. 1966 წელს დააჯილდოეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, უფრო ადრე, 1962 წელს ქარხანაში მის ბრიგადას პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი. 1967 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე მოწვევის დეპუტატად აირჩიეს. მეორედაც გამოუცხადეს ნდობა პატივდებულ კაცს და 1971 წელს კვლავ აირჩიეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იმ წელსვე კასპელი მეშიფერე სოციალისტური შრომის გმირი გახდა. მეგრდი დაიმშვენა ლენინის ორდენითა და ოქროს ვარსკვლავით „ნამგალი და ურო“. არის საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის წევრი, კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე. მოსკოვში, კრემლში ქართველ დელეგატებთან ერთად ვარდენ მანძულაშვილი ამაყად მიაბიჯებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე ყრილობაზე.

1975 წელს მწყობრში ჩადგა ახალი ტექნოლოგიური ხაზი, რომელმაც ფიზიკური შრომისაგან გამოათავისუფლა 28 ქალი. ტექნოლოგიურ ხაზს კარგად გაუძღვა გივი ზარიძის ელექტრობრიგადა, ელექტროშემდუღებლები ვალერიან ნაპირიშვილი, ალექსანდრე ბავლიჩივი, რომლებიც ამავე დროს ელექტროხეინკლებიც არიან.

ახალმა ტექნოლოგიურმა ხაზმა კადრები მოითხოვა. ამის გამო ოპერატორობა შეისწავლეს ხიდური ამწის მემანქანებმა დიმიტრი კუსრაევმა, შოთა ყურაულმა, ომარ აღუაშვილმა, ალექსანდრე ნავროზაშვილმა.

დღეს შიფერის წარმოებაში სამი დამფორმებელი მანქანა მუშაობს და ემსახურებიან ნიკოლოზ დონდუაშვილის, გიორგი არზიანის, თამაზ ბუდალაშვილისა და მიხეილ ქარქუსაშვილის ცვლები.

ვახტანგ ჭალისური შიფერის წარმოებაში 1958 წელს მოვიდა ხიდური ამწის მემანქანედ. მალე მიიპყრო ყურადღება შრომისმოყვარეობითა და დისციპლინით, სოცშეჯიბრებაში გამარჯვებული გამოდის, მიღებული აქვს სამკერდე ნიშნები, სიამაყით ატარებს „კომუნისტური შრომის დამკვერელის“ სახელს.

ვალერიან ნიპარიშვილი 50-იან წლებში მოვიდა ქარხანაში და სარემონტო საამქროში დაიწყო მუშაობა, 1955 წელს გამოწვის საამქროში ნახშირების მეწისქვილის თანაშემწედ გადაიყვანეს. 1956 წელს საბჭოთა არმიის რიგებშია. დემობილიზებული ვალერი-



ანი მშობლიურ საწარმოს უბრუნდება და გამოწვის საამქროში 1965 წლამდე. მერე შიფერის წარმოებაში გადადის ელექტრომემდულებლად, დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის, მის მკერდს სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნები ამშვენებს, იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

შალვა მესროფაშვილი 16 წლის იყო მამა რომ შეცვალა კასპის ცემენტის ქარხანაში. ომი იყო. მანამდე ოჯახით გადმოვიდა დოესიდან კასპში ალექსანდრე მესროფაშვილი და სატრანსპორტო საამქროში მუშაობდა ვაგონების გადამამბელად.

ომის ქარცეცხლში სხვა მეცემენტებთან ერთად წავიდა: სახლში მოსწრებული შვილი დატოვა ოჯახის ბურჯად. შალვამ გაუმართლა მამას. ელექტროსაამქროში სწავლობს ძრავების გადახვევას, თან ამთავრებს კასპის № 1 საშუალო სკოლას. მძიმე პერიოდი იყო. ქარხანა ომისათვის საჭირო პროდუქციას უშვებდა. შალვა დახელოვნებული ელექტრიკოსივით თავს დასტრიალებდა ელექტრომეურნეობას. ომის შემდეგ ქარხანა ძირითადი პროდუქციის გამოშვებას შეუდგა. შალვა მესროფაშვილი გამოწვის საამქროში გადაჰყავთ, მერე დაფქვის საამქროში ელექტრიკების ბრიგადირად. ქარხნის გაფართოება დაიწყო. ძირითად სამუშაოსთან ერთად შალვა მესროფაშვილს დაავალეს ელექტრობის დამონტაჟება ნახშირების განყოფილებაში. დავალება შესრულდა. შალვა ფულად პრემიას იღებს. ღუმლის გაშვების შემდეგ ელექტრიკების ბრიგადა ნახშირების განყოფილებაში დატოვეს, რომ დაემთავრებინათ ქვესადგური და დაემონტაჟებინათ ხიდური ამწე. მეწყერისაგან დანგრეული კარიერიც აღდგენას ითხოვდა. შალვა მესროფაშვილი აღდგენით სამუშაოებზეა. მერე შიფერის საამქროს მონტაჟებშიც იღებს მონაწილეობას. საზოგადოებრივ დავალებებსაც გულისხმიერად ეკიდება შალვა. არის აქტიური კომკავშირელი, 1949 წელს სკკპ წევრობის კანდიდატად მიიღეს, მაგრამ წევრი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გახდა. თადარიგის ოფიცრის ჩინით ბრუნდება მშობლიურ საწარმოში 1954 წელს. ქარხანაში ისევ ნაცნობი სამუშაო ელის. ელექტრიკების ბრიგადის ბრიგადირია. ახალი დავალება მიიღო: დაამონტაჟოს ცემენტის ახალი წისქვილი, მერე კირქვის კარიერის ელექტროვაყვანილობის დამონტაჟება დაავალეს. შალვა მესროფაშვილი ყველაფერს ასწრებს. გაჰყავს მაღალი ძაბვის ხაზი, ამონტაჟებს საპაერო ქვესადგურს.





ორი წლის მერე შიფერის საამქროს მაშინდელი უფროსი პლატონ ხუნწარია სთხოვს მასთან, საამქროში ოსტატად გადასვლას. იმ დღიდან შიფერის წარმოებაშია. 1972 წლიდან დღემდე მექანიკოსია, მონაწილეობს შიფერის დამფორმებელი მანქანების რეკონსტრუქციაში, მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია, რომელთა უმრავლესობა დანერგილია წარმოებაში. ინჟინერ ერშოვის დამფორმებელ კონვეიერზე რელსებიდან ხშირად ცვიოდა შიფერის გადამტანი ვაგონები. ერთის ჩავარდნა იწვევდა რამდენიმის ჩავარდნას. შალვას წინადადებით კონვეიერზე საჭირო ადგილას დაიდგა თორმეტვოლტიანი რელე, ავარიის შემთხვევაში რელეს საშუალებით ახლა მთლიანად ირთვება კონვეიერი, რაც ხელს უწყობს ვაგონების გადაჩენას დაზიანებისაგან და მნიშვნელოვნად ამცირებს აგრეგატებისა და მუშახელის მოცდენას. წყლის მარეგულირებლის გაწმენდის დროს იხარჯება დიდი დრო და მოითხოვს მუშახელს. შალვას წინადადებით მარეგულირებელთა ვიწრო ხვრელები გაფართოვდა, მნიშვნელოვნად დაიზოგა სამუშაო დრო, შემცირდა მუშახელი. შალვა მესროფაშვილი დაჯილდოებულია მედლით, საპატიო სიგელებით.

ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვს სერგო ხარაზიშვილს, რომელიც კასპის შიფერის ქარხანაში 1950 წელს მოვიდა თბილისიდან, რკინიგზის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შიფერის წუნმდებლად გააფორმეს. ერთი წლის შემდეგ ცვლის ლაბორანტად გადაიყვანეს, მერე ჩამორჩენილ ცვლას ჩაუყენეს სათავეში. მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. პრიმიტიულად მოწყობილ ქარხანაში მიიმე იყო შრომა. ხელით იჭრებოდა სველი შიფერი, გადაჰქონდათ დასაფორმებელ ადგილას და აქაც ხელით აკეთებდა ყველაფერს. სიძნელეს უადვილებდა სერგო ხარაზიშვილს მაშინდელი უფროსი პლატონ ხუნწარია, გვერდით ედგა ბრიგადირი გიგო ბაინდურაშვილი, რომლის ბრიგადაც კომუნისტური შრომის სახელს ატარებდა. სერგო ხარაზიშვილის ცვლამ კომუნისტური შრომის სახელი მიიღო. თავად ცვლის უფროსი დაჯილდოვდა „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნით და ფულადი პრემიით. 1969 წელს სერგო ხარაზიშვილი უკვე შიფერის საამქროს უფროსია, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო იგი 1972 წელს გადაჰყავთ საამქროს უფროსის მოადგილედ და დღემდე ამ თანამდებობაზეა.

ალექსი ჟივიძე იმ წლებში გავიცანი, როცა შიფერის საამქროს



ცვლას ედგა სათავეში. კარგი შრომითი ბიოგრაფია ჰქონდა. ლენინ-გორის რაიონიდან მოვიდა კასპში ალექსი საშუალო სკოლის სიმწიფის ატესტატით. სამხედრო-სავალდებულო სამსახური გავლილი ჰქონდა. 1956 წელი იყო. ალექსი ჟივიძე მუშად მიიღეს, შემდეგ მემანქანის თანაშემწედ გადაიყვანეს. 1962 წლიდან შიფერის დამფორმებელი მანქანის მემანქანეა. ოსტატდება გამოცდილი „დასტაქრის“ ვარდენ მანქულაშვილის გვერდით. პარალელურად პოლიტექნიკურ ტექნიკუმში სწავლობს. საამქროში კომკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს და კომკავშირულ ახალგაზრდულ ბრიგადას უდგას სათავეში. ბრიგადამ შესაშური მაჩვენებლები მიიღო და „კომუნისტური შრომის ბრიგადის“ საპატიო სახელს აკუთვნებენ. იმ კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაზე მაშინ ბევრს წერდნენ პრესაში, გადასცემდნენ რადიოთი. 1964 წელს ტექნიკუმს ამთავრებს და აწინაურებენ კიდეც ცვლის უფროსად. იმ დღიდან ჟურნალისტის უბის წიგნაკით არაერთგზის მივსულვარ ჟივიძის ცვლაში, მისი კომკავშირული ბრიგადის წევრებსაც მუშაობაში გავცნობივარ. მინახავს ხელებდაკაპიწებული კომკავშირლები: ოლია ხუროშვილი, ლეილა ბაქაქური, რუსუდან ნავროზაშვილი, ელენე ბალხამიშვილი, მიხეილ ბაზუაშვილი და სხვანი. ახლა ალექსი ჟივიძე შიფერის წარმოების უფროსია და მხარში უდგანან შიფერის დამფორმებელი მანქანის მემანქანეები, მათი თანაშემწეები, მეშიფერეები, ზეინკლები, ელექტრიკოსები. ყველანი ერთ დიდ და საპატიო საქმეს ემსახურებიან: მისცენ ქვეყანას მეტი კასპური შიფერი. ბევრი რამ მოხდა წარმოების ახალი უფროსის თვალწინ: 1966 წელს ამუშავდა ინჟინერ ერშოვის უნივერსალური დამფორმებელი მანქანა, 1972 წელს გამოუშვეს საშუალო ტალღოვანი შიფერი — „სგ—1750“, 1979 წელს აითვისეს გაძლიერებული ტალღოვანი შიფერი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა კასპელ მეშიფერეებსაც. ამიტომ ახალ ხუთწლედში მწყობრში ჩადგება ახალი ტექნოლოგიური ხაზი. შიფერის წარმოების მშრომელები ახლა ყველაფერს აკეთებენ, რომ მოაზოვონ სახელმწიფო ხარისხისნიშნისანი შიფერის გამოშვების უფლება. და რომ წარმოებამ 1976 და 1977 წელს დასძლია 70-მილიონიანი მიჯნები, იგი დღევანდელი საბრძოლო ამოცანაა.

წარმოების ახალი უფროსის დებიუტი (იგი ამ თანამდებობაზეა



1980 წლის ოქტომბრიდან) კარგი აღმოჩნდა. გეგმებს ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებენ.

წინ შრომისა და ძიების დიდი და ფართო გზაა.

\* \* \*

როტული, საპასუხისმგებლო, ზოგჯერ სარისკოც კია ელექტროკოსის ხელსაქმე. მუშაობენ ისინი უპრეტენზიოდ, ემსახურებიან ელექტრომეურნეობას, ამოწმებენ გადამცემ ხაზებს, აკეთებენ აგრეგატებს, ამონტაჟებენ ელექტრომოწყობილობას. ელექტროსაამქრო, რომლის უფროსია ზაქარია აბუაშვილი, ერთ-ერთი აუცილებელი, ცოცხალი უჯრედია კომბინატისა. იგი დაყოფილია ელექტრომოწყობილობების, ელექტროძრავების შემკეთებელ უბნებად, მის განყოფილებაშია ქვესადგურიც.

კომბინატში მუდამ მოწინავეა ელექტროსაამქრო, სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალგზის გამარჯვებული. საამქროს 7 მუშაკი კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელს ატარებს და ამაში დიდი წვლილი სწორედ საამქროს უფროსს მიუძღვის.

ელექტროძრავების გადამხვევთა უბანს გამოცდილი სპეციალისტი გურამ ნონიაშვილი ხელმძღვანელობს. გურამი, სიმონ ნონიაშვილის ვაჟიშვილი, კომბინატის თანატოლია და მუშაობის 38 წლის სტაჟი აქვს; 1943 წელს მოვიდა ელექტროსაამქროში და ერთი დღითაც აღარ მოსცილებია საყვარელ კოლექტივს. პრინციპული და მომთხოვნი კომუნისტი, ამხანაგების, კოლეგების მოსიყვარულე და თანასწორი. მის მკერდს შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენი და მრავალი მედალი ამშვენებს, დაჯილდოებულია საპატიო სიგელებით, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნებით. არაერთხელ აურჩევიათ საქართველოს კპ კასპის რაიონული ორგანიზაციების კონფერენციების დელეგატად.

ელექტროშემკეთებელთა ბრიგადაში 12 კაცი დგას შრომით ვახტზე. თადარიგის ოფიცერი, ალექსანდრე რევზინი კომბინატში 1959 წელს მოვიდა და შეისწავლა ელექტროძრავების გადახვევა. იგი საამქროს პროფორგია და წლების მანძილზე ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს. საამქროს სული და გულია პარტიული ორგანიზაციის მდივანი გივი ტუხიაშვილი, ყოველთვიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებითა და ხარისხიანად ასრულებს. მას კომუ-



ნისტური შრომის დამკვერელის წოდება მიენიჭა 1980 წელს. ამ წოდებას ბრიგადაში ატარებენ იური ჯანანაშვილი და ნოდარ მჭედლიშვილი. ბრიგადაში, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციისა და საპატრიო ნიშნის ორდენების კავალერი, რაიონული საბჭოს დეპუტატი სოლომონ წიკლაური ხელმძღვანელობს, სანიმუშო შრომითა და მონდომებით გამოირჩევიან იოსებ წიკლაური, ვალერიან თათანოვი, შოთა ქისიევი. მათ კომუნისტური შრომის დამკვერელის წოდება აქვთ მინიჭებული. მათ გვერდით დგას ბადრი ონეზაშვილი, იგი 1977 წელს მოვიდა კომბინატში, თავი გამოიჩინა, სახელი მოიხვეჭა, კომუნისტური შრომის დამკვერელიც გახდა. ახლახანს კი ერთი დიდი სიხარულიც ეწვია: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი გახდა.

\* \* \*

კომბინატში სათბობ-ენერგეტიკული საამქრო 1980 წელს იწყებს ამოქმედებას. მის შემადგენლობაში შედის საქვაბე და სამაზუთე განყოფილება. ქვაბი, რომელიც ამ განყოფილებაშია, საბჭოთა კავშირში პირველად კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში დაამონტაჟეს და ექსპლოატაციაში გაუშვეს. იგი ცხელი ჰაერის ნაკადს აწვდის შიფერის წარმოებას, აქ შიფერის გამოსაშრობად ტექნოლოგიური წყლის ტემპერატურა 40°-მდე აპყავთ, ხოლო ბლოკების წარმოებისათვის მაზუთის ტემპერატურა 110°-მდე.

სამაზუთე განყოფილება ძირითადად საგამოწვო საამქროს ემსახურება. აქ ცისტერნებით მოსულ მაზუთს ტუმბოების საშუალებით ტუმბავენ რეზერვუარში (ორი რეზერვუარია, თითოეული 5 ათასი ტონის ტევადობით), საიდანაც მაზუთს აწვდიან გამაცხელებლებს. ცხელი ნაკადის საშუალებით მაზუთის ტემპერატურა აპყავთ 100—110 გრადუსამდე, შემდეგ კი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება საგამოწვო საამქროს 20—22 ატმოსფეროს წნევით. სათბობ-ენერგეტიკულ საამქროს ხელმძღვანელობს ნოდარ დარახველიძე.

პატარა ბიჭი იყო ნოდარი, მამას ალექსანდრე დარახველიძეს რომ დაჰყვებოდა ქარხანაში და გაცეხებული შეჰყურებდა ვეება მბრუნავ ლუმელებს, ხახადაფჩენილ წისქვილებს.

უხილავი ძაფები აკავშირებს ნოდარს ცემენტ-შიფერის კომბი-



ნატთან. წლების განმავლობაში იგი უნარიანად უძღვებოდა შიფერის წარმოებას. 1980 წელს კი სათავეში ჩაუდგა სათბობ-ენერგეტიკულ სამქროს. აქ მას მხარში უდგანან პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნოდარ რევაზიშვილი, პროფკავშირის თავმჯდომარე ნათელა თათარაშვილი, ზეინკლები სედრაქ ნორსოიანი, ოთარ კაციაშვილი, ელექტრიკოსი ლეონიდე გვაზდევსკი, ლევან შალუტაშვილი, ზაურ შეშაბერიძე და სხვანი.

\* \* \*

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული კომბინატში. მის ფუნქციებში შედის პროგრესული ტექნოლოგია, ახალი ტექნიკის დანერგვა, რაციონალიზაცია და გამომგონებლობა, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, პროდუქციის ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემა, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, კადრების მომზადება, პროდუქციის ნორმალიზაცია და სტანდარტიზაცია, წარმოებაში ნედლეულის, მასალების, თბოენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სამეურნეო გეგმების შესრულებისა და სხვა საკითხებზე ღონისძიებების შემუშავება და მათ შესრულებაზე კონტროლის დაწესება.

ახლახანს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად დანიშნეს ახალგაზრდა ინჟინერი მარინე მალლაფერიძე, ნოდარ ბაინდურაშვილი ხელმძღვანელობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის, ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებს.

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების ინჟინრები ამართლებენ ნდობას, ასრულებენ მეტად რთულ დავალებებს.

\* \* \*

წლების განმავლობაში აწუხებდა ქალაქს ცემენტ-შიფერის კომბინატიდან ავარდნილი კვამლი, მტკვრის ხეობაში იბნეოდა ცემენტის მტვერი, ჭუჭყიანდებოდა ატმოსფერო.

ინჟინერ-კონსტრუქტორებმა შექმნეს მტვერდამჭერი ფილტრები. ისინი კასპშიც მოიტანეს და კომბინატში № 3 და № 4 მბრუნავ ღუმელებზე დაამონტაჟეს. ფილტრებმა ნაწილობრივ გაამართლა:



შემცირდა გარემოს გაჭუჭყიანება, მაგრამ ვერ მოისპო, რადგან გამწმენდი დანადგარები დამონტაჟდა მორალურად მოძველებულ ცემენტის წისქვილებზე, № 3 და № 4 ღუმელებზე. ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. მათი ეფექტიანობა შეადგენს 95,7-დან 98 პროცენტს, დაისახა ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერისა და გარემოს გაჭუჭყიანების მოსასპობად. ამისათვის მე-11 ხუთწლედში № 3 და № 4 მბრუნავ ღუმელებს ჩაუტარდებათ რეკონსტრუქცია, დაიდგება მაცივარი „ვოლგა“, დამონტაჟდება „უგ“ მარკის ელექტროფილტრი, აშენდება ახალი ღუმელი გამწმენდი ნაგებობით, № 1 და № 2 ღუმელების ადგილზე აიგება ახალი დაფქვის საამქრო, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე ელექტროფილტრებით.

ყოველგვარი სიახლე საშუალებას მისცემს კომბინატს, მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოს დამტვერიანება.

ელექტროფილტრების დამონტაჟებამ ასპირაციის ახალი საამქრო წარმოშვა კომბინატში, მას 14 კაცი ემსახურება. მათი უფროსია ველიხან ანანიკიანი.

ბრიგადა, რომელსაც ოსტატი იური ადამენკო ხელმძღვანელობს, განსაკუთრებულ, მეტად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. მონტიორები გიორგი ბერიანიძე, ალექსანდრე მუზაევი და სხვები ემსახურებიან საზომ-საკონტროლო ხელსაწყოებს, ავტომატიზაციაზე გადაჰყავთ ზოგიერთი მაკონტროლებელი, მეთვალყურე, მარეგულირებელი და გამზომი აგრეგატები, რითაც ამარტივებენ და საიმედო სამართავს ხდიან ზოგიერთ ტექნოლოგიურ ხაზებს.

\* \* \*

ქიმიური აპარატურით, რეაქტივებითა და ხელსაწყოებით სავსე ოთახებში თეთრხალათიანი ქიმიკოსები და ლაბორანტები ფუსფუსებენ, კეთდება ნედლეულის ანალიზი, ისინჯება კირქვა, თიხა, პემზა, თაბაშირი. ლაბორატორია ანალიზს უკეთებს და კონტროლს უწევს წარმოების ყველა უბანზე მიმდინარე ტექნოლოგიური და ტექნიკური ნორმატივების პროცესებს, ტექნიკური ნორმატივების დაცვას, მოწმდება ყველა სახეობის ნედლეული მასალების შესაბამისობა მისივე ტექნიკურ ნორმატივებთან, რომელიც საბოლოო



პროდუქციის ხარისხიანობის სათავეა. ქიმიკოსები იბრძვიან პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, იგი უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. ამ ლაბორატორიაში მკაფიოდ ჩანს ცემენტის კავშირი სამშენებლო ტექნოლოგიურ თვისებებთან, სპეციალური სახის იმ ცემენტის თვისებებთან, რომლებსაც გარკვეული ადგილი უკავია სამშენებლო მასალების წარმოებაში. ხდება ცემენტის აქტივობისა და მარკიანობის დადგენა, საამქროთა ლაბორატორიის მიერ აღებული სინჯების გატარება ფიზიკო-მექანიკური გამოცდის განყოფილებაში. აქ ცემენტის აქტივობასა და მარკიანობას ადგენენ საკმაოდ გამოცდილი, ენერგიული და თავისი საქმის მცოდნე ქიმიკოსები და ლაბორანტები.

თავისი საქმის ოსტატია ლაბორატორიის უფროსი მაყვალა გოზალოვი. ამ კეთილშობილურ საქმეს იგი 24 წელია ემსახურება, კასპის № 1 საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა და გამოცდები იმავე წელს ჩააბარა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, აგროქიმიკა-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მაყვალა კასპში მოდის და ცემენტის ქარხანაში, სადაც მამამისი, იოსებ გოზალოვი წლების განმავლობაში პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობდა, იწყებს საქმიანობას ინჟინერ-ანალიტიკად. ერთი წლის შემდეგ შიფერის წარმოებაში გადაჰყავთ ქიმიკოსად, მერე ცენტრალურ ლაბორატორიაში ცემენტის, ფიზიკურ-მექანიკური გამოცდის ინჟინრად, ცვლის ტექნიკური კონტროლის ოსტატად. 1968 წლიდან დღემდე ლაბორატორიის უცვლელი ხელმძღვანელია.

ცემენტის ფიზიკურ-მექანიკური გამოცდის ლაბორანტია ედუსია გვარამაძე. 1948 წელს მოვიდა ცემენტ-შიფერის კომბინატში და სიყვარულითა და დიდი პასუხისმგებლობით ემსახურება საქმეს. თინა ოქროპირიძე 1966 წელს მოვიდა საწარმოში, პირველად შიფერის წარმოებაში მუშაობდა დამფორმებლად, მერე ლაბორატორიაში გადაიყვანეს.

საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით გამოირჩევა ემა გალუშენკო. დიდი გულისყურით ამზადებს ხსნარებს, მონაწილეობს ლაბორატორიის ყველა შრომით საქმიანობაში. ნინა სარდიკი ნოვოროსიისკის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ განაწილებით მოვიდა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში 1948 წელს. ერთხანს ცვლის უფროსად მუშაობდა გამოწვის საამქ-



როში, 1963 წლიდან ლაბორატორიაში ტექნიკური კონტროლის  
ოსტატად.

მუდამ მოძრაობაშია მერი ალაპიშვილი, შიფერის წარმოების  
ლაბორატორიის კონტროლის ქიმიკოსს საზოგადოებრივი დავალებაც  
აქვს: ამ წარმოების პარტიული ორგანიზაციის მდივანია. სისტე-  
მატურად ამოწმებს გამოსული პროდუქციის ხარისხს, აქტებს,  
თვალყურს ადევნებს დამფორმებელი მანქანების მუშაობასა და სხვ.

ასეთები ბევრნი არიან ლაბორატორიაში, რომლებიც ერთ დიდ-  
საქმეს ემსახურებიან და იყენებენ ქიმიას ცემენტის წარმოებაში —  
ნედლეულის მომზადებიდან მზა პროდუქციის მიღებამდე.

\* \* \*

წლობით ოცნებობდნენ ცემენტ-შიფერის კომბინატის მშრომე-  
ლები ჰიგიენის სახლზე. იყო დრო, როცა ჰიგიენური საშუალებანი  
არ ჰქონდათ. მერე ერთი პატარა აბანო ააშენეს და გაჭირვებით ემ-  
სახურებოდა იგი ქარხნის მშრომელებსაც და ზოგჯერ ქალაქის მო-  
სახლეობასაც. მეტი იყო საჭირო. არ ჰქონდათ სამრეცხაო, ჰიგიენის  
ოთახები, გასახდელი კარადები.

1975 წელს მწყობრში ჩადგა ორსართულიანი მომსახურების  
სახლი. ახლა კომბინატის არც ერთი მუშა არ დატოვებს ცვლას, ჰი-  
გიენის სახლში რომ არ მივიდეს. ყველაფერს მზრუნველი დიასახ-  
ლისის ხელი ატყვია, ყველაფერი კრიალებს და ქათქათებს, თვალს-  
ნიბლავს ყვავილნარით დამშვენებული ეზო.

1977 წელს, ჩვენი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, —  
ამბობს მისი გამგე, მარიამ ხუციანთაძე, — დაათვალიერა სკკპ ცენ-  
ტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, სა-  
ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდი-  
ვანმა ამხანაგმა ელუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ.

ამონაწერი მარიამ ხუციანთაძის მოგონებებიდან: „მძიმე მოსა-  
გონარია ჩემთვის ომის წლები. ყოველწლიურად მიდიოდნენ ვაჟკა-  
ცები, ახალგაზრდობა ომში. სოფელში რჩებოდნენ მხოლოდ ქალები,  
ღრმად მოხუცები, ბავშვები... ჭირდა სოფელში. სასოფლო-სამეურ-  
ნეო და აღმასკომის საქმიანობასთან ერთად ვამზადდებდით ფრონტზე  
გასაგზავნ თბილ ტანსაცმელს, ხილს. პირადად მე გავაგზავნე 10  
წყვილი თბილი ქეჩის ჩექმა და ხილეული“... აუღელვებლად ვერ





წაიკითხავ ამ ჩანაწერებს: ქალი — საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ებრძვის ბანდიტებს, სამშობლოს მოღალატეებს, მერე თავად მიდის სამხედრო კომისარიატში და ფრონტზე გაგზავნას ითხოვს. უარს ეუბნებიან, რადგან ადგილზე იყო საჭირო. მარიამი ამართლებს ნდობას. აჯილდოებენ მედლებით. ახლა კომბინატში ჯარასავით ტრიალებს, ეს დაუზარელი, ენერგიული ქალი.

\* \* \*

კასპში, ლენინის ქუჩაზე, ქალაქის მშენებება — ცემენტ-შიფერის კომბინატის კულტურის სახლია.

50 წლის წინათ აქ კულტურის სახლი არ იყო. კასპს ბევრი რამ აკლდა ამით. 1951 წელს დამთავრდა ამ ლამაზი შენობის მშენებლობა და ექსპლოატაციაში გადაეცათ მეცემენტეებს.

კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედი წრეები მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკურ და საკავშირო ფესტივალებზე, საიდანაც არაერთგზის დაბრუნებულან დიპლომებითა და ოქროს მედლებით.

წარმატებებით ხვდება კომბინატის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს კულტურის სახლი. მოვუსმინოთ მის დღევანდელ ხელმძღვანელს, გივი გიგაურს:

„კულტურის სახლში მუშაობას წარვმართავთ გეგმის შესაბამისად, მოვაწყეთ საზეიმო საღამოები, საკონცერტო ღონისძიებანი. კომბინატის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, კულტურის სახლის ხელმძღვანელობის ინიციატივით შეხვედრები მოვუწყეთ კომუნისტური შრომის ბრიგადირ გურამ ჩადუნელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საავიაციო ქარხნის ხარატს ტრიფონ როსტიაშვილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს სკკპ XXVI ყრილობის დელეგატს ნათელა ბუთხუზს და სხვებს.

საინტერესო იყო აგრეთვე შეხვედრები მწერალ ნოდარ დუმბაძესთან, ჭადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონთან ნონა გაფრინდაშვილთან, გვესტუმრა ფილმ „დათა თუთაშხიას“ დამდგმელი კოლექტივი: გიგა ლორთქიფანიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გიზო გაბესკირია, მსახიობები: ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაზე, ზურაბ ქა-



ალექსანდრე ჭეზაძე




ვარდენ მანძულაშვილი



ივანე გევაძე



ვასილ კოტიაშვილი



ოსტატი დიმიტრი გიორგაძე, ხარატი აბრამ შალუტაშვილი



შალვა ნატროშვილი



ფიანძე, ამ ნაწარმოების უნგრულ ენაზე მთარგმნელი მარჩელო, შევხვდით კომპოზიტორ რევაზ ლალიძეს, რეჟისორ თემურ ჩხეიძეს და სხვებს.

კულტურის სახლში ეწყობა რაიონული მასშტაბის ღონისძიებანიც. ჩავატარეთ თემატური საღამოები „ლენინი მარად უკვდავია“, „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ქალები“, „სკკპ XXVI ყრილობა და მსოფლიო“, ინტერესით გვესწრება საზოგადოებრიობა ლექცია-მოხსენებებზე, ახლახანს ბიბლიოთეკასთან ერთად მოვამზადეთ და ჩავატარეთ პოეზიის საღამო „ლენინის სახე პოეზიაში“, აგრეთვე საშეფო კონცერტები, შევხვდით კომკავშირელებს, რაიონის მოწინავე ადამიანებს.

\* \* \*

ნიშანდობლივია: კასპის ცემენტ--შიფერის კომბინატის საბავშვო ბაღი 1981 წელს 50 წლისა გახდა.

რამდენი მეცემენტის შვილი აღიზარდა მის კედლებში. ახლასინი თავად არიან დედები და მამები.

ამონაწერი ჟურნალ „საქართველოს ქალიდან“:

„ყველაფერი შეიძლება საბავშვო ბაღიდან დავიწყოთ. აქედან იღებს სათავეს ის დიდი ენერგია და გამძლეობა, რაც ქალს მთელი დღე უნდა ეყოს ქარხანაში. ცემენტის ქარხნის მუშა ქალებს მართლაც დიდი ენერგია სჭირდებათ. მექანიზაციის დანერგვის მიუხედავად, მათი შრომა მაინც მძიმეა, რაც ცემენტის წარმოების თავისებურებით აიხსნება, და როცა დედა შვილებს თამარ ქობულიას დაუტოვებს საზრუნავად, როცა ეს შესანიშნავი ბალის გამგე დილიდან დაღამებამდის 60 პატარას დედაა, არავითარი ჯავრი არ აწუხებთ ცემენტის დამამზადებლებს. ამ საბავშვო ბაღში ტრადიციულად გრძელდება ყველაფერი ის კარგი და სასარგებლო, რაც 30-იან წლებში დამკვიდრდა, როცა კასპიდან ცემენტით დატვირთული პირველი ეშელონები დაიძრა, მას შემდეგ ბაღი ტერიტორიულად გაფართოვდა, შეემატა ახალი კორპუსები, კომფორტი, უამრავი გონივრული და გასართობი სათამაშოები“<sup>1</sup>.

დიდი ტრადიციები აქვს საბავშვო ბაღს, მზრუნველი, თბილი, ამაგდარი პედაგოგების წყალობით იგი ყოველთვის გამოირჩეოდა

<sup>1</sup> ჟურნ. „საქართველოს ქალი“, 1974 წ., № 1, გვ .5—6.



რაიონში და რესპუბლიკაში მხარს უსწორებს მოწინავე სკოლამდელ დაწესებულებებს.

ამონაწერი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 10 დეკემბრის № 1390 ბრძანებიდან:

„კარგადაა დაყენებული კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის საბავშვო ბაღის მუშაობა. შექმნილია მჭიდრო, ჯანსაღი კოლექტივი, იგრძნობა ერთსულოვნება და საერთო მზრუნველობა საბავშვო ბაღისადმი. აქ ყოველი კუთხე მოვლილია და დანიშნულებითაა გამოყენებული. მოწესრიგებული გარემო დადებით გავლენას ახდენს ბავშვებზე, რის გამოც საერთო წესრიგი და დისციპლინა იგრძნობა საბავშვო ბაღში. გამგეს თ. ქობულიას მოწესრიგებული აქვს საბავშვო ბაღის დოკუმენტაცია. აღსანიშნავია კასპის ცემენტის ქარხნის (დირექტორი ვ. პაპიაშვილი) მზრუნველობა საბავშვო ბაღისადმი“<sup>1</sup>.

1974 წელს თამარ ქობულია პენსიაზე გავიდა. ღირსეული მცვლელი დატოვა: თამარ საანიშვილი, პედაგოგი, რომელსაც წლები ბავშვთა აღზრდაში შემოეხარჯა. 33 წელია ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურება იგი. მის ცხოვრებას შინაარსი და აზრი აქვს. მივა დილით ბაღში და შემოეხვევიან პატარები. არაფერი ისე არ ახალისებს მის გულს, როგორც მათი წკრიალა ხმების გაგონება.

მიდიან ცემენტ-შიფერის კომბინატის საბავშვო ბაღში აღსაზრდელები მეოცნებე თვალებით, შეუცნობადი სამყაროთი, ვარდისფერი სიზმრებით და ხვდებიან დაუზარელი პედაგოგები და აღმზრდელები, რომელთა ცხოვრების მიზანს სწორედ ამ პატარების სიყვარული, სწავლა-აღზრდა შეადგენს.

## ტექნიკას აღზიანები მართავენ

ახალი სახეობის პროდუქცია გამოუშვა კომბინატმა 1978 წელს: „400“-მარკიანი პუცოლანური პორტლანდ ცემენტი. თავმდებია ავტომატიზაცია, მექანიზაცია, გარკვეული ღვაწლი მიუძღვით რაციონალიზატორებსაც. საწარმოს საერთო პროდუქციის მოცულობაში ხარისხისნიშნის პროდუქციის გვერდითი წილი 25 პროცენტს შეადგენს.

<sup>1</sup> საქ. სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებისა და ინსტრუქციის კრებული, № 11—12, თბილისი, 1967, გვ. 49.



დავუბრუნდეთ კომბინატის ცხოვრების ადრეულ წლებს. ტრანსპორტი: კამეჩებშებმული ურმები და ცხენებგამომბმული ვაგონები. „კასპის ცემენტის ქარხნის თიხის კარიერიდან დატვირთული ვაგონების გადმოზიდვა ცხენების საშუალებით წარმოებს... დასვენების საათებში ცხენს რატომღაც გამოაბამენ ხოლმე ვაგონს, რომ არსად წავიდეს და მიატოვებენ უპატრონოდ“<sup>1</sup>, — წერდა გაზეთის კორესპონდენტი.

ასე ჩამოდიოდა კირქვა სანგრევიდან, შემოჰქონდათ სათბობი, კარიერიდან თიხა, იხარჯებოდა უამრავი ხელის შრომა, მძიმე იყო ცხოვრება.

დღეს ცემენტ-შიფერის კომბინატში ყველაფერი მექანიზებულია. კირქვა ავტომანქანებით შემოდის სანგრევიდან სამსხვრეველამდე. ვაგონების დასაცლელად, სათბობის, ნედლეულის მისაწოდებლად ქარხანაში მუშაობს 6 ხიდური ამწე.

ომის შემდგომ პერიოდში თიხის მასალის შემოზიდვა ნედლეულის წისქვილებამდე ავტოტრანსპორტით ხდებოდა, რაც დიდი რაოდენობის ტრანსპორტს მოითხოვდა. ქარხნის რაციონალიზატორებმა შეიმუშავეს წინადადება, რომ თიხა კარიერზევე ათქვეფილიყო და შლამის მოწოდება მილგაყვანილობით მომხდარიყო.

წინადადება დაინერგა და გააიაფა პროდუქციის თვითღირებულება. სარემონტო სამუშაოები არ იყო მექანიზებული. რემონტის ჩაბარება მოითხოვდა დიდი ოდენობით მუშახელს. დაინერგა მექანიზაცია. საამქროებში ძირითადად დანადგარების თავზე დაიდგა ამწეები. რემონტში ჩაერთვნენ ავტომტვირთავები. ყველაფერმა ამან დააჩქარა რემონტის ჩატარება, მუშახელის რაოდენობა კი 50 პროცენტით შეამცირა.

წლების მანძილზე მძიმე იყო ვაგონებში ტარირებული ცემენტის, წვრილი საკედლე ბლოკის ჩატვირთვა. 1972 წლიდან ქარხანამ მიიღო დამსხვრეული პემზა და ფიზიკური შრომისაგან გაათავისუფლეს 16 კაცი. განსაკუთრებით აუტანელი იყო შრომა შიფერის საამქროში, სადაც 1966 წლამდე 100 კაცი მუშაობდა, მათ შორის უმეტესობა — ქალები. აქ ყველაზე მძიმე და ძნელი საქმე შიფერის დაფორმებაა, სადაც მთლიანად ქალები არიან დასაქმებული. 1966 წელს № 2 შიფერის დაფორმებელ მანქანაზე დაიდგა ინჟინერ ერ-

<sup>1</sup> გაზ. „მბრუნავი ღუმელი“, 1933 წ., № 3.

შოვის კონსტრუქციის ავტომატ-კონვეიერი, რომელიც თვითონ აფორმებს შიფერს. შემდგომ წლებში № 1 და № 2 მანქანაზე დამონტაჟდა ასეთივე კონვეიერი, რამაც მძიმე ფიზიკური შრომისაგან გაათავისუფლა ქალთა დიდი ოდენობა.

დღეს საამქროში ხელით შრომა მინიმუმამდეა დაყვანილი და ზრუნავენ მისი სრული ლიკვიდაციისათვის. წარმოების სფეროში დანერგილი სიახლე ყოველთვის პირობებს ქმნის საწარმოო ფონდების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის და დადებითად მოქმედებს წარმოების ორგანიზაციაზე. ამ კომბინატში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მთელი პლეადა აღიზარდა. რესპუბლიკის დამსახურებულმა რაციონალიზატორმა, აწ გარდაცვლილმა გიორგი ჩაფიძემ შექმნა წნეხი, რომლის საშუალებითაც აღადგინა შიფერის ლითონის საფენები, გააუმჯობესა შიფერის ხარისხი და ფორმა. ამ და სხვა წინადადებების დანერგვამ ასეული ათასობით მანეთი მისცა საწარმოს. რაციონალიზატორები დიდ ეკონომიას აძლევენ ქარხანას, ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, ელექტროენერჯისა და ფერადი მეტალების ეკონომიას.

კომბინატის რაციონალიზატორთა წინადადებები არაერთხელ ყოფილა წარდგენილი რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების რესპუბლიკურ კონკურსებსა და დათვალიერებებზე, სადაც ხშირად წარმატებებიც ჰქონიათ.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მთავარ ბირთვს წარმოადგენენ დიმიტრი გორგაძე, გურამ დალაქიშვილი, არჩილ ლავრელაშვილი, სედრაქ ნორსოიანი, შალვა მესროფაშვილი, თენგიზ ალიბეგაშვილი, ნიკოლოზ ზავადნოვი, ჯემალ გრცირიძე, ვალერიან მაისურაძე, ვახტანგ ჭალისური და სხვები. რაციონალიზატორ ვალერიან მაისურაძის წინადადებით ცემენტის № 2 წისქვილი განიტვირთა ავტომატური ტუმბოს საშუალებით და 13.200 მანეთის ეკონომია მისცა ქარხანას.

1967 წელს ქარხნის ყოფილი დირექტორის ვახტანგ პაპიაშვილის, მთავარი მექანიკოსის ნიკოლოზ ზავადნოვის, ტექნიკოს პავლე ველიჩკოს წინადადებით წისქვილი შეცვალეს ახლით, გაუკეთეს რეკონსტრუქცია, რამაც წისქვილის წარმადობა აამაღლა, ქარხანამ კი 160.876 მანეთის ეკონომია მიიღო.

შიფერის საამქროში დამფორმებელი მანქანის წარმადობა დაბალი იყო. საამქროს მაშინდელი უფროსის ვასილ კოტლიარის წი-



ნადადებით ეს დამფორმებელი მანქანა გადაიყვანეს კასკადურ კვებაზე. ამით მანქანის წარმადობა გაიზარდა 15 პროცენტით, ტექნიკური მაუდის ხარჯვა შემცირდა 20 პროცენტით. მისივე წინადადებით გამოიყენეს ლაბორატორიისათვის სინჯად აღებული შიფერო. ამით კოტლიარმა შიფერის საამქროს წელიწადში 3.000 მანეთის ეკონომია მისცა.

შიფერის საამქროს მექანიკოსის ალექსანდრე არაქელოვის წინადადებით ახალი დამფორმებელი მანქანის მოცდენა შემცირდა. ზენკალ ვასილ რუდამიოტკინის წინადადებით ქარხანამ 200 მანეთის ეკონომია მიიღო, ზენკალ სედრაქ ნორსოიანის წინადადებით შემცირდა დანადგარების მოცდენა.

1974 წელს ნიკოლოზ ზავადნოვის წინადადებით (ლუმლის ცივი ბოლოს რეკონსტრუქცია) ქარხანამ 7.400 მანეთის ეკონომია მიიღო, ხოლო სოლომონ წიკლაურმა ელექტროძრავების აღდგენით, როტორის ლილვის გადაჩარხვის საშუალებით ქარხანას 4.200 მანეთის ეკონომია მისცა.

დღეს ქარხნის რაციონალიზატორთა ბიუროში, რომელსაც ნოდარ ბაინდურაშვილი ხელმძღვანელობს 100-ზე მეტი რაციონალიზატორი და გამომგონებელია გაერთიანებული.

1974 წელს რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ვალერიან მაისურაძე და წევრი სედრაქ ნორსოიანი დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით.

რაციონალიზატორული წინადადებები დანერგეს კირქვის კარიერში ირაკლი ქებაძემ, ესტატე მეცხვარიშვილმა, შალვა ნონიკაშვილმა და სხვებმა.

დღეისთვის: „ყველა რეზერვი ხუთწლედის დავალებათა შესრულების სამსახურში“ — რაციონალიზატორების ყოველდღიური დავალებაა. არც ზოგავენ ძალასა და ენერგიას. ანტონ ნონიაშვილმა ამწე მექანიზმებზე მთავარი ამძრავის მუხრუჭების კოჭების მწყობრიდან გამოსვლის საწინააღმდეგო საშუალება დააყენა და 4,5 მანეთი ფულადი თანხა შემატა. ვიტალი შარიქაძემ მეხვიმირის მუშაობის უსაფრთხოების საიმედოობა და კირქვის სვიმირების განტვირთვის საშუალება მოაწყო, ამანაც მისცა კომბინატს გარკვეული თანხა. გიორგი მერებაშვილმა სასწორ-დებატორზე კბილანური გადაცემები ლენტურით შეცვალა და 2000 მანეთი დაზოგა.

მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა ტექნიკური პროგ-





რესის საქმეში. ექსპლოატაციაში გადაეცა შლამის დამამზადებელი აუზი, 10 ათასი ტონის ტევადობის სამაზუთე მეურნეობა, საკუთარი ძალებით დაიდგა შიფერის ახალი კონვეიერი, რომლითაც წარმოებს ახალი მარკის გაძლიერებული შიფერის გამოშვება. მიმდინარეობს მესამე და მეოთხე ღუმლების რეკონსტრუქცია, საბაგირო გზის კაპიტალური შეკეთება და სხვ.

მარტო მეათე ხუთწლედში 79-დან დაინერგა 59 რაციონალიზატორული წინადადება, რომელმაც საწარმოს მისცა 233 ათასი მანეთის ეკონომია. გამოშვებული პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის გარდაქმნები მოხდა მეათე — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედში. „400“-მარკიანი პუცოლანური პორტლანდ ცემენტი სწორედ ხარისხის ხუთწლედში დაიბადა. კომბინატში სამშაბათი დღე გამოცხადებულია ხარისხის დღედ.

მთავარი ინჟინრის, შალვა ყურუას კაბინეტში იკრიბებიან წარმოებათა და საამქროთა უფროსები, ცვლის ოსტატები, ინჟინრები.

გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ტარდება მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. სკკპ XXVI ყრილობამ დღის წესრიგში დააყენა ცემენტის წარმოების გაზრდა. ცემენტ-შიფერის კომბინატში შედგენილია კომპლექსური ღონისძიებების გეგმა. უკვე დაინერგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, რომელმაც გააძლიერა ტექნოლოგიური პროცესებისა და ნორმატივებზე კონტროლის სიზუსტე. პროდუქციის ხარისხის ამალღების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია. ამ მხრივ კომბინატში ბევრი რამ კეთდება.

კომბინატის კოლექტივში ფართო გამომხატურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „ლვოვის ოლქის მოწინავე საწარმოების გამოცდილების შესახებ პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დამუშავებისა და დანერგვის საქმეში გაწეული მუშაობის შესახებ“.

1978 წლის იანვარში კომბინატში შემუშავდა პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შემუშავებისა და დანერგვისათვის გასაწევი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი. შეიქმნა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ საამქროების, განყოფილებების უფროსები, ხელმძღვანელად დაინიშნა მთავარი ინჟინერი შალვა ყურუა.

შეიქმნა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის განყოფილება. მუშაობაში გამოიყენეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ცემენტის წარმოებების: ანგარსკის, ზდოლბუნოვსკის, კრიჩევსკისა და სხვათა გამოცდილება. ამ საქმეში კომბინატს დიდ დახმარებას უწევდა „ორგტექსაშმასპროექტის“ ხარისხის მართვის განყოფილება, მისი ხელმძღვანელი ნ. ანასტახოვა.

პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დამუშავებისა და დანერგვის დროს კომბინატში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა. შიფერის წარმოებაში მორალურად მოძველებული სმ—139 რბედები შეიცვალა სმ—874-ით, რამაც გააუმჯობესა აზბესტის დამუშავების ხარისხი და წუნი შეამცირა.

ნედლეულის საამქროში ექსპლოატაციაში გაუშვეს ახალი ჰორიზონტალური შლამაუზი, რამაც გააუმჯობესა შლამის ერთგვაროვნება და ღუმლების შლამით კვების სტაბილურობა. საქართველოს საშენი მასალების ინსტიტუტი კომბინატში ატარებს მუშაობას კლინკერის აქტიურობის გაზრდისა და მისი დაფქვის უნარიანობის გაუმჯობესებისათვის. ამავე ინსტიტუტმა დანერგა მბრუნავ ღუმლებში მერგელის გამოყენება. ტარდება ცდები ღუმლების გაცივების ზონაში კარბორუნდის ცეცხლგამძლე მასალის დანერგვაზე. ინსტიტუტი „ორგპროექტცემენტი“ მუშაობს ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების გამართვაზე. დიდია კონტროლი და მომთხოვნელობა ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის საკითხებისადმი. უფრო ეფექტური გახდა „ხარისხის დღის“ ჩატარება. გათვალისწინებულია ახალი სახის პროდუქციის გაძლიერებული პროფილის „უვ“ მარკის შიფერის გამოშვება. კომბინატში გამოშვებული ყველა სახის პროდუქცია ატესტირებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „400“ მარკის პორტლანდ ცემენტს 1977 წლის 28 ოქტომბერს მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

1979 წლის ივლისში რესპუბლიკაში ჩატარდა კონკურსი ერთ-თვიური პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის სამუშაოების მიმდინარეობაში მოწინავეთა გამოსავლინებლად, სადაც კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატმა მესამე საპრიზო ადგილი აიღო. კომბინატს ყოველთვის ჰქონდა სიძნელები სათბობისა და ნედლეულით არარითმული მიწოდებით. იყო თავდაუზოგავი ბრძოლა ამ სიძნელებების აღმოსაფხვრელად.

ასეა დღესაც. სათბობენერგეტიკული რესურსების ყაირათითა-

ნად ხარჯვისათვის კომბინატის კოლექტივმა მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა. გაუმჯობესდა მბრუნავი ღუმელების ცივი ბოლოს ჰერმეტიზაცია. სამ მბრუნავ ღუმელზე დაიდგა გაზის ხარჯვის აღმრიცხველები. მწყობრში ჩადგა ახალი საქვაბე, რამაც საშუალება მისცა კომბინატს ექსპლოატაციიდან გამოეყვანა ორი ძველი საქვაბე. ინსტიტუტ „ორგპროექტცემენტის“ ძალებით ჩატარდა ორი მბრუნავი ღუმლის თბოტექნიკური და ტექნოლოგიური გამოცდა. მბრუნავ ღუმელებზე მომავალი შლამის სინესტე არ აღემატება 39 პროცენტს. გაიზარდა პასუხისმგებლობა ენერგეტიკული და სხვა სამსახურებისა სათბობენერგეტიკული რესურსების რაციონალური ხარჯვისათვის, მოწყობილობების ტექნიკური ექსპლოატაციისა და ტექნოლოგიური რეჟიმის წესების დაცვისათვის. და მაინც არის სათბობის გადახარჯვა, ხოლო შრომისა და საწარმოო დისციპლინის ჯერ კიდევ არსებული დაბალი დონე, მოწყობილობა-დანადგარებზე გეგმიურ-გამაფრთხილებელი შეკეთებების უხარისხო ჩატარება, ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების უგეგმო გაჩერებები, საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე კვლავ რჩება კომბინატის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელების გადაუდებელ საქმედ.

კომბინატის თითქმის მთელი კოლექტივი ჩაბმულია პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში. იგი იწყება ნედლეულის საამქროდან და მთავრდება ტრანსპორტის საამქროში, სადაც იტვირთება და იგზავნება ცემენტი, შიფერი, წვრილი საკედლე ბლოკი ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და რაიონებში, საზღვარგარეთ.

წარმოების კულტურის ამაღლება კომბინატის ინჟინერ-ტექნიკოსთა, სპეციალისტთა, მშრომელთა ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია. მოიცავს წარმოების დონეს, შრომის ორგანიზაციას, მუშაკთა მომზადებას, მათი შეგნების ამაღლებას, რომ გამოუშვან მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

პროდუქციის ხარისხი დამოკიდებულია ტექნოლოგიის პროცესების სიზუსტეზე, დისციპლინაზე, შლამის მომზადებაზე, გამოწვაზე, დაფქვაზე.

წარმოების კულტურას ამაღლებს მისი სწორი ორგანიზაცია, ითვალისწინებენ კარგ ჰიგიენურ და ესთეტიკურ პირობებს, მაღალკვალიფიციურ მუშახელს, რომლებმაც იციან ტექნოლოგია, იცავენ ყველა მის მოთხოვნას.

კომბინატში ყველაფერი კეთდება წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, შექმნილია მულტიმედიური საწარმოო კომისიები, ახალი ტექნოლოგიების ტარდება ინსტრუქტაჟი, ყურადღება ექცევა მატერიალური ფასეულობების შენახვას, ნედლეულის, მასალებისა და მზა პროდუქციის სწორად დაწყობას, შეფუთვისას, ტრანსპორტირებას.

კომბინატი დიდხანს ემზადებოდა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდით მუშაობისათვის. იყვნენ სკეპტიკოსებიც. გაქრა ეჭვი და უნდობლობა. საამქრომ ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლები მიიღო პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების საქმეში. დაფქვის საამქროში მოისპო ზარალი. აქვე ეკონომია ხელფასების ფონდში. ასეა გამოწვისა და სხვა საამქროებშიც. დაგეგმვის ახალმა მეთოდმა პრემირება გაზარდა.

დიდი ყურადღება ექცევა მომჭირნობასა და ყაირათიანობას, რასაც ხელი შეუწყო მუშათა მატერიალურმა დაინტერესებამ. გამოწვის საამქროში ოთხი მბრუნავი ღუმელი მუშაობს. იყო დრო, როცა მათი ამონავის შეცვლაზე ათასობით მანეთი იხარჯებოდა. ამონავის მუშაობის პერიოდი 3—4 თვეს ითვლიდა. საამქროს კოლექტივამისი ხანგრძლივობა 7 თვემდე გაზარდა. გაწეულია დიდი ეკონომია. ამ ეკონომიის დიდი ნაწილი პრემიებში მიდის.

კარგი საქმე გააკეთეს შიფერის წარმოების მუშებმა: შეძლეს ტექნიკური მაუდისა და თითბერის ბადის ექსპლოატაციის გახანგრძლივება. ამ საქმეში მათ პრემიის სახით 3 ათას მანეთზე მეტი მიიღეს.

ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე, თანამედროვე პირობებში შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების ზრდა. ამ მიზნით ქარხნის 100-ზე მეტმა ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა, მომსახურე პერსონალმა აიმაღლა კვალიფიკაცია, სადაც შეისწავლეს მოწინავე ტექნიკა, ტექნოლოგია, შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენება, საწარმოო ეკონომიკური საკითხები.

გარდა იმისა, რომ პორტლანდ „400“ მარკის პუცოლანის ცემენტს მინიჭებული აქვს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, დანარჩენ ყველა სხვა პროდუქციას, რომელსაც ამჟამად უშვებს კომბინატი, მინიჭებული აქვს ხარისხის პირველი კატეგორია.



შიფერის წარმოებაში გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. შესამჩნევად იკლო წუნმა (1,7-დან 1,5 პროცენტამდე), წარმოების მასის მოსამზადებელ განყოფილებაში „სმ—139“ ნაცვლად დამონტაჟდა „სმ—875“, რამაც აზბესტის დამუშავების ხარისხი საგრძნობლად გააუმჯობესა.

წარმოების კულტურის ასამაღლებლად ხდება ლითონკონსტრუქციების შედგება, ნედლეულის საამქროში მეოთხე-მეხუთე წისკვილებზე რკინის ამონაგი შეიცვალა რეზინით, რამაც შეამცირა ხმაური, სამუშაო პირობები გაუმჯობესდა შიფერის წარმოებაში, შეიცვალა ძველი ფანჯრები, რითაც ნაკლებად ტენიანდება შენობა და უკეთესია ხილვადობა, ხოლო მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის ვ. ჯინჯიხაძის რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ხმაური.

### კადრები — ძლიერების წყარო

არ ყოფილა შემთხვევა, რომ კომუნისტურ პარტიას თავისი მოღვაწეობის ეტაპზე ერთხელ მაინც დავიწყებოდა ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობა, მათი მომზადება, შერჩევა, აღზრდა.

საქმის ბედს რომ ადამიანები წყვეტენ, — ეს ცნობილი დებულებაა და მას საბჭოთა ქვეყნის დამაარსებელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი შთაგვაგონებდა.

კასპის ცემენტის ქარხნის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული ალექსანდრე ქებაძის სახელთან. მისი წინაპრები, აქვე, ქარხანასთან ახლოს მდებარე სოფელ ქებაანიდან გადასულან შორაპნის მაზრის სოფელ საჩხერეში. აქ დაიბადა ალექსანდრე, აქედან წავიდა ბედის საძიებლად 15 წლის პირტიტველა ბიჭი ჭიათურაში, სადაც სწავლობდა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მეხუთე კლასიდან გამოვიდა და შრომითი საქმიანობა დაიწყო. მერე მალაროელთა ცხოვრება. აქ დაუკავშირდა ბოლშევიკურ ორგანიზაციას და ასრულებდა მათ დავალებებს, „ავრცელებდა პროკლამაციებს, დადიოდა სოფლებში, გლეხებს უკითხავდა ბოლშევიკურ გაზეთებს და რევოლუციურ სულისკვეთებას უღვივებდა მათ. პოლიციამ ეჭვი აიღო და

ზედამხედველობა დაუწესა. იგი იძულებული გახდა ჭიათურას გას-  
ცლოდა“<sup>1</sup>.

ა. ქებაძის ცხოვრებასა და შრომით საქმიანობაზე საინტერესო  
მოგონებანი დაგვიტოვა სკკპ წევრმა 1917 წლიდან, საკავშირო მნიშ-  
ვნელობის პერსონალურმა პენსიონერმა დ. ლომაძემ. აი, რას წერს  
იგი: „რევოლუციის ტალღა მძლავრად ბობოქრობდა, მოახლოვდა  
ქარიშხალი. ალექსანდრე ქებაძე ახლა უკვე სარიყამიშშია, სამხედ-  
რო სამსახურს იხდის — არჩეული გზიდან არ უხვევს. მტკიცედ  
ასრულებს იქაური ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებას, რომ-  
ლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ცნობილი რევოლუციონერი  
ქუთაისელი სტეფანე ალავერდოვი. 1917 წლიდან ოფიციალურად გა-  
ფორმდა ამ ორგანიზაციის წევრად. ჯარისკაცებში ეწეოდა მგზნე-  
ბარე ბოლშევიკურ აგიტაციას, გამოდიოდა ქალაქის მუშების, რკი-  
ნიგზელების მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე, მოუწო-  
ლებდა იარაღით ხელში ებრძოლათ თავისუფლებისათვის“<sup>2</sup>.

ა. ქებაძემ ავლაბარში გახსნა სავაჭრო მაღაზია, სადაც სარდაფ-  
ში ინახავდა იარაღს, 1922 წლის თებერვალში იბრძოდა საქართვე-  
ლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. მერე სოცია-  
ლისტურ მშენებლობაში იღებს მონაწილეობას. მუშაობდა პარტიის  
ხაშურის რაიკომის პასუხისმგებელ მდივნად, გორის სამაზრო კო-  
მიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ  
მდივნად, მუშაობდა აგრეთვე ჭიათურაში. მერე სასწავლებლად მიაგ-  
ვინეს ლენინგრადში, სადაც მიიღო ინჟინრის დიპლომი. 1927 წელს  
ა. ქებაძე დანიშნეს კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორად და ხელ-  
მძღვანელობდა მას 1937 წლამდე. მონაწილეობდა საქართველოს  
კპ (ბ) მეოთხე ყრილობის მუშაობაში, არჩეული იყო საქართველოს  
კპ (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრად. უდროოდ წა-  
ვიდა ეს მგზნებარე ბოლშევიკი, ქვეყნისათვის თავდადებული მამუ-  
ლიშვილი და დატოვა კასპელ მეცემენტეთა ხსოვნაში ტკბილი მოგო-  
ნება და სინანული.

კადრები ყოველთვის იყო კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის  
ძლიერებაცა და საზრუნავიც. მასთან არის დაკავშირებული ბევრი

1 „საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლნი“, გამომცემლობა „საბჭოთა  
საქართველო“, თბილისი, 1978 წ.; გვ. 283.

2 გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1969 წ., № 84.

საუკეთესო და სამეურნეო მუშაკის მომზადება. ამ კოლექტივის ბევრი წევრი შემდგომ სახელმწიფო მოღვაწე გახდა. ქარხნის ყოფილი დირექტორი ვასილ გოგუა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო, ამავე თანამდებობაზეა დღეს ქარხნის ყოფილი პარტიული კომიტეტის მდივანი პავლე გილაშვილი და მისი ყოველი ჩამოსვლა საწარმოში როდია ოფიციალური სტუმრობა.

ვახტანგ პაპიაშვილის სახელთან ბევრი რამ არის დაკავშირებული კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში. 1942 წელს მოვიდა იგი ამ საწარმოში. საამქროს უფროსად ნიშნავენ, მერე ტექნიკურ განყოფილებაში გადაჰყავთ და ქარხნის ცხოვრების მაჯისცემამ ერთიანად აიყოლია ინჟინერი.

1948 წელს ნოვოროსიისკში ახალი ცემენტის ქარხანა აშენდა. გამოცდილი მუშაკები ჭირდებოდათ და ვახტანგ პაპიაშვილზე შეაჩერეს ყურადღება საკავშირო სამინისტროში. სხვას ფიქრობდნენ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელები: კასპის შიფერის ქარხანასაც ჭირდებოდა ხელმძღვანელი.

ორი წელი ამ ქარხანას თავკაცობდა. მერე ისევ ცემენტის ქარხანაში გადაჰყავთ მთავარ ინჟინრად. კიდევ ორი წელი შრომასა და ძიებაში და ქარხნის დირექტორად ნიშნავენ.

1950 წელი იდგა. ქარხანა ჭრილობებს იშუშებდა. ცემენტს ითხოვდა, შიფერს ითხოვდა, კასპის ცემენტის ქარხანა კი ვერ აუდიოდა. საჭირო გახდა მისი მოდერნიზაცია, ახალი სიმძლავრეების ამოქმედება, რეკონსტრუქცია. მუშები საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ.

შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები.

1957 წელს სახალხო მეურნეობის საბჭოში ვახტანგ პაპიაშვილი ნებართვას ითხოვს: ააშენოს ახალი, № 4 ლუმელი, რომელიც შესამჩნევად გაზრდის სიმძლავრეს, ქვეყანა დამატებით მიიღებს ასეულ ტონა ცემენტს.

მეცემენტეთა იმედი ჰქონდა ვახტანგ პაპიაშვილს, მათი თავდადება და მარჯვენა იყო ამის თავმდები.

საჭირო გახდა პროექტი და ტექნიკური დოკუმენტაცია. იგი ქარხანაშივე მოამზადეს, საკუთარი სათადარიგო ნაწილებით ააწყეს მანქანა-მოწყობილობანი. გაიფანტა ეჭვი და უნდობლობა. № 4 ლუმელის ამოქმედება დამკვერელურ უზნად გამოაცხადეს. ქულზე კაცი



მოვიდა და აი, 8 თვეში პირობა შეასრულეს: ღუმელი ექსპლოატაციაში გაუშვეს.

იმ დღეს რესპუბლიკის ხელმძღვანელებიც ესტუმრნენ მეცემენტებს და გამარჯვება მიულოცეს. 150 ათასი ტონა ცემენტი შეემატა ქვეყანას ყოველწლიურად.

იმ ღამეს ყველაზე მშვიდად ეძინა ნაჯაფარ დირექტორს.

1969 წელს ვახტანგ პაპიაშვილი საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს და ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ზრუნვა კასპის ცემენტის ქარხნის მშრომელებისადმი.

მდიდარია მისი ბიოგრაფია: საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, დამსახურებული რაციონალიზატორი, არჩეული იყო საქართველოს სსრ მე-4, მე-5, მე-6 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობის მუშაობაში, არჩეული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, წლების მანძილზე იყო საქართველოს კპ კასპის რაიკომის ბიუროს წევრი. შრომადაფასებული კაცის მკერდს ამშვენებს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები, დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით. ორჯერ იყო იგი სახელმწიფო გამოცდების კომისიის თავმჯდომარე ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სილიკატური მრეწველობის სპეციალობაზე. ახლა იგი პერსონალურ პენსიაზეა, მაგრამ შრომისათვის თავი არ დაუნებებია, საქართველოს სსრ საავტომობილო სამინისტროში საქმიანობს.

კასპის ცემენტის ქარხნის ყოფილი დირექტორი გრიგოლ ხომერიკი თბილისის ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. დიდი დახმარება გაუწიეს რუსთავის ცემენტის ქარხანას კადრების დაკომპლექტების საქმეში: გაიგზავნენ როგორც ხელმძღვანელები, ისე მუშები. დღეს რუსთავის ქარხნის დირექტორია გიორგი ცხაკაია, რომელიც კასპის ცემენტის ქარხანაში ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოვიდა რიგით ინჟინრად, გახდა მთავარი ინჟინერი და აქედან გადაიყვანეს რუსთავში. აქვეა მთავარი ინჟინერი ამური შარანგია, რომელიც კასპის ცემენტის ქარხანაში აღიზარდა, ხელმძღვანელობდა კომკავშირულ ორგანიზაციას, გამოწვის საამქროს.





რუსთავის ცემენტის ქარხანაში სამქროს უფროსებად მუშაობენ მილეთი მესხი, ვლადიმერ ბასიაშვილი, მთავარ ენერგეტიკოსად თენგიზ კაციაშვილი, აქედან გაიგზავნა რუსთავში ზეინკალი კავთიაშვილი, რომელიც იქ დაჯილდოვდა „ლენინის ორდენით“.

კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში მუშაობდნენ საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის მეორე მდივანი ენმარ შაველაშვილი, კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვალერიან ეპიტაშვილი, კასპის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნოდარ მურჯიკენლი, ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ დირექტორი უშანგი მოსიაშვილი, მისი მოადგილე გიორგი ფარემუზაშვილი, ადგილობრივი რადიოგადაცემათა კორესპონდენტ-ორგანიზატორი პეტრე ჯავახაძე, კასპის რაიონული გაზეთ „განთიადის“ განყოფილების გამგე ვენერა ამირეზაშვილი, კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის პედაგოგი გურამ ლობჯანიძე, კასპის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის დირექტორი სულიკო ბარნაბიშვილი, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორი გივი ყანჩაველი და სხვები.

ქარხნის განვლილ გზაზე საუბარი ძნელია, მისი წარმატებები და წარუმატებლობა მხრებით ზიდეს ყოფილმა დირექტორებმა ალექსანდრე ქებაძემ, ვასილ გოგუამ, ბიძინა მესხმა, პეტრე სავინსკიმ, გრიგოლ ხომერიკმა, ვახტანგ პაპიაშვილმა, მთავარმა ინჟინრებმა ვარლამ ჩოფიკაშვილმა, ივანე სანაძემ, დავით ნოსელიძემ, ევგენი კოვალევმა, გრიგოლ ხომერიკმა, გიორგი ცხაკაიამ.

კომბინატში დღესაც იხსენებენ ამადარ ადამიანებს, სიცოცხლის საუკეთესო წლები ქარხანაში რომ გაატარეს. გიორგი მათეშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პარტიულ კომიტეტს, სატრანსპორტო სამქროს, საქარხნო კომიტეტს. გიორგი ჩაფიძემ, ამ უნიკალურმა კაცმა, — როგორც დაახასიათა იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა, ზეინკალმა, ომის ვეტერანმა, კლასიკური განათლება ვერ მიიღო, მაგრამ საუკეთესო თვისებების გამო მექანიკური სამქროს უფროსადაც იმუშავა, დაჯილდოებული ყოფილა გამომგონებლობის ნიჭით. შეუქმნია წნეხი და აღუდგენია ლითონის საფენები, ნედლეულისა და დაფქვის წისქვილების უჭანჭიკო ჯავშნის დანერგვითა და სხვა წინადადებებით ასეულ ათასობით მანეთის დანაზოგი შეუქმნია ქარხნისათვის. ხელმადლიანი კაცი მედლით დაუჯილდოებიათ,



რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება მიუნიჭებიათ.

თენგიზ ალიბეგაშვილი ცემენტის ქარხანაში მოსვლაზე ჯერ კიდევ მაშინ ოცნებობდა, როცა საშუალო სკოლის მერხს უჯდა და დედას დაყვებოდა საწარმოში. 1959 წელს ამთავრებს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, კასპის ცემენტის ქარხანაში მოდის საგამოწვო საამქროში და ცვლას იბარებს. თეორიული ცოდნა პრაქტიკას უკავშირდება, კომკავშირულ საქმიანობაში ებმება. კომიტეტის მდივნის მოადგილეა. 1962 წელს შიფერის საამქროს უფროსია, ერთი წლის შემდეგ — დაფქვისა. მოწინავე საამქროს უფროსს კომუნისტურ პარტიაში იღებენ. მერე პარტიული სამუშაო. ძნელი და საინტერესო. იგი ქარხნის პარტიულ კომიტეტს ხუთი წელი ხელმძღვანელობდა. სამეურნეო სამუშაოზეც დასჭირდათ: ჯერ თექმის კერამიკის ქარხნის დირექტორად ნიშნავენ, მერე მეტეხის საშენ მასალათა კომბინატისა. ისევ მშობლიური ცემენტის ქარხანა; 1969 წელს დირექტორად გადმოიყვანეს და დღემდე არ მოსცილებია მტვერშეფეთქილ საწარმოს.

დაფასდა კიდევ თენგიზ ალიბეგაშვილის შრომა. სამჯერ იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ყრილობების დელეგატად (24—25—26), ორჯერ დააჯილდოეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მრავალი მედლით, სიგელით, პრემიით. არის საქართველოს კპ კასპის რაიკომის ბიუროს წევრი, რაისაბჭოს დეპუტატი.

შალვა ყურუა 1949 წელს, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, კასპში ჩამოსულა განაწილებით, გამოწვის საამქროში ცვლის უფროსად გაუშვიათ. მერე წლები შრომასა და ძიებაში გასულა. საამქროს უფროსი გამხდარა, ლაბორატორიასაც ხელმძღვანელობდა ერთხანს, მთავარი ტექნოლოგიც ყოფილა, მრავალი რაციონალიზატორული წინადადება დაუწერგია, მარცხიც განუცდია, გამარჯვების სიხარულიც გაუწილეს. 1954 წელს კომუნისტური პარტიის წევრი გამხდარა. ახლა იგი კომბინატის მთავარი ინჟინერია. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“, „კეთილსინდისიერი მუშაობისათვის“, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება, ხელმძღვანელობს საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციას.

ვასილ კოტლიარმა 1959 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექ-



ნიკუბი ინსტიტუტი და კასპის ცემენტის ქარხანაში მოვიდა. ამ წელს მისულა ამ საწარმოში მისი ძმაც. — ვალოდია (იგი დღეს მბრუნავი ღუმელის მემანქანეა). ვასილი მექანიკურ განყოფილებაში ინიჟინერია. 1961 წელს შიფერის საამქროში გადაჰყავთ მექანიკოსად, ორიოდ წლის შემდეგ კი ამ საამქროს უფროსია, მერე ქარხნის მთავარი ტექნოლოგი, 1973 წლიდან დირექტორის მოადგილე კაბიტალური მშენებლობის დარგში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1954 წლიდან.

ჯემალ გოცირიძემ 1962 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხანაში, საყალიბო საამქროს ცვლას ჩაუდგა სათავეში. ერთი წლის მერე კასპში, ცემენტის ქარხანაში, წვრილი საკედლე ბლოკების მექანიკოსია. მერე შიფერის საამქროში დასჭირდათ მექანიკოსი და ჯემალ გოცირიძეზე უკეთეს ვის ნახავდნენ. დაფქვის საამქროსაც ედგა სათავეში რამდენიმე წელს, 1969 წელს საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსია. 1971 წლიდან დღემდე დირექტორის მოადგილე.

საზოგადოებრივი დავალებაც აქვს ჯემალს: არის პროპაგანდისტი, რაციონალიზატორული წინადადებების ავტორს ჯილდოებიც აქვს მიღებული და ფულადი პრემიებიც.


ნიკოლოზ ზავადნოვი კრასნოდარიდან კასპის რაიონში 1943 წელს მოვიდა, ტრაქტორისტად მუშაობდა კასპის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში და ბელტს ბელტზე აწვევდა საკოლმეურნეო მინდვრებში. 1945 წელს კასპის ცემენტის ქარხანაშია ტექნიკურ განყოფილებაში კონსტრუქტორად. 1956 წლიდან დღემდე კომბინატის მთავარი მექანიკოსია. შრომაში ნაცად კაცს როდი უჭირდა მეოთხე ტექნოლოგიური ხაზის მონტაჟი. 1959 წელს ამ რთული მოწყობილობის მონტაჟისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის ნიკოლოზ ზავადნოვი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. 1966 წელს მბრუნავი ღუმელებისა და წისქვილების რეკონსტრუქცია მიახდეს. რთული და დაძაბული საქმე ჰქონდა, მაგრამ საკუთარი რწმენა და ძალაც გააჩნია. № 4 მბრუნავ ღუმელზე უნდა გამოცვლილიყო 11 მეტრი მანძილი, უფრო დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული მისი აწევა და დაზიანებული ნაწილის ადგილას ახლის ჩადგმა. ნიკოლოზ ზავადნოვს სიძნელეების არასოდეს ეშინოდა. საკუთარ გამოცდილებაში, მეამონაგეებისა და ზეინკლების, ელექტრიკოსების შრომით ენთუზიანში




გურამ ნონიაშვილი



ცემენტ-შიფერის კომბინატის საწარმოო თათბირი



მბრუნავ ღუმელებთან: ნოდარ ნაგლაშვილი, გოდერძი მარქარაშვილი,  
ნიკოლოზ ზავადანოვი



მთავარი ინჟინერი შალვა ყურუა მბრუნავ ღუმელებთან

დარწმუნებულმა ვადაც დაუთქვა ხელმძღვანელებს: 18 დღეში დავამთავრებთო რეკონსტრუქციას, მაშინ, როცა 21 დღეზე მეტი სჭირდებოდა. ერთად არიან მთავარი მექანიკოსი და ვალერიან ხრილოკი-შვილისა და სულიკო მერებაშვილის ბრიგადები, თავს არ ზოგავენ ვ. რომაშვილი, ი. ცეიტიშვილი, ი. სოკურავი, ს. ხრილოკიშვილი, ვ. ზაგრივინი, ნ. ქარელიძე. 18 დღე-ღამეში ელექტროშემდუღებლების, ზეინკლების, მშენებლების მარჯვენით პირობა შეასრულეს. ნიკოლოზ ზავადნოვს ამით როდი დაუმთავრდა იმ წლის საქმე. შესაკეთებელი იყო ღუმლის შვიდივე საყრდენი. აქედან სამს მთლიანად უნდოდა გამოცვლა, ოთხს ნაწილობრივი შეკეთება. კვლავ დიდი სიძნელე: გამოსაცვლელია კვამლსადენი მილიც. იგი წვრილი იყო, ვერ უზრუნველყოფდა ნაძწვავი აირების დროულ განდევნას. ნიკოლოზ ზავადნოვმა ეს საქმეც დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულა. ყველამ თავისი შრომის საზღაური მიიღო. ნიკოლოზ ზავადნოვს რესპუბლიკის დამსახურებული მშენებლის წოდება მიენიჭა.

თამარ ტროფიმეს ასული ვასილევა კრასნოდარში დაიბადა. 5 წლის იყო, როცა მისი მშობლები საცხოვრებლად კასპში ჩამოვიდნენ და თამარი ქართლის პატარა ქალაქში ეზიარა სწავლისა და შრომის სიყვარულს. 1943 წელს მოვიდა კასპის ცემენტის ქარხანაში მონაგარიშედ. აქ გახდა კომუნისტური პარტიის წევრი 1950 წელს. წლების მანძილზე იყო კომკავშირის რაიკომის წევრი. 1972 წელს თამარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე დაუსწრებლად იწყებს სწავლას. ვიდრე ცემენტ-შიფერის კომბინატის მთავარი ბუღალტერი გახდებოდა (დღეს იგი ამ თანამდებობაზეა), ამ დარგით მუშაობა მოუხდა სხვადასხვა განყოფილებებსა და საამქროებში. თამარ ვასილევამ ბევრი რამ ნახა, განიცადა, მაგრამ მაინც არ დაკარგა შრომის ხალისი და რწმენა. „ჩემი ცხოვრების მიზანს ყოველთვის შეადგენდა ვყოფილიყავი ისეთი სპეტაკი კომუნისტი და მოქალაქე, როგორიც იყო ჩვენი პარტიული კომიტეტის ყოფილი მდივანი, ამჟამად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პავლე გიორგის ძე გილაშვილი“, — წერს მოგონებებში. ომი ახალი დამთავრებული იყო, — იხსენებს თამარი, ქარხანაში ახალი პარტიული კომიტეტის მდივანი დანიშნეს. და აი, მოვიდა პავლე გილაშვილი სამხედრო ტანსაცმლით, გულშია ღიმილით, საქმიანი და პრინციპული. უმაღლესი რანგის ამოგვიდგა ახალგაზრდებს, კომკავშირელებს, ჩვენი ყოველგვარი საქმის

6. ნ. ედშირაშვილი



წამოწყებას მხარს უჭერდა, გვამხნევებდა, გვარიგებდა, რწმენას გვინერგავდა“.

და აი, ახლახანს თამარ ვასილევა დაჯილდოვდა მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში ჯილდოს მიღების მოლოდინშია და ლიმიტჩამდგარი შეჰყურებს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს. ნუთუ ვერ მიცნობს? — ფიქრობს თამარი. მისი გვარი ამოიკითხეს. მედლის მისაღებად გაემართა თამარ ვასილევა, პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მედლის გადაცემა შეაყოვნა. დაჟინებით დააცქერდა თამარს.

— ეს შენა ხარ? თამარ კალმიკოვა.

— დიახ, ამჟამად ვასილევა.

პავლე გილაშვილმა გულში ჩაიკრა ყოფილი აქტიური კომკავშირელი, მერე კი ჯილდო გადასცა. სხვა გრძნობითა და რწმენით გამოვიდა თამარი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზიდან.

არსენ პეპანაშვილი 1948 წლის იენისში დაბრუნდა ომგადახდილი. ცემენტის ქარხანაშია ჯერ ნორმადარად, მერე დისპეტჩერად. 1955 წელს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. პროფკავშირული მუშაობა მისთვის „კომუნისმის სკოლა“ გამოდგა. წლების მანძილზე ერთ-ერთი მოწინავე პროპაგანდისტია რაიონში და სხვათა მაგალითის მიმცემი. აქაც დააფასეს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა „წარჩინებული პროპაგანდისტის“ მედლით დააჯილდოვა. სახალხო კონტროლიორიც არის და მის სიტყვას ძალა აქვს. მოწინავე სახალხო კონტროლიორი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა მრავალჯერ დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

კომბინატში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლექტივის აზრს კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. წარმატებით ახორციელებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-17 პლენუმის (1979 წელი) გადაწყვეტილებებს.

საშუალო რგოლის კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილია ოსტატთა სკოლა. ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებს ათეულობით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. შერჩეული ჰყავთ ხელმძღვანელი და საშუალო რგოლის კადრების რეზერვი, რომლებთანაც სისტემატურად წარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა მათი თეორიული ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.



კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას ხელმძღვანელობს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ნიკოლოზ კლიმიაშვილი (მან ეს ჯილდო მერვე ხუთწლედში მიიღო, როცა კასპის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავკაცობდა. მეშახტის დიდების I ხარისხის ნიშნით დაჯილდოვდა მაშინ, როცა ტყვარჩელ-შახტმშენში უბნის უფროსი იყო). ლარისა ელიაშვილი ინჟინერ-ტექნიკოსობიდან გადაიყვანეს უსაფრთხოების ტექნიკის განყოფილების გამგედ. რიგითი ბუღალტრობიდან დააწინაურეს უფროს ფინანსისტად თამარ ვლადიმერის ასული ვასილევა, ტექნიკური კონტროლის ლაბორატორიაში ცვლის ოსტატებად დანიშნეს მუშები ნაირა და ნანი ირემაშვილები.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს კასპელ მეცემენტეთა შრომა. ბევრი მისი წევრი დაჯილდოვდა მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით.

\* \* \*

ყოველი მოახლოებული საიუბილეო თუ სხვა ჩასატარებელი ღონისძიების სამზადისი პროფკავშირის საქარხნო კომიტეტში უმაღივრძნობა. აქ შეხვედებით მუშებს, უბრალო პროფესიის ადამიანებს, სპეციალისტებს, პროფორგებს, სოც. შეჯიბრების ხელმძღვანელების კომისიის წევრებს.

საქარხნო კომიტეტში კომბინატის დიდი ცხოვრების გაგრძელებაა. აქ იკვეთება 1.400 კაცის შრომითი თუ ყოფითი საქმიანობა — მოდიან საბენსიო საბუთებით, საავადმყოფო ფურცლებით, განცხადებებით, აქტებით, მოთხოვნებით, პრეტენზიებით. აქედან იღებენ ინსტრუქტაჟს, ამზადებენ თვალსაჩინოებას, სტენდებს, დიაგრამებს, მაჩვენებლების დაფებს, აზუსტებენ სოც. შეჯიბრებაში გამარჯვებულებს, კომუნისტური შრომის დამკვრელებს. აქ იღებენ დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, პიონერთა ბანაკების, ტურისტულ საგზურებს, დახმარებას, საჩუქრებს.

საქარხნო კომიტეტის უპირველესი საზრუნავი მშრომელთა საბინაო, საყოფაცხოვრებო, შრომითი პირობების გაუმჯობესების, გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ზრუნვაა.

მძიმე და დაძაბული იყო ნახევარი საუკუნე კომბინატის ცხოვრებაში.



იმ პირველ წელიწადს: „ქარხნის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება გამახვილებულია იმისათვის, რომ მთელი მუშაობის ახალ ფორმებზე გარდაქმნით, მუშაობის სიმძიმის ცენტრის ძირეულ რგოლებში გადატანით, მუშათა მასების დარაზმვით, გადაჭარბებით იქნას შესრულებული. ეს მნიშვნელოვანი საწარმოო დავალებაა (80 ათასი კასრი ცემენტის გამოშვება. ნ. ე.)<sup>1</sup>.

იმ პირველ წლებში საამქროებში გაიკრა ლოზუნგები: „ავიღოთ ბოლშევიკური ტემპები გარღვეული ფრონტის გამოსასწორებლად“. „არ დავუშვათ არც ერთი წუთი დაგვიანება!“ „ზიზღი შრომის დეზერტირებს<sup>2</sup>.

ქარხნის შესასვლელთან გაკეთდა სპეციალური დაფა ყოველ-დღიური გეგმების შესრულების მაჩვენებლად.

„წითელ დაფაზე შეიტანეს ს. დარჯანია, შეიფერი, ყაბანაშვილი, კალაშნიკოვი“...

„შავ დაფაზე გააკრეს შრომის დეზერტირები“<sup>2</sup>.

იყო დიდი სიძნელეები, ხელით შრომა, უბინაობა, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, დენადობა, წერა-კითხვის უცოდინარობა, კადრების სიმცირე.

საქარხნო კომიტეტში ყველაფერი კეთდებოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

„გამობრძმედილი ხელოსნების“ დაულალავი შრომით, ძიებით, ბრძოლით მოვიდა ჩვენამდე კომბინატი და წლების განმავლობაში საქარხნო კომიტეტი იყო მათი დამრავმველი, მასტიმულირებელი, მეგობარი და მრჩეველი.

მშენებლობის პერიოდში პროფკავშირის თავმჯდომარე იყო ნოე აკოფაშვილი, — იგონებს ვეტერანი ა. ბასიაშვილი.

მერე იცვლებიან მათი გვარები.

წლების განმავლობაში საქარხნო კომიტეტის სული და გული იყვნენ ზ. ქართველიშვილი, ბ. ვასილევ. „საპატიო წიგნის წარმოება 1948 წელს დავიწყეთ, — იგონებს ქარხნის ყოფილი თანამშრომელი ნ. გაბუნია, მოწონებითა და რუდუნებით დაჰკანკალებდა ჩვენი საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მათეშვილი, თავისი ხელით ავსებდა, სურათებს აკრავდა, აფორმებდა“. დღეს საქარხნო კომი-

1 გაზ. „მბრუნავი ღუმელი“, 1932 წ., № 1.

2 იქვე.



ტეტს ხელმძღვანელობს კ. დარჯანია, რომელიც მრავალ წელს უძღვებოდა კავთისხევის კირჩქვის კარიერის პარტიულ ორგანიზაციას.

კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელის მოსაპოვებლად ყოველთვის იბრძოდნენ ქარხანაში, ასეა დღესაც კომბინატში. ამ სახელის მინიჭების კავალერობა სურს 1,244 მეცემენტეს, 10 საამქროს, 12 ბრიგადას. მარტო 1980 წელს ეს სახელი მიენიჭა 4 საამქროს, 8 ბრიგადას, 205 მუშას. საქარხნო კომიტეტის საქმიანობის ცენტრშია დამრიგებელთა საბჭო. მასში 7 ოსტატია გაერთიანებული. ისინი ახალი თაოსნობებისა და წამოწყებების ინიციატორები და ცხოვრებაში განმხორციელებლები არიან. ატარებენ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს საამქროებში, ცვლებში უკეთ აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, თვალსაჩინოებას. კვარტალში ერთხელ შრომაში გამარჯვებულებს აჯილდოებს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია, რომელსაც დაწესებული აქვს მატერიალური და მორალური სტიმულორების ღონისძიებანი.

ინდივიდუალური გამარჯვებულები ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით, ვიმპლებით, ტურისტული და სანატორიუმების უფასო საგზურებით. საქარხნო კომიტეტი დიდ მზრუნველობას იჩენს ფიზკულტურული მუშაობისადმი. ფიზკულტურის მეთოდისტი ნიკოლოზ ხმალაძე გვაწვდის ცნობას: „ჩვენს ფიზკულტურულ ორგანიზაციაში 580 კაცია გაერთიანებული. მუშაობენ ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ტყვიით სროლის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის წრეები. ტარდება შიდა საქარხნო სპარტაკიადები, მონაწილეობას ვიღებთ სარაიონო სპარტაკიადაშიც, სადაც არაერთხელ გავმხდარვართ ჩემპიონები და აგვიღია თასი“. ჩვენს სპორტსმენებს მრავალგზის უშეიშაით გამარჯვება საქართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების სპარტაკიადებზე. აუღიათ პირველი, მეორე ადგილი კალათბურთელებს, ხელბურთელებს. გაზეთ „პრავდის“ პრიზზე „მშთ“ მრავალჭიდიში მეცემენტეთაგან გ. ამბროსენკომ პირველი ადგილი დაიკავა IV ჯგუფში, გასულ წელს ჭადრაკში რაიონულ პირველობაზე ჩემპიონი გახდა მ. მაკევიჩევი, შაშში — ნ. მანძულაშვილი. ეწყობა ლაშქრობები მშობლიური მხარის გასაცნობად. საქარხნო კომიტეტი ზრუნავს მშრომელთა საყოფაცხოვრებო, საბინაო კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად, მუშაობაში ნაკლიც ბევრი აქვთ, რაზედაც მკაცრად მსჯელობენ პროფკავშირულ კონ-



ფერენციებზე, საქარხნო, პარტიულ და სოცშეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიების სხდომებზე.

\* \* \*

კომბინატის მთავარი ტექნოლოგი ოთარ ჭეიშვილი სახალხო კონტროლის სათაო ჯგუფის თავმჯდომარედ აირჩიეს. სახალხო კონტროლის ჯგუფი საკმაოდ ავტორიტეტული, მებრძოლი, უნარიანი წევრებისაგან შედგებოდა, მონდომებითა და შრომითი ენთუზიაზმით სავსე აღმოჩნდა ახალგაზრდა ინჟინერი, კომბინატის მთავარი ტექნოლოგი. მან წარმოების ყველა წვრილმანი ხუთი თითივით იცის. არც არის გასაკვირი. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტი რომ დაამთავრა, კასპის ცემენტის ქარხანაში განაწილების საგზურით მოვიდა 1972 წელს და მას შემდეგ აღარც მოსცილებია საწარმოს. კომუნისტური პარტიის რიგებშიც აქვე, კომბინატში მიიღეს 1976 წელს და საზოგადოებრივი დავალებების შესრულება მისთვის ისევე საპასუხისმგებლოა, როგორც საერთო-სახალხო საქმე.

სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეს მალე ამოუდგნენ გვერდში მოადგილე ლილი მარჯანიშვილი, წევრები ლამარა მერებაშვილი, ვიორგი მერებაშვილი, სარდიონ მაჭარაშვილი, მურთაზ მექანარიშვილი, ვაჟა მალაციძე, სედრაქ ნორსოიანი, ნოდარ კოტიაშვილი და სხვები. ახლა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფი ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. ჯგუფში 208 კონტროლიორია გაერთიანებული, შექმნილია ბიურო, 12 ჯგუფი, 26 საგუშაგო, 5 სექტორი, როგორიცაა: საორგანიზაციო მუშაობისა და საჯაროობის, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, პროდუქციის სტანდარტიზაციისა და ხარისხის დაცვის.

კომბინატში ჯერ კიდევ არის გამოუყენებელი რეზერვები. იყო ასეც: საჭირო ზომის რკინის მასალის უქონლობის გამო, სხვადასხვა ზომის ჭანჭიკების გასაჩარხავად ხმარობდნენ დიდი ზომის მასალებს. ლითონის გადახარჯვის ეს შემთხვევა კონტროლიორებს არ გამოჩენიათ მხედველობიდან.

საამქრობთან მისასვლელი გზები იყო შესარემონტებელი, სათადარიგო ნაწილების შესანახად არა ჰქონდათ სათავსოები, ვერ მარაგ-

დებოდნენ ფოლადის მასალებით, ჭიანჭურდებოდა აზბესტის საწყობის გადახურვა და სხვა.

სახალხო კონტროლიორებს აფასებენ კომბინატში, უსმენენ, პატივს სცემენ, ავილდობენ.

გასულ წელს სათავო ჯგუფის თავმჯდომარე ოთარ ჭეიშვილი სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა და მასთან ერთად სახალხო კონტროლის კასპის რაიონული კომიტეტის საპატიო სიგელით კომბინატის მრავალი კონტროლიორი წაახალისეს.

## ახალგაზრდობა — იმედი სვალის

ცემენტ-შიფერის კომბინატის ადმინისტრაციულ შენობაში არის ერთი პატარა ოთახი. კარზე წარწერაა: კომკავშირის კომიტეტი. აქ მხოლოდ ახალგაზრდები მოდიან, ზოგჯერ წლებდამძიმებული ადამიანებიც.

ყველას თავისი საზრუნავი აქვს, საქმე და დავალება. აგერ, 50 წელია ქვეყნის შენებით გართულან მეცემენტე ახალგაზრდები. ამ შენებაში დავაქვაცებულან, დაბრძენებულან, ვალი მოუხდიათ, წასულან...

მოსულან მათი შვილები, შვილიშვილები, ახლობლები.

საოცარი ენთუზიაზმით მოდიოდნენ ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე ახალგაზრდები, ნათელი მიზნები ჰქონდათ, წრფელი ოცნებები, მისწრაფებები.

უსახსრონიც იყვნენ, უბინაონიც, მაგრამ სულით იყვნენ ძლიერნი, მარჯვენა ჰქონდათ დაუღლეელი და გულის ჯიბეში — სათუთად შენახული კომკავშირული ბილეთები.

ეს იყო მათი სინდისი, სიწმინდე, რწმენა, სიცოცხლე! ასეთები იყვნენ 30-იანი წლების კომკავშირელები.

არ ყოფილა ქარხნის ცხოვრებაში მოვლენა ახალგაზრდობის მონაწილეობის გარეშე. თავგამოდებით შრომობენ გეგმების შესრულებისათვის, ებრძვიან უწიგნურობას, წერა-კითხვას ასწავლიან მუშებს, ატარებენ კულტურულ ღონისძიებებს... 1931 წლის გეგმა ყველა მაჩვენებლით ქარხანამ რომ გადაჭარბებით შეასრულა, კომკავშირელების დამსახურებაც იყო. მაგრამ, აი, 1932 წლის გეგმის შესრულება საფრთხეშია.



განგაშს სტეხენ კომკავშირელები.

გამოჩნდა მოწინავე კომკავშირელთა გვარები: „ამ მხრივ აღსა-  
ნიშნავია ვ. მამაცოვის, ნ. ადიბეგოვის, ვარა დედანიშვილის, ტ. ჯა-  
ჯანაშვილის, მ. კალაშნიკოვის, მოდებაძისა და თ. ქელეხსაშვილის  
ენერგიული შრომა“<sup>1</sup>.

გაზეთი ვეატყობინებს: „კასპის ცემენტის ქარხნის კომკავშირის  
ორგანიზაცია ბოლშევიკურად იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის თეო-  
რიით შეიარაღებისათვის. ამ მიზნით ქარხანაში ფართოდ არის გაშ-  
ლილი პოლიტწრეების ქსელი“<sup>2</sup>.

კომკავშირელთა შრომა შეუმჩნეველი არ რჩებათ ქარხნის ხელ-  
მძღვანელებს.

გადავხედოთ ისევ ძველი გაზეთების ფურცლებს: „ცემენტის  
ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციები საწარმოო-საფინანსო გეგ-  
მების შესრულების საქმეში სასწაულებს იძლევიან. კომკავში-  
რის უჯრედის მიერ წარმოებული მუშაობისათვის ქარხნის დი-  
რექციამ დააჯილდოვა და დააწინაურა შემდეგი ახალგაზრდა მუ-  
შეები, რომლებმაც თავი საერთაშორისო დღის სახელობის ბრიგადად  
გამოაცხადეს: მიდელაშვილი შალიკო, დალაქიშვილი ლეო, ნონია-  
შვილი გიორგი, ვვრიტიშვილი ნიკა, მანუკოვი ბაგრატ, ღვინიაშვილი  
სიმონი, ხეჩიკაშვილი. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან და-  
კავშირებით აღნიშნული ბრიგადის წევრები დააწინაურეს სხვადასხვა  
დარგებზე“<sup>3</sup>.

სიცოცხლე და ხალისი შეჰქონდათ ახალგაზრდებს საამქროებში,  
აწყობდნენ შეხვედრებს, ექსკურსიებს, კულტურულ გასეირნებებს,  
კოლექტიურ სვლებს... და ყველა მათ წამოწყებას მხარს უჭერდა და  
ხელმძღვანელობდა მათი დიდი მეგობარი, მრჩეველი და დამრიგებე-  
ლი პარტიული ორგანიზაცია.

იგონებს ყოფილი კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ამჟამად  
კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის პედაგოგი რუბენ პეტრიაშვილი:  
„კომიტეტის ყველა წევრი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქარ-  
ხნის ყოველდღიურ ცხოვრებაში, დიდ დახმარებას გვიწევდა მუშა-  
ობაში პარტიული ორგანიზაციის მდივანი პავლე გილაშვილი, გვაძ-

1 გაზ. „კომუნისმისაკენ“, 1931 წ., № 5.

2 იქვე.

3 გაზ. „კომუნისმისაკენ“, 1936 წ., № 22.



ლევდა რჩევა-დარიგებებს, ესწრებოდა კომიტეტის სხდომებს, კომკავშირულ კრებებს. ახლოს იყო ყველა კომუნისტთან და კომკავშირელთან, კარგად იცოდა თითოეულის გულისტკივილი, ავი და კარგი. თავმდაბალი იყო, გულისხმიერი. მის კაბინეტში შესული მუშა, ყოველთვის კმაყოფილი გამოდიოდა. მოინიშნავდა პარტიული კომიტეტის მდივანი მუშაკაცის გასაჭირს და ყველაფერს გააკეთებდა მისი დაკმაყოფილებისათვის. უყვარდა ახალგაზრდობა, ჩვენს გვერდით ტრიალებდა, გვეხმარებოდა ამა თუ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში“.

კომკავშირელები ყველგან არიან. ზრუნავენ ნედლეულის საამქროს სიმძლავრეების გაზრდაზე, დამატებითი წისქვილების დაყენებაზე, მესამე მბრუნავი ღუმლის ამუშავებაზე, ნახშირის საამქროს მშენებლობაზე, განმტვირთავი პნემოტრანსპორტის მოწყობაზე, კულტურის სახლის, საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე.

ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციას ამაგი დასდეს ადამიანებმა, რომლებმაც შესანიშნავი კომკავშირული წრეობა გაიარეს, შემდგომ პარტიის წევრები გახდნენ და ცხოვრების სხვადასხვა გზებზე ვავიდნენ.

კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი ვენერა ამირეზაშვილი წერს:

„უფროსი ამხანაგების მხარდამხარ გაშლილ შრომითს ფრონტზე ენერგიულად იბრძვიან საწარმოს ახალგაზრდები, კომკავშირელები, მათ დიდი წვლილი შეაქვთ საწარმოო გეგმების შესრულებაში. ბევრგან, წარმოების გადამწყვეტ უბნებზე ვხვდებით კომკავშირელებს. ერთი მათგანია ნედლეულის საამქროს მოწინავე მეწისქვილე კომკავშირელი გ. ბიტაროვი, რომლის ანგარიშზეც საიუბილეო წელს მოდის ათასობით კუბური მეტრი შლამი. საიუბილეო პატაკისათვის გაცხოველებით ემზადება გამოწვის საამქროს მბრუნავი ღუმელის მემანქანის თანაშემწე გ. მენაბდიშვილი, რომელმაც კლინკერის გამოწვის საქმეში გამოიჩინა თავი. სამაგალითოდ შრომობს დაფქვის საამქროს სამსხვრეველას მემანქანე ს. მანუსაჯიანი, ნედლეულის საამქროს კომპლექსური ბრიგადის ზეინკალი ჯ. შეშაბერიძე, გამოწვის საამქროს ზეინკალი შ. ქოსაშვილი, მექანიკური საამქროს ხარატი დიმიტრი ხოხიაშვილი, ზეინკლები მ. მჭედლიშვილი, ა. ფარაზოვი, შიფერის საამქროს ელექტროშემკეთებელი ი. თინიკაშვილი, ლაბორატორიის პეტროგრაფი ი. ხუბაშვილი, წვრილი სა-

კედლე ბლოკების საამქროს მძღოლი ყ. დაბრუნდაშვილი, ამავე საამქროს მუშა უ. ქასოშვილი და სხვები“.

70-იანი წლების ახალგაზრდები ჩაბმული იყვნენ პარტიის 25-ე ყრილობისადმი უფლების მოსაპოვებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. პატაკზე ხელისმოწერის უფლება 10-მა ახალგაზრდამ მოიპოვა.

სხვა პატივი ერგოთ 80-იანი წლების ახალგაზრდებს: პარტიის 26-ე ყრილობას შეხვდნენ შრომითი ერთუზიანზმით, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის დაარსების 60 წლისთავის ზეიმს ნობათები უძღვნეს. კომბინატის ნახევარსაუკუნოვან გზაზე წინამორბედი ახალგაზრდების ესტაფეტა და ტრადიციები მოიტანეს.

დღეს კომბინატის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელსაც ქეთევან გორგაძე ხელმძღვანელობს, 191 წევრს ითვლის. იგი შრომობს, იღწვის, იბრძვის. მათი წვლილი ურევია სახელმწიფო ხარისხისნიშნის 249 ათას ტონა ცემენტის გამოშვებაში, რომელსაც 1980 წლიდან გაუგრძელდა ატესტაციის ვადა. დღის წესრიგში აქვთ მაღალკვალიფიციური მუშის მომზადება. ამისათვის კი კარგად იყენებენ დამრიგებლებს, ებრძვიან უღისციპლინობას, აუმჯობესებენ კომკავშირულ განათლებას, იდეოლოგიურ მუშაობას, უკეთ აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას...

და ებრძვიან მეცემენტე კომკავშირელები ფორმალიზმს, ნეგატიურ მოვლენებს, ჩვენი ცხოვრების ანტიზოდებს... ფიქრობენ თავისუფალი დროის გამოყენებაზე, კულტურულ-სპორტული ღონისძიებების გაუმჯობესებაზე, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. ახალგაზრდობის სულიერ, ჰარმონიულ ესთეტიკურ განვითარებაზე.

\* \* \*

ვერ გეტყვით, გულის რა ნაწილი დატოვეს ოჯახებმა ადგილის დედაზე, პირველი საცხოვრისი რომ მიატოვეს და კასპში მოვიდნენ მთიდან თუ ბარიდან. არც ის ვიცი, ვინ უბიძგათ, რამ გადაადგმევინათ ეს ნაბიჯი, რა იმედი ჰქონდათ, რა ტკივილი. მოვიდნენ ღარიბ-ღატაკნი, წვრილშვილითა თუ კენტად, ახალ ჯვარდაწერილნი თუ უცოლშვილონი. მოვიდნენ რწმენით, სიკეთით სავსე გულით და

ერთმანეთს მხარი დედაბოძივით მიუდგეს, თხილის გული გაიყვეს, ფუძის ანგელოზი დაულოცეს, კერა გააჩაღეს.

ასე გაჩნდა ქეჩარუხის დასახლება, ვარჯაანი.

საბინაო მშენებლობის პროექტი 1935 წელს დაამტკიცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ, მაგრამ საფუძველი მას უკვე ჰქონდა.

პირველად 5 ხის სახლი ააშენეს. მერე საერთო საცხოვრებელი მიუმატეს. 1931 წელს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს უკვე ეკავათ 3,262 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი. ცემენტ-შიფერის კომბინატის საბინაო კომუნალური განყოფილების უფროსი თ. შალუტაშვილი გვიწერს, რომ 1981 წელს კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაშია 38.062 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

763 კომლი საკუთარ ჭერქვეშ ბედნიერად ცხოვრობს.

ბევრს საკარმიდამო ნაკვეთში ჩამდგარი კოხტა კოტეჯი, ორსართულიანი კეთილმოწყობილი საკუთარი ბინა აქვს. ყოველწლიურად შენდება 40—60-ბინიანი საცხოვრებელი სახლები.

მოძველდა საერთო საცხოვრებელი და მაინც ერთგულად ემსახურება ცალუღელა ადამიანებს.

მერე ეს ცალუღელა ხალხი ოჯახებს ქმნიდნენ, შვილებს ზრდიდნენ, სამშობლოსა და ერის სიყვარულს უნერგავდნენ.

ამჯერად ჩვენი მიზანიც ეს არის: გავიცნოთ ოჯახები — ოჯახში, ისინი ვინც კომბინატში მემკვიდრეობით გადასცა შრომითი ესტაფეტა თაობიდან თაობას.

მათი ერთი ნაწილი უკვე ვიცით. ლენინის ორდენოსანმა ვასილ კოტიაშვილმა ოთხი შვილი დაუტოვა კომბინატს.

ძმები ნატროშვილები კომბინატში საკმაოდ ცნობილი ადამიანები არიან. შალვას უკვე გავეცანით — შიფერის წარმოების დამფორმებელი მანქანის მოწინავე მემანქანეს, ძმა — ბორისი შალვას მხარში უდგას შიფერის წარმოებაში, ალექსანდრე სატრანსპორტო საამქროშია, უშანგი — ბლოკების წარმოებაში.

დავით შეშაბერიძე უზარმაზარი ავტომანქანის საჭეს უზის და ნედლეულს ეზიდება კავთისხევის კირქვის კარიერიდან. კომბინატში ბევრი შეშაბერიძეა. დავითიც ორია. ჩვენ იმ პირველ დავითსაც ვიცნობთ, ომის ვეტერანს სატრანსპორტო საამქროდან. ამჯერად, მეორე დავითზე ვისაუბროთ.





კომბინატში მთელი ოჯახით შრომობს: მეუღლე — მარიამ ცი-  
განკოვა-შეშაბერიძე მოტორისტია, შრომის ვეტერანის მედლით  
დაჯილდოებული. შვილი ჯემალი, სამხედრო-სავალდებულო სამსა-  
ხურიდან ჩამოსულა და მამასავით, ისიც ვეება „კარახ“ მისჯდომია,  
ნედლეულს უზიდავს კომბინატს.

ძმები შარიქაძეები: იური, ანზორი, ვიტალი. ორჯონიკიძის რაი-  
ონის სოფელ ლეღვანში დაიბადა სამივე. მამა — ანდრო შარიქაძე  
საცხოვრებლად გადმოდის კასპში. ბიჭები კასპში სწავლობენ, აქ  
იღებენ საშუალო განათლებას.

ანზორი მუშაობას იწყებს კასპის ცემენტის ქარხანაში მბრუ-  
ნავი ღუმლების მემანქანედ, პროფესიას ასწავლის ვასილ კოტიაშვი-  
ლი, იღებს თანაშემწის თანრიგს და მუშაობს შალვა ბუღალაშვილ-  
თან. მერე მემანქანის მართვის უფლებასაც იღებს და დამოუკიდე-  
ბელი კაცია ცხოვრებაში. 1968 წელს ამთავრებს თბილისის პოლი-  
ტექნიკურ ტექნიკუმს. 1965 წლიდან გამოწვევის საამქროს ცვლის უფ-  
როსია, საამქროს უფროსის მოადგილე მოწყობილობის დარგში,  
ახლა კი ამავე საამქროს უფროსის მოადგილეა ტექნოლოგიისა და  
ამონავის დარგში. იური შარიქაძე ნედლეულის საამქროს ზეინკლე-  
ბის სული და გულია, ბრიგადირი. ქარხანაში სამხედრო სამსახური-  
დან დაბრუნების შემდეგ, 1959 წელს დაიწყო მუშაობა რიგით ზეინ-  
კლად, აქ დავაჟაცდა, გახდა კომუნისტური პარტიის წევრი, 1962  
წლიდან ბრიგადას თავკაცობს, პარტჯგუფოვრგია. ვიტალი შარიქაძე  
შრომითს საქმიანობას ქარხანა „კასპიელექტროაპარატში“ იწყებს  
შშენებლობაზე მუშად, მერე რკინიგზის კასპის საკონტაქტო ქსელე-  
ბის დისტანციაშია ელექტრომონტიორად, იყო სამხედრო-სავალდე-  
ბულო სამსახურში, სადაც გახდა კომუნისტური პარტიის წევრი  
1964 წელს. 1966 წელს მოვიდა ვიტალი ცემენტის ქარხანაში დაფ-  
ქვის საამქროს წისქვილის მემანქანედ, დააწინაურეს ამავე საამქროს  
ცვლის უფროსად, პარალელურად ამთავრებს საქართველოს პოლი-  
ტექნიკურ ინსტიტუტს, 1969 წელს გადაჰყავთ ტექნიკურ განყოფი-  
ლებაში ტექნოლოგად, 1975 წლიდან კი ნედლეულის, 1981 წლი-  
დან — გამოწვევის საამქროს უფროსია. არჩეული იყო კომბინატის  
კომკავშირის კომიტეტის წევრად, სამმართველოს პარტორგანიზაცი-  
ის მდივნად, პოლიტინფორმატორთა ჯგუფის ხელმძღვანელის მოად-  
გილედ, პროპაგანდისტად.

ოჯახების დინასტია ბევრია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყ-



ვანს. აქ გაიგონებთ ჯარმელაშვილების, ნორსოიანების, მათაშოვე-  
ბის, ქებაძეების, ბახტაძეების, კაიშაურების გვარებს, მამა და შვი-  
ლები რომ იღვნენ და ახლაც დგანან შრომითს ვახტზე. ზოგის ოჯა-  
ხის უფროსი პენსიონერია, მაგრამ შვილებს ტოლს არ უდებს შრო-  
მაში (ირაკლი ქებაძე, აბრამ ქუთუარაშვილი, გიორგი ბახტაძე და  
სხვები).

შრომას მიჩვეულ კაცს შრომის გარეშე სიცოცხლე როდი შეს-  
ძლებია. ასე ყოფილა დასაბამითვან.

\* \* \*

თერთმეტზე მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობს ამ პატარა ქა-  
ლაქში და ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ, იღწვიან, ქმნიან,  
აშენებენ, თავიანთი წილი აგური მიაქვთ მამულის ხარაჩოებზე.

ძმობის დიდი სამჭედლოა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი.

ვსევოლოდ გუბაშოვი ომის ვეტერანია, მისი სახელი მეცემენ-  
ტეთათვის ახლობელი და საყვარელია: კომბინატის მთავარი მექა-  
ნიკოსის მოადგილე საწარმოს ყველა ჭირისა და ლხინის გამზიარე-  
ბელი, ახალგაზრდობის აღმზრდელი და დამრიგებელი. უყვართ ქარ-  
თველებს ვსევოლოდი, არანაკლებ მისი მეუღლე ანფისა დმიტრი-  
ენა, რომელიც მთავარი ბულალტრის მოადგილეა, ყოველ ნაბიჯზე  
გრძნობენ ისინი ამ სიყვარულს, ქართული სტუმარ-მასპინძლობის  
მადლს და ამ სიყვარულითა და მადლითვე ზრდიან ორ ვაჟიშვილს.

კასპელი რევზინები ებრაელები არიან. ომის მძიმე დღეებში,  
1942 წელს მოვიდა გრიგორ რევზინი ფეოდოსიიდან კასპის რაიონ-  
ში. ევაკუირებული ოჯახი სამთავისს შეეკედლა. მისი შვილებიდან  
საული, სერგეი და იური ომში ებრძოდნენ ფაშისტებს, სერგეი კი-  
ევთან დაეცა, იური სევასტოპოლში. ალექსანდრემ, ბერტამ და ცი-  
ლიამ კი სამთავისის კოლმეურნეობაში დაიწყეს მუშაობა. გრიგორი  
სამთავისშივე გარდაიცვალა, ქალიშვილები კასპის ცემენტის ქარხა-  
ნაში მოდიან. ალექსანდრა ბულალტერიაში იწყებს მუშაობას, ჯერ  
მოწაფედ, მერე ბულალტრად, ერთხანს საწყობში გადაჰყავთ, მერე  
კანცელარიაში. 1954 წლიდან დღემდე გასაღების განყოფილების  
უფროსია. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა იგი ქარხნის  
კომკავშირულ ორგანიზაციას, კედლის გაზეთს, პოლიტწერეს. დღეს  
პოლიტინფორმატორია და კომუნისტი ქალი დიდი პასუხისმგებლო-  
ბით ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებსაც.

ცილია რევზინა ხელმძღვანელობდა ცემენტ-შიფერის კომბინატის ბიბლიოთეკას, ბერტა პენსიაში გასვლამდე ელექტროსამჭროში მუშაობდა. საულ რევზინი, ნაომარი კაცი, გადამდგარი მაიორი ცემენტ-შიფერის კომბინატის მოწინავე ელექტიკოსია და სამხედრო პატრიოტულ აღზრდას ხელმძღვანელობს, მისი მეუღლე — ვალენტინა რევზინა კი ამავე საწარმოს ბუღალტერი.

ბევრი რამ აკავშირებს კომბინატთან ნადია რამაზოვას. იგი კადრების განყოფილების უფროსია და ხუთი თითივით იცის მათი ავ-კარგი. სამი შვილი გაზარდა უკრაინელმა ქალმა. ერთი ექიმი, მეორე ინჟინერი, მესამე საშუალო სკოლა დაამთავრა. აქვე, კადრების განყოფილებაში მუშაობს რბალიც — გიული ენუქიძე. კომბინატში ემადლიერებიან ლიდა ზაპოროჟეცს, აფასებენ მის შრომას, რაიონული საბჭოს დეპუტატადაც აირჩიეს, მრავალი მადლობა და სიგელიც დაიმსახურა, ალექსანდრე პანჩენკო საპატიო წიგნში შეიტანეს, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ელექტროშემდუღებელი.

მიხეილ კორბა კასპში დაიბადა და გაიზარდა. ისე კი, უკრაინიდან, ოდესის ოლქიდან ჩამოსახლდა მათი ოჯახი კასპში. მამა, სტეფანე კორბა ომში წავიდა და ველარ დაბრუნდა. ქერჩის მისადგომებთან ბოვა სამუდამო სამყოფელი. დედა — მარია პარტიის კასპის რაიკომში დამლაგებლად მუშაობდა და ყველა მხარში უდგა ორი შვილის გაზრდაში. მიხეილმა კასპის № 2 საშუალო სკოლა დაამთავრა, კასპის ცემენტის ქარხანაში მოვიდა და ზეინკლის პროფესიას დაეუფლა, მერე სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. დაბრუნებისთანავე ცემენტის ქარხანაში იწყებს მუშაობას, ჯერ ნახშირის წისქვილებშია მოწაფედ, მერე გამომწველის პროფესია ათვისა, იყო ცვლის უფროსი, საამქროს მექანიკოსი, ხოლო 1971 წლიდან დაფქვის საამქროშია მექანიკოსად, დღეს — საამქროს ხელმძღვანელია. აქვე გახდა მიხეილ კორბა პარტიის წევრი, იყო საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი, არის სახალხო კონტროლიორი, კარგი რაციონალიზატორი.

ვლადიმერ მამონოვი 1948 წელს ჩამოვიდა კასპში პენზის ოლქიდან. მოეწონა კასპი, დასახლდა, კასპის ცემენტის ქარხნის სატრანსპორტო საამქროში მუშაობა დაიწყო, 1951 წელს გამომწველად გადავიდა. შრომით სახელი გაითქვა, მაღალი პასუხისმგებლობის კაცს ლუმლის შემეკეთებელთა ბრიგადა ჩააბარეს.

რამდენი უძილო ღამე გაუტეხია ვლადიმერს, როცა № 3



და № 4 ლუმლების შეკეთება დაიწყო. შრომას უადვილებდა ბრიგადის წევრებს: ს. გაბოძეს, ა. მჭედლიშვილს, ი. გაბოძეს, პ. გაბოძეს და სხვებს, თავადაც ყველაფერი იოლად გამოსდიოდა. მისი წვლილიც არის, რომ დროულად გაუშვეს ლუმლები ექსპლოატაციაში.

ვერ გეტყვით, რა იზიდავდათ კასპისაკენ უკრაინელ გალინა კუდრიავსკაიას და ბელორუსს ნინა ტეპლიაკოვას. ეს კია, რომ კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატში პატივს სცემენ და აფასებენ. შრომა მუშის მარჯვენით დაიწყეს, მერე რიგით ბუღალტრებად გადავიდნენ, შემდეგ უფროს ბუღალტრად. აქვე შექმნეს ოჯახები. უყვართ კასპელები და კასპელებიც მეგობრობენ მათთან.

გალინა ამბროსენკომ ნოვოროსიისკის ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა თუ არა 1951 წელს, განაწილებით კასპში გამოგზავნეს. ორ თანაკურსელთან ერთად ჩამოვიდა კასპში გალინა და ქარხნის დირექტორს გ. ხომერიკს გულთბილად რომ არ მიეღო, შეაძლოა არც დარჩენილიყო.

რაიონული საბჭოს დეპუტატია ემა ფომინა-გალუშენკო. კომბინატში შრომობს მისი მეუღლეც — სერგეი გალუშენკო.

ხურავთ ერთი ჭერი, დანათის ერთი მზე, აქვთ ერთი სამშობლო მრავალი ერის შვილებს. ცხოვრობენ, შრომობენ, მეზობლობენ, უყვართ ერთმანეთი, უხარიათ, სტკივათ, ინაწილებენ ჭირსა და ლხინს, ქმნიან ოჯახებს, მეგობრობენ და ლოცავენ მზისა და მიწის მადლს.

## სამშობლოს დაძახილზე

დადგა ჟამი არ გაგონილი და არ თქმული: 1941 წლის 22 ივნისი. ღრუბლის შავი მანდილი შემოეხვია საბჭოთა ქვეყანას. დაიწყო დიდი სამამულო ომი. სამშობლო განსაცდელშია, ხანძარი მოედო მსოფლიოს. მამული შველას ითხოვს. სამშობლოს დაძახილზე, ომის გრძელ გზაზე წავიდნენ კასპელი მეცემენტეებიც. 200 კაცის თავგანწირვა შეუერთდა მამულის დამცველებისას.

მრავალთა სიცოცხლე ჩაიფერფლა. ვეღარ იხილეს მშობლიური კასპი სევერიან დარჯანიაძე, შაქრო ქართველიშვილიმა, გიორგი ნონიაშვილიმა, ვლადიმერ გერმისაშვილიმა, შალვა ტაბატაძემ. ლევან



მერებაშვილმა, ალექსანდრე გოლოშვილმა, ვასილ ნიშერეტოვმა, ივანე გლადკოვმა, ილია ხოსრუაშვილმა, ილია გამხიტაშვილმა, ბახჩო მზარეულაშვილმა, ნიკოლოზ ტერაბრამოვმა, გიორგი ხერგაძემ, არჩილ ჯოჯიშვილმა, ალექსანდრე არისტოვმა და სხვებმა. ბევრი გამარჯვებული დაბრუნდა. 14-მილიონიან ორდენოსანთა და მედალოსანთა რიგეში არიან კასპელებიც. 11.603 კაცში, რომლებსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ, ერთი კასპის ცემენტის ქარხნის აღზრდილია: ივანე მიტროფანეს ძე იშჩენკო. იგი უკრაინიდან ომამდე მოვიდა კასპში და მეცემენტეთა დიდი კოლექტივის ღირსეული წევრი გახდა. 1941 წლის ოქტომბერში გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. მამაცობისა და თავგანწირვისათვის 1944 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ომის შემდეგ იშჩენკო ერთხანს კასპში ცხოვრობდა, მერე ქალაქ უფაში, სადაც გარდაიცვალა ამ სამიოდე წლის წინ.

წითელი ვარსკვლავის ორდენითა და 5 მედლით დაბრუნდა კომბინატში ლეონიდ სარდიკი, ვსევოლოდ გუბაშოვს სამამულო ომის I ხარისხის ორდენი და 2 მედალი აქვს მიღებული, ვლადიმერ მგელაძეს წითელი ვარსკვლავი და 4 საბრძოლო მედალი, დაფქვის საამქროს ზეინკალი ალექსანდრე მერებაშვილი მე-2 და მე-3 ხარისხის საბრძოლო დიდების ორდენებითა და 4 მედლით არის დაჯილდოებული, ნიკოლოზ გერმისაშვილი ომის დაწყებამდე მექანიკურ საამქროში ზეინკლად მუშაობდა, 24 ივნისს იმედითა და რწმენით ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის I ხარისხის ორი ორდენით მკერდდამშვენებული შეუერთდა ისევ თავის კოლექტივს, ეკატერინე მაკეიჩევა მზეთავ-მოტორისტი იყო, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი და მედალი „მამაცობისათვის“ ჩამოიტანა, ცნობილი მეამონაგე ვლადიმერ მამონოვი „წითელი ვარსკვლავის“ ორდენის კავალერია და ორი მედალიც აქვს, შიფერის წარმოების ცვლის უფროსი ნიკოლოზ დონდუაშვილი თავს გვაწონებს სამამულო ომის მე-3 ხარისხის ორდენითა და სამი მედლით, დიდების მეორე და მესამე ხარისხის ორდენები, მედლები და მადლობები აქვს მიღებული აბრამ თაბუაშვილს.

გამარჯვებული დაბრუნდნენ და მშობლიურ ცემენტ-შიფერის კომბინატს მიაშურეს გიორგი ჩაფიძემ, პავლე მარიდაშვილმა, ნიკოლოზ ფედჩენკომ, სერგო ადამოვმა, გარეგინ შაველაშვილმა,



ხეჩო მურადოვმა, მიხეილ ქსოვრელმა, გიორგი მაჩაბელმა, გიორგი მახარაშვილმა, ალექსანდრე პანჩენკომ, მიხეილ ბაინდურაშვილმა, ვასილ დანილჩენკომ, სანდრო ნონიაშვილმა, მიხეილ ოტსტავენოვმა, ვასილ და ილია ჯარმელაშვილებმა, პლატონ ხუნწარიამ, ვლადიმერ გორგიშელმა, ვასილ ტიშჩენკომ, რუბენ გიგილაშვილმა, ანდრეი პუსტოსელოვმა, ტაისა ბასანსკაიაიმ...

შრომაშიც მოიხადეს ვალი ომგადახდილმა ნ. ფედჩენკომ, ნ. გერმისაშვილმა, მ. ქსოვრელმა, მ. ბაინდურაშვილმა, მ. ოტსტავენოვმა, ვ. ჯარმელაშვილმა, ხ. მურადოვმა, ა. თაბუაშვილმა და პენსიაზეც ვააცილეს მეცემენტებმა.

1938 წელს მოვიდა გარეგინ შაველაშვილი ცემენტის ქარხანაში. მამინ პეშის სამსხვრევი და საშრობი დოლების მშენებლობა-გაფართოება მიმდინარეობდა. გარეგინ შაველაშვილი ათისთავად გააგზავნეს, სადაც ერთი წელი დაჰყო, მერე სარემონტო-სამშენებლო სამქროს უფროსად გადაიყვანეს. ამ თანამდებობაზე მოუსწრო ომმა. იგი მეორე დღესვე წაიყვანეს. გარეგინ შაველაშვილი რაციონალიზატორიც არის. მისმა წინადადებათა საშრობი საკნის რკინა-ბეტონის მონოლითური გადახურვას შეცვლამ სივ-კარებით, — დიდი მოწონება დაიმსახურა და დაინერგა. წლები შრომაში გავიდა. რამდენიმე წლის წინ „შრომის ვეტერანის“ მედლით დააჯილდოეს. ახლა იგი 7 ათეულ წელს მიტანებული კაცია, მაგრამ კომბინატის ცხოვრებით ცხოვრობს — გამოწვის სამქროს უფროსის მოადგილეა. მინიჭებული აქვს „რესპუბლიკის დამსახურებული მშენებლის“ წოდება.

დავით შეშაბერიძე სამამულო ომის მონაწილეა. იგი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული ბრუნდება და კასპის ცემენტის ქარხანაში იწყებს მუშაობას. დღეს იგი სატრანსპორტო სამქროში მტვირთავთა ბრიგადას თავკაცობს, დაჯილდოებულია „შრომის ვეტერანის“ მედლით. თვეში 47 ათას ტონა ცემენტს ტვირთავს დავით შეშაბერიძის ბრიგადა.

ვლადიმერ მგელაძე წლების მანძილზე კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტს, სატრანსპორტო სამქროს ხელმძღვანელობდა, ახლახანს პენსიაში წავიდა.

ომისა და შრომის ვეტერანია ვლადიმერ გორგიშელი. 1944 წელს იგი სამამულო ომის ინვალიდი დაბრუნდა კასპში, მკერდს



ორდენები და მედლები უმშვენებდა. კვლავ შრომის ფრონტი. ახლა იგი პენსიაშია, მაგრამ ერთი დღითაც არ ტოვებს საყვარელ საწარმოს.

## შენეზაშია სიცოცხლე

„ვაწარმოთ 1985 წელს 140—142 მილიონი ტონა ცემენტი. გავაფართოოთ მაღალმარკიანი, მრავალკომპონენტისა და სპეციალური ცემენტების გამოშვება“.

სკკპ XXVI ყრილობის მასალებიდან.

გაზაფხულივით ჩაიარა ორმოცდაათმა წელმა კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის ვეება ჭიშკართან. ფერუცვლელი დარჩა ლეგენდა: ცნობილი პიროვნებები ფილიპე მახარაძე და შალვა ელიავა ბარს არტყამდნენ მტკვრის ხეობაში მიწას, საძირკველს ყრიდნენ და დასაბამს უდებდნენ მომავალ დიდ ქარხანას.

დგას გიგანტი ზეაწეული, მტვერდაფიფქული რუხი კედლებით და ანდამატივით იზიდავს ადამიანებს. დიდი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო და არის. პოეტებისა და მწერლების, მეცნიერებისა და კონსტრუქტორების შთაგონების წყაროა. არაერთგზის დაუდგამთ ფეხი ქარხნის ტერიტორიაზე ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის ხშირი სტუმრები არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ი. ლოლაშვილი, მისი მოადგილეები.

მოდიან საკავშირო სამინისტროდან. კასპელი მეცემენტეების ინტერესებისათვის ბევრს ზრუნავს სსრ კავშირის საშენ მასალა მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. ი. კუშიდი, სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტიდან კალუგინი. კომბინატის ცხოვრებით ცხოვრობენ კასპის რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ხელმძღვანელები და სხვები.



ახლახანს კომბინატის რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაწყდა მოსკოვში, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში, რომელიც 1982 წელს უნდა დამთავრდეს.

„დიდსაჩინოეს ქედს“ ნედლეული ელევა. მცხეთის რაიონში, ხეკორძულაზე, ამუშავდება სასხორის კირქვის კარიერი. ნედლეული საჰაერო-საბავირო გზით მოვა კავთისხევის კირქვის კარიერში, იქიდან ჰიდროტრანსპორტით — მილებით მიეწოდება კომბინატს.

ნახევარი საუკუნეა, რაც უპრეტენზიოდ, უხმაუროდ ტრიალებენ № 1 და № 2 მბრუნავი ლუმლები და ქვეყანას მჭიდა მასალებს უმზადებენ. მოძველდნენ. მალე ისინი ისტორიის კუთვნილებად იქცევიან. დრომ, დღევანდელობამ მეტი მოითხოვა, აშენდება ახალი, მეხუთე ტექნოლოგიური ხაზი და ასრულდება კასპელი კაცის ოცნება: გადაწყდება ქალაქის დამტვერიანების საკითხიც. მბრუნავ ლუმლებზე დამონტაჟდება ახალი მტვერდამჭერი და მალე დადგება დღე, როცა მტკვრის ხეობაში აღარ ჩაწვება რუხი მტვერი.

მეთერთმეტე ხუთწლედში აშენდება ახალი დაფქვის საამქრო და წვრილი საკედლე ბლოკების წარმოება, კომბინატის საწარმოო სიმძლავრე წელიწადში მილიონ 250 ათას ტონამდე მიიღწევს.

კომბინატი შენებაშია. მიმდინარეობს მესამე და მეოთხე მბრუნავი ლუმლების მეორე რიგის რეკონსტრუქცია. დამონტაჟდება მაცივრები „ვოლგა—35“, რომელიც ლუმლების წარმადობას გაზრდის 100 ათასი ტონა კლინკერით. საჰაერო-საბავირო გზის ნაწილს უკეთდება კაპიტალური შეკეთება. დაიწყო წვრილი საკედლე ბლოკების წარმოების მშენებლობა, 1982 წელს აშენდება ორი 40 და ერთი 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლები, საერთო საცხოვრებელი 306 ადგილზე, რომლებიც შესამჩნევად გააუმჯობესებს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობებს.

კასპელი მეცემენტეები ქვეყანას აშენებენ. ამიტომ სჭირდებათ ზრუნვა, სითბო, სიყვარული.

შენებაშია სიცოცხლე.





შ ი ნ ა პ რ ს ი

ავტორისაგან . . . . .	3
სამშენებლო ინდუსტრიის სათავეებთან . . . . .	5
მთები „ალაპარაკდნენ“ . . . . .	6
გიგანტების გვერდით . . . . .	13
ტექნიკას ადამიანები მართავენ . . . . .	66
კადრები ძლიერების წყარო . . . . .	74
ახალგაზრდობა — იმედი ხეალის . . . . .	87
სამშობლოს დაცხილზე . . . . .	95
შენებაშია სიტოცხლე . . . . .	98

რედაქტორი ე. ტრიპოლსკი  
მხატვარი თ. შარიფაშვილი  
მხატვრული რედაქტორი ა. თევზაძე  
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე  
კორექტორი ზ. მსხილაძე  
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

გადაეცა წარმოებას 15.III.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.IX.82.  
საბეჭდი ქალაქი № 2 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>, სააღრ.-საგამომცემ. თაბახი  
5.12. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5,46+ჩაკერა 0,21.  
პირ. საღ. გატ. 5,49.  
შე 12850. ტირაჟი 3000. შეკვ. № 201.  
ფასი 35 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომის თბილისის № 4 სტამბა  
380060, მედქალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4. Госкомиздата  
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.

